

ჯეფრი შულმანი

ვის ეკუთვნის ბავშვის სული? ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებისა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

სტატია გამოქვეყნდა Charleston Law Review-სა და ავტორის წებართვით. ნამუშევარი პირველად დაიბეჭდა უურნალში Charleston Law Review (6 Charleston L. Rev. 385 (2012)).

ჯეფრი შულმანი¹

ასოცირებული პროფესორი, J.D., ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, აშშ.

I. შესავალი: რა შუაშია არმაგნადონი ბეჭი სიმონსთან?

„უფრო ხშირად, ჩვენ განა ჯერ ვხედავთ და მერე განვსაზღვრავთ, არამედ ჯერ განვსაზღვრავთ და მერე ვხედავთ“².

უოლტერ ლიპმანი

ბეჭი სიმონსი 9 წლის იყო, როდესაც თავის დეიდასა და მეურვეს სარა პრინსს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბროკტონის ქუჩებში რელიგიური ლიტერატურის დარიგების დროს დაჰყ-

¹ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის იურიდიული კვლევისა და წერის სასწავლო პროგრამის ასოცირებული პროფესორი. იურისაპრუდენციის დოქტორი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლა; მეცნიერებათა დოქტორი, ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი. „უაღრესად მაღლიერი ვარ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტს იურიდიული სკოლის კვლევისა და აკადემიური პროგრამებს დევანს, უილიამ ტრავანორის, და ასოცირებულ დევანსის, პროფესორ რიბბინ ვესტსის იმ შეარდებულისთვის, რომელიც ქეშს მიმღრო გამოიჩინება. წინამდებარე ნაშრომი მოშადდლა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის გრანტის დახმარებით. ამ ნაშრომის ერთ-ერთი ვერსიის პრეზენტაცია ლუთერის კოლეჯში გაიმართა, როგორც ამ კოლეჯის „ეთიკის და საჯარო ცხოვრების ცენტრის“ მიერ 2010-2011 წლებში განხორციელებული პროგრამის ნაწილი. მადლობას ვუხდო კონკრეტის კოლეჯის (მურვედი, მინესოტა) აკადემიურ საქმითა ყოფილ დევანსა და ვიცე პრეზიდენტს და ამ კოლეჯის ამჟამინდელ პრეზიდენტს უილიამ კრაფტს; ეთიკის და საჯარო ცხოვრების ცენტრის დირექტორს ჯონ მოელერს; ლუთერის კოლეჯის ენერგიულ სტუდენტებს. მადლობა დევიდ ვოლიცს, რომლის ინტელექტუალური დიდსულოვნება, რომლითაც მე დრო და დრო ვსარგებლობდი, ჩემდა საბედნიეროდ, ამოუწუავი აღმოჩნდა.

² უოლტერ ლიპმანი, საზოგადოებრივი აზრი 54-55 [WALTER LIPPMANN, PUBLIC OPINION 54–55] (First Free Press Paperback ed. 1965) (1922).

ვებოდა³. ქალბატონი პრინსი, ჩვეულებრივ, არ აძლევდა ბეტის ნებას, დამით ქუჩებში ექა-დაგა, მაგრამ 1941 წლის 18 დეკემბრის საღამოს იგი დანებდა ბეტის მუდარას და (ალბათ, რაც უფრო ძნელი გასაძლები იყო) ცრემლებს⁴. მისის პრინსიცა და ბეტიც იეპოვას მოწმეები იყვნენ, რომელთათვისაც ქუჩაში ქადაგება რელიგიურ მოვალეობას წარმოადგენდა⁵. ბეტის-თვის ქუჩაში ქადაგება ღმერთის მიერ ნაბრძანები სამუშაო იყო, თუმცა ეს ის სამუშაო იყო, რომლის შესრულებაც მას მოსწონდა. ეს ღმერთის თავყვანისცემის საშუალება იყო⁶. თუმცა მასაჩუსეტსის კანონმდებლებისათვის ბეტის საქმიანობა სრულიად სხვა რამეს – ბავშვთა შრომაზე შტატის კანონმდებლობის დარღვევას ნიშნავდა. ეს კანონმდებლობა ბავშვებს უკრძალავდა, გაეყიდათ ან სხვისთვის შეეთავაზებინათ „რაიმე გაზეთი, უურნალი, პერიოდული გამოცემა ან ვაჭრობის ნებისმიერი სხვა საგანი.... ქუჩებსა და საჯარო ადგილებში“⁷. ასეთ შემთხვევაში კრიმინალური სანქციები უწესდებოდათ მშობლებსა და მეურვეებს, „რომლებიც აიძულებდნენ ან ნებას რთავდნენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებს, ჩართულიყვნენ აკრძალულ საქმიანობაში“⁸. სარა პრინსს ბრალი რამდენიმე მუხლით წაეყენა და სასამართლოს გადაწყვეტილების უდიდესი ნაწილი მასაჩუსეტსის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა⁹. ქალბატონმა პრინსმა გადაწყვეტილება აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა¹⁰.

საქმე *Prince v. Massachusetts* კარგად არის ცნობილი მისი დასკვნის გამო, რომ „საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ოჯახი, თავისთავად, არ არის რეგულირების მიღმა, რელიგიური თავისუფლების მოთხოვნასთან შედარებით“¹¹. საქმეში *Prince v. Massachusetts* სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო, როგორც *parens patriae*, ანუ რომელიც მოქმედებს იმ ადამიანთა დამცველად, ვისაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა, პასუხისმგებელია ახალგაზრდა ადამიანების ზოგად კეთილდღეობაზე¹². როგორც *parens patriae* (რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სახელმწიფოს/ერის მამას), სახელმწიფოს შეუძლია, დაიცვას ბავშვები მათი მშობლების და მეურვეების არასწორი ქმედებისაგან¹³. *Prince v. Massachusetts* საქმის განმხილველი სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს *parens patriae* უფლება „არ უქმდება მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლის საჩივარი ეფუძნება მტკიცებას, რომ შვილის რელიგიასა და სინდისთან დაკავშირებულ ქცევას მშობელი აკონტროლებს“¹⁴. მიუთითა რა რიგ სახელმწიფო კანონებზე (როგორებიცაა კანონები ბავშვთა შრომასა და სავალდებულო სასკოლო განათლებაზე), რომლებიც ზღუდვავდა მშობლის უფლებებს ბავშვის რელიგიურ აღზრდაზე,

³ საქმე *Prince v. Massachusetts*, 321 U.S. 158, 159-60 (1944).

⁴ იქვე, 161-62.

⁵ იქვე, 161.

⁶ იქვე, 162-63.

⁷ იქვე, 172 (მოსამართლე მერლი, განსხვავებული აზრი).

⁸ იქვე.

⁹ იხილეთ საქმე *Commonwealth v. Prince*, 46 N.E.2d 755, 759–60 (Mass. 1943).

¹⁰ საქმე *Prince v. Massachusetts*, 321 U.S. 160 (1944).

¹¹ იქვე, 166.

¹² იქვე.

¹³ იქვე, 166-67.

¹⁴ იქვე, 166.

სასამართლომ უარყო ქალბატონი პრინსის მოსაზრება, რომ ასეთი კანონმდებლობა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვს აშკარა და არსებული საფრთხე ემუქრება¹⁵. მაშინ როდესაც სრულწლოვანის რელიგიური საქმიანობის რეგულირებისთვის სახელმწიფოს შეიძლება ამის უტყუარი დასაბუთება მოეთხოვოს, ბავშვის შემთხვევაში მას ეს არ მოეთხოვება¹⁶. სასამართლოს თქმით, „ბავშვის საქმიანობაზე სახელმწიფოს უფრო ფართო უფლებები აქვს, ვიდრე სრულწლოვანის მსგავს ქმედებაზე“¹⁷. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, სახელმწიფოს მოეთხოვებოდა, ეჩვენებინა, რომ მას აქვს მხოლოდ ლეგიტიმური (და არა არსებითი) ინტერესი, ხელი შეუწყოს ბავშვთა ჯანმრთელობას, კეთილდღეობას ან უსაფრთხოებას და მან გამოიყენა საშუალება – ამ შემთხვევაში, შეზღუდვა დააწესა ბავშვების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებაზე – რომელიც თანაზომადია ამ მიზნის მისაღწევად (როგორც ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი საშუალება)¹⁸. ბავშვთა შრომის შესახებ, კანონმდებლობა ემსახურება „თავად ახალგაზრდის და მთელი საზოგადოების ინტერესს, რომ ბავშვები იყვნენ დაცული ცუდი მოპყრობისგან და ჰქონდეთ შესაძლებლობები, გაიზარდონ და ჩამოყალიბდნენ თავისუფალ და დამოუკიდებელ ადამიანებად და მოქალაქეებად“¹⁹. სასამართლოსთვის, უბრალოდ, ძალიან დაგვიანებული იქნებოდა ეჭვის შეტანა იმაში, რომ ბავშვების დასაცავად შექმნილი კანონმდებლობა შედის სახელმწიფოს უფლებამოსილებაში, დაიცვას წესრიგი „იქნება ეს მშობლის პრეტენზიასთან, აკონტროლოს ბავშვი, თუ პრეტენზიასთან, რომ რელიგიური პრინციპები საპირისპირო ქცევას კარნახობს“²⁰. ქალბატონი პრინსი არ გათავისუფლდა ბავშვთა შრომაზე სახელმწიფოს ზოგადი კანონის მოთხოვნებისაგან²¹.

მიუხედავად ბავშვის კეთილდღეობაზე ფოკუსირებისა, *Prince v. Massachusetts* საქმის განმხილველმა სასამართლომ რეალურად ბავშვი უგულებელყო, რომლის კეთილდღეობა მთავარი საკითხი იყო ამ საეტაპო სასამართლო საქმეში. ასე ერთი რამის გამო მოხდა – სასამართლოზე არავის გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ბეტი შეიძლება ძალიან პატარა ყოფილიყო იმისათვის, რათა ასეთი სერიოზული რელიგიური ერთგულება თავად აერჩია. მოსამართლე რატლიჯმა, რომელიც სასამართლოზე ჩანაწერებს აკეთებდა, აღნიშნა, რომ „ბეტის სწამდა, რომ ამ სამუშაოს შესრულება მისი რელიგიური მოვალეობა იყო და მისი შეუსრულებლობა მას არმაგედონის დროს სამუდამო განადგურებას მოუტანდა“²². ამ საკითხში სასამართლოს ორი მოსამართლე, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ, დაეთანხმნენ უმრავლესობას: ბეტის უნდოდა დეიდას გაჰყოლოდა, რათა მისი ღვთისადმი სიყვარულით, სახარების მისიონერულ ქადაგებაში ჩართულიყო²³. ქალბატონი პრინსიც, სასამართლოსათვის წარდგენილ საქმის გარემოებების აღწერილობაში ხაზს უსვამდა, რომ

¹⁵ იქვე, 166-67.

¹⁶ იქვე, 167-68.

¹⁷ იქვე, 168.

¹⁸ იქვე, 170-71.

¹⁹ იქვე, 165.

²⁰ იქვე, 168-69.

²¹ იქვე.

²² იქვე, 163.

²³ იქვე, 171-72 (მოსამართლე მერფი, განსხვავებული აზრი).

ვის ეუფლებას ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ბეტის „სურდა, ემსახურა ღმერთისათვის“²⁴. იგი უანგაროდ ემსახურებოდა ღმერთს. ქალბატონი პრინცის თქმით: „[ბეტი] ემსახურებოდა იეჰოვას და არა მის მცველს და რომელიმე ადამიანს ან საზოგადოებას, ანდა რაიმე მიწიერ ინსტიტუტს. გოგონას უნდოდა“ თავისი ლოცვები ღმერთისთვის აღვლინა. ვინაიდან ბეტი იეჰოვას ემსახურებოდა, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი რომელიმე მიწიერი არსებისთვის მუშაობდა. არც ერთ ადამიანს თუ მთავრობას არა აქვს უფლება, დასაჯოს ბავშვი ან რომელიმე სხვა არსება იმიტომ, რომ ბავშვს ნებას რთავს, იეჰოვას ემსახუროს“²⁵.

ამ მიდგომით, ბეტის ქადაგება ქუჩაში საერთოდ არ იყო ბავშვთა შრომა.

არც ერთი კონსტიტუციური ტრუიზმი არ არის საყოველთაოდ ისე აღიარებული, როგორც მოსამართლე ჯექსონის ცნობილი მსჯელობა საქმეში *West Virginia State Board of Education v. Barnette*, რომ „არც ერთ ოფიციალურ პირს, რამდენად მაღალი თუ ლამაზი უნდა იყოს ის, არ შეუძლია განუსაზღვროს ადამიანებს, რა უნდა იყოს გაბატონებული მოსაზრება პოლიტიკაში, ნაციონალიზმში, რელიგიასა თუ ნებისმიერ სხვა სფეროში, ანდა აიძულოს მოქალაქეები სიტყვითა თუ ქმედებით, აღიარონ თავიანთი მრწამსი ამ სფეროებში“²⁶. საქმეში *West Virginia State Board of Education v. Barnette* უზენაესმა სასამართლომ დაიცვა სკოლის მოსწავლეები ადგილობრივი მმართველობის ქმედებისაგან, რომელიც, აიძულებდა რა მათ დროშის ქვეშ მისალმებასა და ერთგულების შეფიცვას, „გასცდა იმ კონსტიტუტუციურ ფარგლებს“, რაც ამ შტატის ადგილობრივ მმართველობას ჰქონდა დაწესებული²⁷. რწმენის ასეთი იძულებითი აღიარება მძიმე ფაქტი იყო და დარტყმას აყენებდა ახალგაზრდა ბავშვების ინტელექტუალურ და მორალურ ინდივიდუალიზმს. ეს იძულებითი დროშის ქვეშ მისალმება და ერთგულების შეფიცვა „მოითხოვდა რწმენის და მიდგომების დადასტურებას“²⁸. ბავშვების იძულებით, ეთქვათ ის, რასაც ისინი არ ფიქრობდნენ²⁹, სახელმწიფო შეიჭრა ინტელექტის და სულის სფეროში, რომელსაც კონსტიტუციის პირველი შესწორება ყოველგვარი ოფიციალური კონტროლისგან იცავს“³⁰.

²⁴ მოსამართლის მოკლე განცხადება საქმეში 35, საქმე Prince v. Massachusetts, 321 U.S. 158 (No. 98).

²⁵ იქვე.

²⁶ 25. 319 U.S. 624, 642 (1943); შედრ., საქმე Everson v. Bd. of Educ., 330 U.S. 1, 15–16 (1947) („პირველი შესწორების მუხლი „რელიგიის დაკანონება“, სულ მინიმუმი, ნინავეს შემდეგა: ვერც შტატის და ვერც ფედერალური მთავრობა ვერ დააფუძნებს ეკლესიას. ვერც ერთი მთავრობა ვერ მიიღებს კანონს, რომელიც მხარს უჭერს ერთ რელიგიას, მხარს უჭერს ყველა რელიგიას, ანდა უპირატესობას ანიჭებს ერთ რელიგიას მეორესთან შედარებით. ვერც ერთი მთავრობა ვერ აიძულებს ადამიანს ან ვერ მოხადენს მასზე ზრდოქმედებას, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ წავიდეს ან არ წავიდეს ეკლესიაში, ანდა ვერ აიძულებს, ირწმუნოს ან არ ირწმუნოს რომელიმე რელიგია. არც ერთი ადამიანი არ დაისჯება იმისთვის, რომ სწამს ან არ სწამს რელიგიის, ესწრება ან არ ესწრება ეკლესიაში რელიგიურ რიტუალებს. არანაირი გადასახადი, დიდი თუ მცირე, არ მოკირინება რომელიმე რელიგიური საქმიანობის ან ინსტიტუციის მხარდასაჭრად, რაც არ უნდა ერქვას მას ან რა ფორმითაც არ უნდა ქადაგდეს ან აღასრულებდეს რელიგიურ რიტუალებს. ვერც შტატის და ვერც ფედერალური მთავრობა ვერ მიიღებს მონაწილეობას, დაად თუ ფარულად, რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის ან ჯგუფის საქმეებში და პირიქით“).

²⁷ საქმე Barnette, 319 U.S. at 642.

²⁸ იქვე, 633.

²⁹ იქვე, 634.

³⁰ იქვე, 642. პირველ შესწორებაზე, როგორც ინდივიდუალური ღირსების დამცველზე, იხილეთ, მაგალითად, საქმე Cohen v. California, 403 U.S. 15, 24 (1971). „სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება ძლიერი წამალია ისეთ მნიშვნელოვან და მრავალრიცხვოვან საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია. იგი შექმნილია და გამიზნულია იმისთვის, რომ მოაცილოს სამთავრობო შეზღუდვები საჯარო დისკუსიის სივრცეს და ყოველი ჩვენგანის ხელთ იყოს გადაწყვეტილება იმაზე, თუ რა ძირითადი მოსაზრებები უნდა ისმოდეს იმ იმედით, რომ ასეთი თავისუფლების გამოყენებით, საბოლოოდ, უფრო

იმ მოსაზრებათა ჩამონათვალში, რომელიც ადამიანებს არ შეიძლება ოფიციალურად განესაზღვროს, რელიგია პრივილეგირებულ ადგილს იკავებს. რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია წარმოიშობა დაშვებიდან, რომ რელიგიური პინციპები მხოლოდ და მხოლოდ სინდისით არის ნაკარნახევი. ვინაიდან რელიგია, ჯეიმს მედისონის თქმით, არის „მოვალეობა, რომელიც ჩვენ შემოქმედის წინაშე გვაქვს.... მისი მართვა შეიძლება მხოლოდ გონებითა და რწმენით და არა იძულებით ან ძალადობით“³¹. ანუ, მისი მართვა არც სახელმწიფოს მიერ შეიძლება. სახელმწიფოს მიერ რელიგიური შეხედულების ყველაზე კეთილისმყოფელმა გამოხატულებამაც კი „შეიძლება ინდოქტრინაციისა და იძულების პოლიტიკა მოიტანოს“, რაც რწმენის ნებაყოფლობითობას და, შესაბამისად, სიწრფელეს, ეჭვის ქვეშ დააყენებს³². სასამართლოს თქმით, „სახელმწიფოს მიერ შექმნილი ორთოდოქსია სერიოზულ საფრთხეს უქმნის რწმენისა და სინდისის იმ თავისუფლებას, რომელიც ერთადერთი დასტურია იმისა, რომ რელიგიური რწმენა წრფელია და არა თავს მოხვეული“³³.

თუმცა ბავშვებისთვის რწმენისა და სინდისის თავისუფლებას არანაკლები საფრთხე ემუქრება კერძო პირების ორთოდოქსისგან და ზიანი, რაც ბავშვისთვის კერძო პირისგან იძულებას მოაქვს, არანაკლებ მძიმეა. ინტელექტისა და სულიერების სფეროში შეჭრა მაშინ ხდება, როდესაც ბავშვებს აიძულებენ, ირწმუნოს ის, რაც სხვა ადამიანებს სწამთ ან არ დაიჯერონ ის, რისიც სხვებს არ სჯერათ იმ შემთხვევაშიც კი, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს „სხვები“ მათი მშობლები ან რელიგიის მენტორები არიან. და მაინც, ბავშვები კერძო პირის მხრიდან რელიგიური იძულების უმეტესი ფორმისგან იურიდიულად დაუცველები რჩებიან. მართლაც, როდესაც საქმე ბავშვების რელიგიურ აღზრდას ეხება, რწმენის თავისუფლებამ შეიძლება თავისი ჩვეული მნიშვნელობა დაკარგოს. „სამუდამო განადგურების“ შიშმა, რომელიც ბეტის ჰქონდა, გარკვეულწილად აჩვენა, რომ მისი ევანგელისტური სურვილები თავისუფალი არჩევანის შედეგი იყო. სასამართლო არ შეჩერებულა იმის განსახილველად,

უნარიანი სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდება და უფრო დახვეწილი მმართველობის სისტემა შეიქმნება და იმ რწმენით, რომ არც ერთი სხვა მიდგომა არ შეესაბამება ვარაული ინდივიდუალური ღირსების და არჩევანის შესახებ, რასაც ჩვენი პოლიტიკური სისტემა უმყარება“. შეადარე, მაგალითად, სტივენ არონსი და ჩარლზ ლოურენსი III, „ქვეცნბიერის მანიპულაცია: სასკოლო განათლების კრიტიკა პირველი შესწორების მიხედვით“ [Stephen Arons & Charles Lawrence III, *The Manipulation of Consciousness: A First Amendment Critique of Schooling*], 15 HARV. C.R.-C.L. L. REV. 309, 312 (1980) („პირველი შესწორება არის... განცხადება ყოველი ინდივიდის ღირსების და ფასეულობის შესახებ.“) თომას ი. ემერსონი, „პირველი შესწორების ზოგადი თეორიისათვის“ [Thomas I. Emerson, *Toward a General Theory of the First Amendment*], 72 YALE L.J. 877, 879 (1963) („გამოხატვა იდეების განვითარების, გონიერივი ძიებისა და საკურარ თაქში დარწმუნების განუყოფელი ნაწილია. ადამიანის პოტენციალის გაცნობიერების ძალა აქედან იწყება და, მინიმუმ, აქამდე უნდა გაგრძელდეს, თუმცა ადამიანის მთელ ბუნებას დათრგუნვა არ უწერია. აქედან გამომდინარე, რწმენის, შეხედულების და გამოხატვის დათრგუნვა ადამიანის ლირსების შეურაცყოფა, ადამიანის არსებითი ბუნების უარყოფა“); ანჯერ ს. გრინი, „ერთგულების პირობის პრობლემა“ [Anjel S. Greene, *The Pledge of Allegiance Problem*], FORDHAM L. REV. 451, 483 (1995) („ხალხის იურიდიული სანქციების შიშმით იძულება, თქვას ის, რის თქმაც არ სურს, ღირსებისთვის ისეთივე შეურაცყოფელია, როგორც ბევრი სხვა კანონი, რომელიც სასამართლო გაუქმა“).

³¹ ჯეიმს მედისონი, „ქრონიკა და პროტესტი რელიგიური შეჯასებების წინააღმდეგ“, გადახეჭდილია გამოცემაში „უზენაესი სასამართლო ეკლესიასა და სახელმწიფოზე“ 18 (რედაქტორი რობერტ ს. ელი, 1988) [James Madison, *Memorial and Remonstrance Against Religious Assessments, reprinted in THE SUPREME COURT ON CHURCH AND STATE 18* (Robert S. Alley ed., 1988)]; შდრ, ტომას ჯეფერსონი, „ვირჯინიის კანონი რელიგიურ თავისუფლებაზე“ (1786), გადახეჭდილია გამოცემში „ვირჯინიის კანონი რელიგიურ თავისუფლებაზე. მისი ევოლუცია და შედეგები ამერიკის ისტორიაში“ xvii (რედაქტორები: მერილ დ. ჰეტერსონი და რობერტ ს. ვოგანი, 1988) [Thomas Jefferson, *The Statute of Virginia for Religious Freedom (1786)*, reprinted in *THE VIRGINIA STATUTE FOR RELIGIOUS FREEDOM: ITS EVOLUTION AND CONSEQUENCES IN AMERICAN HISTORY* xvii (Merrill D. Peterson & Robert C. Vaughan eds., 1988)].

³² საქმე Lee v. Weisman, 505 U.S. 577, 592 (1992).

³³ იქვე.

ვის ეუფლების ბავშვის სული? ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

შეზღუდა თუ არა ბეტის რელიგიურმა აღზრდამ მისი არჩევანი – თავისუფლად აერჩია ან თავისუფლად უარეყო მისი მეურვის რელიგიური მრწამსი. თეოლოგიის თვალსაზრისით, შესაძლოა გვაინტერესებდეს, რამდენად თავისუფალი შეიძლება იყოს ბავშვი რელიგიური არჩევანის გაკეთებაში, როდესაც არასწორი არჩევანის გაკეთების შედეგები ასეთი ულმობელია. სასამართლოს საქმიანობისთვის უფრო ყურადსალები არის ის, თუ რას ნიშნავს ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის იმის დაჯერება, რომ მისი ქცევა – ან, ბეტის თვალსაზრისით, არასწორი ქცევა – მას სამუდამო განადგურებას მოუტანს.

უზენაესი სასამართლო არ შეჩერებულა ასეთ საკითხებზე მსჯელობისთვის. მან, საეჭვო საფუძველზე დაყრდნობით, ქალბატონი პრინსის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ქუჩაში ქადაგება ბავშვებისთვის სახიფათო საქმიანობა იყო³⁴. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ბეტისთვის საზიანო რეალურ საფრთხეს: – ისეთი რელიგიური რეჟიმის საფრთხეს, რომელიც ჭეშმარიტი რწმენის რეალურ არჩევანს შეუძლებელს თუ არ ხდის, ართულებს მაინც. უნდა ითქვას, რომ, შესაძლოა, სასამართლომ კი არ უგულებელყო ეს ზიანი, არამედ ვერ დაინახა ის. სასამართლომ ვერ დაინახა შესაძლებლობა იმისა, რომ ბეტის მორჩილება არჩევანის შედეგი კი არ იყო, არამედ არჩევანის დაკარგვის, ოჯახური ავტორიტარიზმისადმი ბავშვური დათმობის პროდუქტი. ემოციურად არასწორი მიდგომის საფრთხე ხელის გულზე იდო, მაგრამ სასამართლოს ხელი შეუშალა კულტურულმა ნორმამ, რომლის თანახმადაც, მშობლებს შვილების რელიგიური მრწამსის ფორმირების უფლება აქვთ. სასამართლომ ვერ შეძლო ეკითხა: რა შუაშია არმაგედონი ბეტი სიმონსთან?

II. ორი თავისუფლების ამბავი

სარა პრინსმა თავის საჩივარს საფუძვლად ორი თავისუფლება დაუდო: რელიგიის თავისუფლება (რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის პირველი შესწორების მუხლით თავისუფლალი სარგებლობის შესახებ) და მშობლის მიერ ბავშვის აღზრდის უფლება (გარანტირებული კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების მუხლით სათანადო მართლმსაჯულების შესახებ). სასამართლოს თანახმად, ამ კონსტიტუციური გარანტიების კომბინაცია განსაკუთრებით ძლიერი დაცვა იყო სახელმწიფოს რეგულირებისავან. „მშობლის კონფლიქტი სახელმწიფოსთან ბავშვზე კონტროლსა და მის აღზრდასთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზული კონფლიქტია, როდესაც საქმე მხოლოდ სეკულარულ საკითხებს ეხება. კიდევ უფრო მეტად სერიოზულია, როდესაც მასში რელიგიური რწმენის ელემენტი შემოდის“³⁵. ქალბატონი პრინსის თვალსაზრისით, მასაჩუსეტსის შტატმა დარტყმა მიაყენა მშობლის უფლებას, იყოს რელიგიური მენტორი. ქალბატონი პრინსისთვის საკმაოდ ცხადი იყო, რომ შტატი არ

³⁴ იხილეთ საქმე Prince v. Massachusetts, 321 U.S. 158, 169–71 (1944).

³⁵ იქვე, 165.

იყო უფლებამოსილი, ჩარეულიყო ამ ყველაზე წმინდა რელიგიურ მოვალეობასა და ყველაზე ბუნებრივ უფლებაში. მისი თქმით, ოჯახი არის „ყველა მოწესრიგებული მთავრობის ხერხე-მაღი“ და ბავშვის მორალური და სოციალური ღირებულებების წყარო³⁶. ოჯახი წინ უძლვის და აღმატება სახელმწიფოს უფლებამოსილებას. „ოჯახი და სახლი ინსტიტუტებია, რომლებსაც თავისთავად აქვთ საკუთარი უფლებები“, ამტკიცებული ქალბატონი პრინსი³⁷. „მათი შექმნა არ არის მთავრობაზე დამოკიდებული. ეს ინსტიტუტები ზრუნავდა კაცობრიობის შეანრჩუნებაზე ბევრად ადრე, ვიდრე ორგანიზებული მთავრობა შეიქმნებოდა“³⁸. შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს როლია, დაიცვას და შეინარჩუნოს მშობლის უფლებები შვილებზე... მიუხედავად იმისა, რომ სხვებს შესაძლოა არასწორად ეჩვენებოდეთ მომჩივნის [ანუ ქალბატონი პრინსის] მიერ ბავშვის სულიერი აღზრდის და ქადაგების ის პრაქტიკა, რომელსაც მომჩივნი საკუთარი სინდისის კარნახით ასრულებს³⁹. ქალბატონი პრინსი ვერ იმოქმედებდა საკუთარი სინდისის კარნახით, თუ იგი ნებას დართავდა ბეტის, აცდენოდა ჭეშმარიტ გზას. ამრიგად, ქალბატონი პრინსისთვის, რეალურად, ფსონზე ორი თავისუფლება კი არ იდო, არამედ უფრო რელიგიის თავისუფლების უფლება და მშობლის უფლება, აღზარდოს ბავშვი, განუყოფლად იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული. სახელმწიფო დარტყმას ვერ მიაყენებდა ერთს მეორის დაუზიანებლად.

ქალბატონი პრინსი ამ ომს წაგებს, მაგრამ ბრძოლა რელიგიური აღზრდის უფლების შეანრჩუნებისთვის, რომელიც, მართალია, ხანგრძლივი იყო, ძირითადად წარმატებული აღმოჩნდა და ეს წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა იმ იდეამ, რომ რელიგიური აღზრდა აერთიანებს ორ ხელშეუვალ უფლებას განუყოფელ ერთიანობაში. დღეს, მშობლის რელიგიური აღზრდის უფლებებს სახელმწიფოს რეგულირებისგან კონსტიტუცია იცავს. სახელმწიფოს ქმედება, რომელიც მშობლის რელიგიური აღზრდის უფლებებს ვალდებულებით ტვირთავს, გაძლიერებული სასამართლო შესწავლის საგანია (ისეთი განხილვისა, როგორსაც ქალბატონი პრინსი ითხოვდა), ანუ „მკაცრი შესწავლის“ [strict scrutiny] საგანი, რომელიც მკაცრია თეორიაში, მაგრამ პრაქტიკაში – უმეტესად ფატალური. ეს არის დაცვის ის ხარისხი, რითაც არც რელიგიური თავისუფლების უფლება და არც მშობლის მიერ აღზრდის უფლება თავისთავად არ სარგებლობს.

მკაცრი შესწავლა, ჩვეულებრივ, გამოიყენება სახელმწიფოს ისეთი ქმედებისთვის, რომელიც ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებს ლახავს (ანდა დისკრიმინაციულია რომელიმე ჯგუფის მიმართ რაიმე დაუშვებელი ნიშნით)⁴⁰. კანონთა უმეტესობის კონსტიტუციური შემოწმება ხდება „ფართო დისკრეციის“ [deferral review]⁴¹ სტანდარტით, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებად მომთხოვნი და დაბალი სტანდარტია ვიდრე „მკაცრი შემოწმება“. „რაციონალურ საფუძველზე განხილვის“ [rational basis review] შემთხვევაში, სასამართლოები

³⁶ მოსარჩელის მოკლე განცხადება საქმეზე, ზემოთ შენიშვნა #23, 16.

³⁷ იქვე, 17.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, 18, 40.

⁴⁰ საქმე United States v. Virginia, 518 U.S. 515, 567 (1996).

⁴¹ ერვინ ჩემერინსკი, კონსტიტუციური სამართალი 720 (მე-3 გამოცემა, 2009) [ERWIN CHEMERINSKY, CONSTITUTIONAL LAW 720 (3d ed. 2009)].

ემყარებიან ვარაუდს, რომ კანონი კონსტიტუციურია⁴². მხარემ, რომელიც ამ ვარაუდის გაბათილებას ცდილობს, უნდა აჩვენოს, რომ (1) კანონი არ ემსახურება არანაირ ლეგიტიმურ მიზანს, ან (2) კანონით გათვალისწინებული საშუალებები რაციონალურად არანაირად არ უკავშირდება კანონის დასახულ მიზანს⁴³. მკაცრი შესწავლის სტანდარტით განხილვის დროს სასამართლო ემყარება ვარაუდს, რომ კანონი არაკონსტიტუციურია⁴⁴. ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, რომ (1) კანონი ემსახურება სავალდებულო მიზანს და (2) კანონით გათვალისწინებული საშუალებები, შეძლებისდაგვარად, ზუსტად არის განსაზღვრული კანონის დასახული მიზნის მისაღწევად⁴⁵. ვინაიდან მკაცრი შესწავლის ბარიერის გადალახვა ძალიან ძნელია, სასამართლოს მიერ გამოყენებული განხილვის სტანდარტმა ადვილად შეიძლება განსაზღვროს საქმის შედეგი.

ცალ-ცალკე აღებული, არც რელიგიის თავისუფლების უფლება და არც მშობლის უფლება, აღზარდოს ბავშვი, არ გახდება მკაცრი შესწავლის საგანი. საქმეში *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith* უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ სახელმწიფოს ქმედება რელიგიური პრაქტიკის შესაბამის უფლებულია კონსტიტუციით, თუ იგი არ არის მიმართული უშუალოდ რელიგიური პრაქტიკის წინააღმდეგ ან რელიგიური ჯგუფის დისკრიმინაციისკენ⁴⁶. არც მშობლებს აქვთ ფუნდამენტური უფლება, მართონ შვილების აღზრდა. უზენაესმა სასამართლომ მშობლის ფუნდამენტურ უფლებასთან დაკავშირებით ზოგადი ენა გამოიყენა, რამაც გაურკვევლობა გამოიწვა დაბალი ინსტანციის სასამართლოებში, თუმცა, როგორც მოსამართლე სკალიამ სწორად აღნიშნა, ცნებას, მშობლის უფლება „მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლებაა“, რომ აღარაფერი ვთქვათ ფუნდამენტურზე, ბევრი არაფერი ამყარებს⁴⁷. თუმცა ერთობლივად ეს უფლებები ქმნიან მყარ კონსტიტუციურ

⁴² იქვე.

⁴³ იქვე (ციტირებული საქმები: *Pennell v. City of San Jose*, 485 U.S. 1, 14 (1988); *U.S. Railroad Retirement Board v. Fritz*, 449 U.S. 166, 175, 177 (1980); და *Allied Stores of Ohio v. Bowers*, 358 U.S. 522, 527 (1959)).

⁴⁴ იქვე, 719.

⁴⁵ იქვე, იხილეთ ასევე, მაგალითად, საქმე *Grutter v. Bollinger*, 539 U.S. 306, 326 (2003).

⁴⁶ 494 U.S. 872, 879 (1990) („თავისუფლებით სარგებლობა არ ათავისუფლებს ინდივიდს ვალდებულებისაგან, დაიცვას მოქმედი და ნეიტრალური კანონი, რომელიც ყველას ეხება იმ მიზეზით, რომ ეს კანონი კრძალავს (ან აწესებს) ისეთ ქცევას, რომელსაც მისი რელიგია აწესებს (ან კრძალავს)“. (ციტირებული საქმე *United States v. Lee*, 455 U.S. 252, 263 n.3 (1982) (მოსამართლე სტივენის, თანხმედროვე აზრი).)

⁴⁷ საქმე *Troxel v. Granville*, 530 U.S. 57, 92 (2000) (მოსამართლე სკალია, განსხვავებული აზრი) („მხოლოდ ამ სასამართლოს სამი გადაწყვეტილება მოთავსნად ან ნაწილობრივ ემყარება მშობლების მატერიალურ კონსტიტუციურ უფლებას, წარმატონ თავიანთი ბავშვების აღზრდა – ორი მათგანი იმ ეპოქიდანაა, რომელიც მდიდარი იყო მატერიალური სამართლის სათანადო პროცესის გადაწყვეტილებებით, რომლებიც მას შემდეგ გაუქმდებული იქნა“.) (ციტირებული საქმები: *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972); *Pierce v. Soc'y of Sisters*, 268 U.S. 510 (1925); და *Meyer v. Nebraska*, 262 U.S. 390 (1923)) იხილეთ ასევე საქმე *Immediato v. Rye Neck Sch. Dist.*, 73 F.3d 454, 461 (2d Cir. 1996) („თუმცა უზენაეს სასამართლოს მკაფიოდ არასდროს მიუთოთებია არის თუ არა ეს „მშობლის უფლება“, როდესაც იგი მოხმობილია სახელმწიფო რეგულირების წინააღმდეგ, მთიანებოვს მკაცრ შესწავლას ან იმსახურებას მხოლოდ განხილვას რაციონალურ სუვერენიტეტი. შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ჩვენებული წაკითხვა გვარწმუნებს, რომ რაციონალურ განხილვა შესაფერისა“); საქმე *Brown v. Hot, Sexy and Safer Prod.*, 68 F.3d 525, 533 (1st Cir. 1995) („უზენაეს სასამართლოს ჯერ არ გადაუწყვეტია, შედის თუ არა შვილების აღზრდის და განათლების წარმართვის უფლება, იმ ფუნდამენტურ უფლებებში, რომელთა შელავის მაჩვენებლები ამკაცრებს საქმის შესწავლის სტანდარტს“). საქმე *Baker v. Owen*, 395 F. Supp. 294, 299 (M.D.N.C. 1975) („ჩვენ უარყოფთ ქალბატონი ბევრის მოსაზრებას, რომ ეს უფლება არის ფუნდამენტური და რომ სახელმწიფოს შეუძლია მისი ბავშვის ფიზიკურად დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს აქვს არსებითი ინტერესი, რომელიც გადაწონის მშობლის უფლებას ასე მაღლა კონსტიტუციური ღირებულებების იერარქიაში. თითოეულ საქმეში მშობლის უფლებას უპირატოსობა ჰქონდა არა იმიტომ, რომ სასამართლომ დაარქვა მას ფუნდამენტური, ხოლო სახელმწიფოს ინტერესს არასებითი, არამედ იმიტომ, რომ სასამართლომ სახელმწიფოს ქმედება მიიჩნია თვითნებობად, რომელიც სათანადო არ უკავშირდებოდა მიზანს, რომელიც ლეგიტიმურად მის კომპეტენციაში

კედელს, რომელიც იცავს მშობლებს სახელმწიფოს ჩარევისაგან ბავშვების რელიგიურ აღზრდაში. რადგან უზენაესმა სასამართლომ, საქმეში *Wisconsin v. Yoder* ასევე თქვა, რომ მშობლის ინტერესები, აღზარდოს ბავშვი, გაერთიანებულია თავისუფალი აღსრულების მოთხოვნასთან, „საჭიროა მეტი, ვიდრე გონივრული კავშირი სახელმწიფოს კომპეტენციაში არსებულ რაიმე მიზანთან”, რათა სახელმწიფოს მოთხოვნა, პირველი შესწორების გათვალისწინებით, საფუძვლიანი იყოს⁴⁸. ასეთ ჰიბრიდულ საქმეებში, მკაცრი შესწავლა გარანტირებულია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სახელმწიფოს ქმედება არ ეხება რელიგიურ პრაქტიკას, ანდა არ ლახავს ფუნდამენტურ უფლებას⁴⁹.

„ჰიბრიდული უფლებების“ დოქტრინამ *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith* საქმის მერეც გააგრძელა სიცოცხლე, თუმცა მისი გამოყენების სფერო არ იყო ზუსტად განსაზღვრული⁵⁰. სასამართლომ, რომელიც *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith* განიხილავდა არ დაადგინა მკაფიოდ, რომ ეს დოქტრინა ზოგადი კონსტიტუციური პრინციპებიდან გამონაკლისი იყო⁵¹. თუმცა რელიგიური აღზრდის საქმეების სფეროში გამონაკლისი ადვილად აუქმებს წესს. ვინაიდან თავისი განსაზღვრებით ასეთი საქმეები ჰიბრიდულია, მკაცრი შესწავლა ნორმად იქცევა და შედეგად იქმნება სამართლის ცალკე სფერო, რომელშიც ხელისუფლების შესაძლებლობა, აღასრულოს კანონი, დამოკიდებულია ინდივიდუალურ რელიგიურ მრწამსზე⁵². ამ თვალსაზრისით, სასამართლომ, რომელიც განიხილავდა საქმეს *Wisconsin v. Yoder*, გააკეთა უფრო მეტი, ვიდრე სახელმწიფოს საგანმანათლებლო მოთხოვნებისაგან ემიშის მშობლების გადარჩენა იყო. მან შექმნა მოქმედი კანონის იგნორირების კერძო უფლება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო თითქოს შეაკავა გადაწყვეტილების გავლენა მომავალში იმით, რომ ის მხოლოდ ამ საქმის ფაქტებით შემოფარგლა⁵³, ერთხელ როცა მკაცრ შესწავლას გამოიყენებ, მერე მისი შეკავება ადვილი არ იქნება. *Wisconsin v. Yoder* პრეცედენტული საქმე გახდა, რომელმაც გზა გაუხსნა უამრავ

შედიოდა. სასამართლოს არც მერე უსუბრია მშობლის უფლებებზე როგორც ფუნდამენტურ უფლებებზე პირიქით, სასამართლოს მიერ ამ უფლებების მოხსენიებები ამყარებს მოსაზრებას, რომ ისინი არ არის ფუნდამენტური (“ციტირებები გამოტოვებულია), გადაწყვეტილება დამტკიცებულია 423 U.S. 907 (1975) (სასამართლოს მიერ). ვრცელი განმრთებები კეთდება საქმეებზე Meyer და Pierce, იხილეთ, მაგალითად, რიჩარდ ვ. გემიტი, „პირსის საქმის სერიოზული აღქმა: ოჯახი, რელიგიური განათლება და ბავშვებისთვის ზანის მიყენება“ [Taking Pierce Seriously: The Family, Religious Education, and Harm to Children], 76 NOTRE DAME L. REV. 109, 143 (2000) (რომელშიც პირსის საქმე შეფასებულია როგორც „რელიგიური თავისუფლებების და მოქალაქეებზე ხელისუფლების შეზღუდული ბათონობის ხმამაღალი დადასტურება“], მაგრამ ეს საეტაპო სამორთლებრივი პროცედურების განმარტების საქმეები არანაირად არ ამყარებს მტკიცებას, რომ მშობლის უფლება ფუნდამენტური უფლებაა.

⁴⁸ 406 U.S. 205, 233 (1972).

⁴⁹ იხილეთ საქმე *Smith*, 494 U.S., 881 (რომელიც გულისხმობდა „თავისუფალი აღსრულების მუხლის [მოთხოვნების] სხვა კონსტიტუციურ დაცასათან ერთობლიობაში“ და სიტყვის თავისუფლების საქმეების, რომლებმიც ასევე ფაგურირებდა რელიგიის თავისუფლება მკაცრი შესწავლით განსილებას, მაგრამ დაადგინა, რომ *Smith*-ის საქმე „არ წარმოადგენს ასეთ ჰიბრიდულ სიტუაციას“).

⁵⁰ იხილეთ საქმე *Smith*, 494 U.S., 881-82.

⁵¹ იხილეთ იქვე, 888 (მკაცრი შესწავლის გამოყენება „განურჩევლად ყველა საქმეზე“ იქნებოდა „სასამართლო ანარქია“).

⁵² იხილეთ იქვე, 886 (არსებითი ინტერესის ტესტი წარმოშობდა „კერძო უფლებას, უგულებელყოფილი იქნეს ზოგადად გამოყენებადი კანონიბი“).

⁵³ იხილეთ საქმე *Yoder*, 406 U.S. at 229, 233 („სახელმწიფოს, როგორც *parens patriae*-ის უფლება, უზრუნველყოს საშუალო განათლების სიკეთის მიწოდება ბავშვებისთვის, მათი მშობლების სურვილების მიუხედავად“, ვერ იქნება მსარდაჭერილი „იმ ხასიათის თავისუფალი აღსრულების მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც ამ ჩანაწერში ვლინდება“.) (ხაზგასმა ჩეგნია). იქვე, 236 (აღნიშვნულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება „რამდენიმე სხვა რელიგიურ ჯგუფსა და სექტასაც ეხება“).

ვის ეუფლებას ბავშვის სული? ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

საქმეს რელიგიურ აღზრდაზე, რამაც სასამართლობისგან ისეთი დასაბუთების გამოყენება მოითხოვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ ტრადიციასა და საღ აზრს⁵⁴.

ჰიბრიდული საჩივრის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდოს მშობლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ მშობლის გადაწყვეტილებებმა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას, ანდა აქვს პოტენცია, იქცეს მნიშვნელოვანი სოციალურ ტვირთად“⁵⁵. ეს მავნე სტანდარტი მშობლის მიერ რელიგიური აღზრდის უფლებებს საკმაოდ დიდ ფასად იცავს. იგი მსხვერპლად სწირავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რათა გააძლიეროს მშობლის უფლებები. ეს ის ფასია, რომლის გადახდაც ბავშვებს არ უნდა მოეთხოვოთ. როგორც უზენაესმა სასამართლომ სწორად უთხრა სარა პრინს: მართალია, მშობლებს შეიძლება ჰქონდეთ თავისუფლება, თავად გახდნენ მოწამეები, მაგრამ „აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ მათ აქვთ უფლება, მსგავს ვითარებაში, თავიანთი ბავშვები გახადონ მოწამეები მანამ, სანამ ისინი არ მიაღწევენ სრულწლოვანებას და ლეგალურ დისკრეციას, როდესაც თავად შეეძლებათ საკუთარი არჩევანის გაკეთება“⁵⁶.

III. თავისუფალი არჩევანის გარანტია

საქმეში *West Virginia State Board of Education v. Barnette*, მოსამართლე ჯექსონი წერს, რომ საჯარო განათლება არ არის თავისუფალი, თუ სწავლება იდეოლოგიური გავლენებით ხდება. „თავისუფალი საჯარო განათლება, თუ იგი სეკულარული სწავლების და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის იდეალის ერთგულია, არ იქნება რომელიმე კლასის, კრედოს, პარტიის ან ფრაქციის მომხრე ან მოწინააღმდეგე“⁵⁷. თუმცა ჯექსონი სინამდვილეში იდეოლოგიურ ნეიტრალიტეტს არ ქადაგებდა. მისი სიტყვები არის მოწოდება „აზროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უპირატესობის შესახებ ოფიციალურ დისციპლინარულ ერთგვაროვნებასთან შედარებით“⁵⁸. განათლებამ უნდა კვებოს ბავშვის „თავისუფალი აზროვნება“. წინა პოსტმოდერნისტი ჯექსონისათვის აზროვნების თავისუფლება არ არის უბრალოდ მორიგი ოფიციალური დისციპლინა. ეს არის ჩვენი კონსტიტუციური წყობის ცენტრალური ლიბერალური და გამათავისუფლებელი იდეოლოგია.

⁵⁴ იხილეთ საქმე *Smith*, 494 U.S at 885 („ინდივიდის დაგალდებულება, დაემორჩილოს ისეთ კანონს, რომელიც ემთხვევა მის რელიგიურ მრწმეს... ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციურ ტრადიციას, ასევე საღ აზრს“.).

⁵⁵ საქმე *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205, 234 (1972).

⁵⁶ საქმე *Prince v. Massachusetts*, 321 U.S. 158, 170 (1944).

⁵⁷ 319 U.S. 624, 637 (1943); შედრ., საქმე *Everson v. Bd. of Educ. of Ewing Twp.*, 330 U.S. 1, 23–24 (1947) (მოსამართლე ჯექსონი, განსხვავებული აზრი) (საჯარო სკოლა „ემყარება ვარაუდს, რომ სეკულარული განათლება იზოლირებული უნდა იყოს ყველა რელიგიური განათლებისაგან ისე, რომ სკოლაში შეძლოს ყველა საჭირო ცოდნის ასაკის შესაბამისად მიწოდება და ასევე, დაიცვას შეაცრი რელიგიური ნეიტრალურობა“).

⁵⁸ საქმე *Barnette*, 319 U.S at 637.

უზენაესი სასამართლო თავის რწმენას ინტელექტუალურ დამოუკიდებლობაში ხედავს. აზროვნების თავისუფლება კონკრეტული საკონსტიტუციო გარანტიებით არის გამყარებული, როგორებიცაა სიტყვის და რელიგიის თავისუფლება და ეს ორი თავისუფლება, ერთად ალებული, არის ის გარანტია, რასაც კონსტიტუციური სამართლის მკვლევარი, ლოურენს ტრაიბი უწოდებს „ინდივიდუალური სინდისის ტევად სივრცეს... „ინტელექტის და სულის სივრცეს“, რომელიც კონსტიტუციურად არის დაცული მთავრობის მაქინაციებისა და მანიპულაციებისაგან”⁵⁹. ანდა, როგორც მოსამართლე სტიუარტმა უფრო მარტივად თქვა, „კონსტიტუცია იძლევა... თავისუფალი არჩევანის საზოგადოების გარანტიას“⁶⁰.

სასამართლომ, რომელიც საქმეს *Prince v. Massachusetts* განიხილავდა, სამუშაოდ ეს პრინციპები დაადგინა. მიუხედავად იმისა, რომ „ბავშვზე ზრუნვა, მისი მოვლა და აღზრდა უპირველესად მშობლების უფლებაა“⁶¹, და მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს აქვთ უფლება, „უზრუნველყონ შვილების რელიგიური აღზრდა და წახალისონ მათ მიერ რელიგიური რიტუალების შესრულება“⁶², არც რელიგიის უფლება და არც აღზრდის უფლება არ არის შეუზღუდავი⁶³. სასამართლოს თქმით, ახალგაზრდების კეთილდღეობის ზოგადი ინტერესის დასაცავად სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის უფლებამოსილება ისეთ სფეროებში, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის აღზრდაზე, მათ შორის სინდისისა და რელიგიური მრწამსის სფეროებში⁶⁴. სახელმწიფოს ფართო უფლებები მიმართულია როგორც ბავშვების, ასევე საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. მართლაც, სწორად გაგების შემთხვევაში, ბავშვის ინტერესი და ზოგადი ინტერესი ერთი და იგივეა. სასამართლოს განმარტებით, უწყვეტობის შესანარჩუნებლად „დემოკრატიული საზოგადოება ემყარება... ახალგაზრდების ჯანსაღ, ჰარმონიულ აღზრდას სრულად მოწიფულ მოქალაქეებად ყველა იმ ასპექტის ჩათვლით, რასაც ეს გულისხმობს“⁶⁵.

თუმცა რას გულისხმობს ეს? რას ნიშნავს „ჯანსაღი, ჰარმონიული აღზრდა“? რას ნიშნავს „სრულად მოწიფული“? სასამართლოს პასუხი არ იყო ავტორიტარული: „თავად ახალგაზრდების და მთლიანად საზოგადოების ინტერესებშია, რომ ბავშვები დაცული იყვნენ ზეწოლისგან და მიეცეთ შესაძლებლობა, აღზრდონ თავისუფალ, დამოუკიდებელ და კარგად

⁵⁹ ლოურენს ჸ. ტრაიბი, „ამერიკის საკონსტიტუციო სამართლი“ § 15-5, 1315 (მე-2 გამოცემა, 1988) [LAURENCE H. TRIBE, AMERICAN CONSTITUTIONAL LAW § 15-5, at 1315 (2d ed. 1988)] („კონსტიტუციამ ჩამოთვალა აზროვნების და სინდისის სპეციფიკური კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებულ მიღეობის მოთხოვს: რელიგია და საზოგადოები სწორად ახდენენ ამ დაცვების განზოგდებას... რათა განისაზღვროს ინდივიდუალური სინდისის ტევადი სივრცე და ინტელექტის და სულის სფროობა, რომლებიც კონსტიტუციურად არის დაცული მთავრობის მაქინაციებისა და მანიპულაციებისგან“ (შიდა ბრჭყალები და სქოლიობი გამოტოვებულია).

⁶⁰ საქმე *Ginsberg v. New York*, 390 U.S. 629, 649 (1968) (მოსამართლე სტიუარტი, თანხმედრი აზრი შედეგთან დაკავშირებით). („პირველი შესწორება უზრუნველყოფას ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას, რააც დაცული იყოს ჩვენ ერთმა ის, რასაც მოსამართლე ჰილმს „დეებით თავისუფალ ვაჭრობას“ ეძახდა. ამისათვის, კონსტიტუცია იცავს მეტს, ვიდრე ადამიანის თავისუფლებაა, თქვას ან დაწეროს, ან გამოაქვეყნოს ის, რაც მას სურს. ის ასევე იცავს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, თავად გადაწყვიტოს, რა წაიკითხოს და რას მოუსმინოს. მოკლედ, კონსტიტუცია საზოგადოების თავისუფალი არჩევანის გარანტიაა“ (სქოლიობი გამოტოვებულია).

⁶¹ საქმე *Prince*, 321 U.S. at 166.

⁶² იქვე, 165.

⁶³ იქვე, 166.

⁶⁴ იქვე, 165-70.

⁶⁵ იქვე, 168.

განვითარებულ ადამიანებად და მოქალაქეებად⁶⁶. დემოკრატიული საზოგადოება ემყარება სიმწიფის მოდელს, რომლის ნორმაა ინდივიდის სრული შესაძლებლობა, გააკეთოს თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანი. უზენაესმა სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ ეს შესაძლებლობა არის კონსტიტუციის პირველი შესწორების თავისუფლებების როგორც ამოსავალი ვარაუდი, ასევე მისი პროდუქტი⁶⁷. საზოგადოებისთვის თავისუფალი არჩევანის გარანტირება „ამოსავალი ვარაუდია ამ საზოგადოების წევრების შესაძლებლობაზე, გააკეთონ არჩევანი“⁶⁸.

აქედან გამომდინარე, მშობლების უმთავრესი მოვალეობა ბავშვებში ამ შესაძლებლობის განვითარებაა. აქედან არ გამომდინარეობს, რომ მშობლებმა თავი უნდა დაანებონ რელიგიური მენტორისა და მეგზურის როლის შესრულებას (არა იმიტომ, რომ ეს შესაძლებელია: არამენტორობა თავისთავად მენტორობის ფორმა იქნებოდა). მშობლობის იდეოლოგიურად ნეიტრალური რაიმე მოდელის მორგება არ იქნებოდა პრაქტიკული ან სასარგებლო ბავშვებისთვის⁶⁹. როგორც პილიტიკის თეორეტიკოსი უილიამ გალსტონი წერს, დემოკრატიულ საზოგადოებაში „მშობლებს უფლება აქვთ, აზიარონ შვილები იმას, რასაც მიიჩნევენ საზრისისა და ღირებულებების სასიცოცხლო წყაროდ და ჰქონდეთ იმედი, რომ მათი შვილები გაიზიარებენ ამ ორიენტაციას“⁷⁰. ბევრისათვის საზრისის და ღირებულებების სასიცოცხლო წყარო მათი რელიგიური რწმენაა და, ცხადია, მშობლებს შეუძლიათ, აზიარონ შვილები იმას, რასაც ისინი სულიერ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ და ჰქონდეთ იმედი, რომ მათი შვილები გაიზიარებენ იმავე რელიგიურ ორიენტაციას.

⁶⁶ იქვე, 165.

⁶⁷ იხილეთ, მაგალითად, საქმე *Ginsberg v. New York*, 390 U.S.629 (1968); ასევე იხილეთ ჩემერინსკი, ზევით შენიშვნა 41 (სადაც პიროვნულობის და ავტონომიის განვითარება აღნიშნულია როგორც სიტყვის თავისუფლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი).

⁶⁸ საქმე *Ginsberg*, 390 U.S.649 [მოსამართლე სტიუარტი, თანმხედრი აზრი შედევთან დაკავშირებით]; („კონსტიტუცია იცავს მტბს, ვიდრე ადამიანის თავისუფლებას, თქვას ან დაწეროს, ან გამოიაქვეყნოს ის, რაც სურს. ის ასევე იცავს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, თავდ გადაწყვიტოს, რა წაიკითხოს და რას მოუსმინოს. მოკლედ, კონსტიტუცია საზოგადოების თავისუფალი არჩევანის გარანტიაა. ახერთი საზოგადოება გულისხმობს მისი წევრების უნარს, აირჩიოს.“).

⁶⁹ შდრ, სტელლა ინგბერი, „სოციალიზაცია, ინდოქტრინაცია, თუ ‘ორთოდოქსის საფარი’: ღრმებულებების ტრენინგი სკარო სკოლებში“, 1987 [Stanley Ingber, *Socialization, Indoctrination, or the Pall of Orthodoxy: Value Training in the Public Schools*, 1987 U. ILL. L. REV. 15, 16 (1987)] („საეთი ინდივიდის ხატი, ვინც არანაირი წინა პირობით არ არის შეფერხებული... ფიციაა. ხალხი საკუთარ ღირებულებებს იძენს მათ ცხოვრებაზე უამრავი ზეგავლენის გამო: მშობლებს; ოჯახის რელიგიის; სკოლის, სადაც დაინა; ნათესავების, მეგობრების და მეზობლების; მწერლების და ბევრი სხვა ზეგავლენის გამო. საზოგადოებში ამგვარად ინდოქტრინაციის გამო, ინდივიდი ღებულობს ორიენტირების სისტემას გადაწყვეტილებების აქტიურად მიღების და არა მიპულების პასიურად მიღებისთვის“). ასეთივე საჯელობა გამოიყენება სახელმწიფოს როგორც განმანათლებლის შემთხვევაში. შდრ, რიჩარდ არჩენონა და იან შაპირო, „დემოკრატიული ავტონომია და რელიგიური თავისუფლება საქმის Wisconsin ის Yoder კრიტიკა DEMOCRACY'S PLACE-ში 137, 160 (იან შაპიროს რედაქტორობით, 1996) [Richard Arneson & Ian Shapiro, *Democratic Autonomy and Religious Freedom: A Critique of Wisconsin v. Yoder*, in DEMOCRACY'S PLACE 137, 160 (Ian Shapiro ed., 1996)] („რამენირად შესაძლებელიც რომ იყოს საგანმანათლებლო რევმისთვის, თავი შეიკავოს ბავშვებისთვის ღირებულებების შთანერგვისაგან, ეს არ იქნებოდა გონივრული ვაკუუმი, რომელიც რჩება განმანათლებლის შემთხვევაში“).

⁷⁰ უილიამ გალსტონი, „ლიბერალური პლურალიზმი: ღირებულებებათა პლურალიზმის გავლენა პოლიტიკურ თეორიასა და პრაქტიკაზე“ 105 (2002) [WILLIAM A. GALSTON, LIBERAL PLURALISM: THE IMPLICATIONS OF VALUE PLURALISM FOR POLITICAL THEORY AND PRACTICE 105 (2002)].

თუმცა ეს მარტივი მტკიცება გასაოცრად რთულ კითხვებს წარმოშობს მშობლისა და შვილის ურთიერთობებზე. მშობლებს შეუძლიათ, აზიარონ შვილები საზრისის სასიცოცხლო წყაროს, მაგრამ რა შეზღუდვები შეიძლება დაუწესდეს (თუ საერთოდ შეიძლება დაუწესდეს) ასეთ ზიარებას? მშობლებს შეუძლიათ, ჰქონდეთ იმედი, რომ მათი შვილები გაიზიარებენ მათ ღირებულებებს, მაგრამ რაზე შეუძლია მშობელს წავიდეს ამ იმედის რეალობად ქცევისთვის? როგორც ჩანს, ამის საფუძვლიანი მიზეზი არსებობს, წერს გალსტოუნი გარვეული სიფრთხილით, ვინაიდან ბავშვებს საკუთარი დამოუკიდებელი ინტელექტუალური და მორალური მოთხოვნები აქვთ, მოთხოვნები, რომლებიც „გულისხმობს მშობლების მიერ განსაზღვრული საზოგადოების ჩარჩოებიდან გასვლის აღსრულებად უფლებებს“⁷¹. რომ არა უბრალოდ სახელმწიფოს ქმნილება⁷², ბავშვი უფრო მშობლის ხატის უწყინარი ანარეკლია. ლიბერალურ დემოკრატიაში, ბავშვებზე ზრუნვა უპირველესად მშობლების მოვალეობაა, თუმცა არა უპირველესად და საბოლოოდ.

თუ ბავშვებს აქვთ უფლება, გავიდნენ მშობლების მიერ დადგენილი საზღვრებიდან, მათ უნდა შეეძლოთ ამ უფლების თავისუფლად აღსრულება. მათ უნდა წაერთვათ შესაძლებლობა, პირველ რიგში გამოთქვან საკუთარი ინტელექტუალური და მორალური მოთხოვნები⁷³. დაცული რაც უნდა იყოს, არის ბავშვის მომავალი უფლებებზე იხილეთ ასევე სიუზან მოლერ ოკინი, „სამართალი, გენდერი, და ოჯახი“ 136-38 (1989) [SUSAN MOLLER OKIN, JUSTICE, GENDER, AND THE FAMILY 136-38 (1989)].

⁷¹ იქვე, 105 („როგორც მინიმუმ, ბავშვების დამოუკიდებელი რელიგიური მოთხოვნები გულისხმობს აღსრულებად უფლებებს, გავიძნენ იმ საზოგადოების ფარგლებიდან, რომლებიც მშობლებმა დაუდგინეს. დაგმატებდი, რომ საზოგადოებიდან გასვლის უფლებები ფრამალურზე მეტი უნდა იყოს. საზოგადოების ისეთი ქმედება არ იქნება სწორი, თუ ამით ჩამორთმევა ინდივიდუალური – ინტელექტუალური, ემოციური თუ პრატიკული – იცხოვრონ წარმატებით მათი თემის ფარგლებს გარეთ“). მჭიდრო ურთიერთობებიდან გასვლის უფლებებზე იხილეთ ასევე სიუზან მოლერ ოკინი, „სამართალი, გენდერი, და ოჯახი“ 136-38 (1989) [SUSAN MOLLER OKIN, JUSTICE, GENDER, AND THE FAMILY 136-38 (1989)].

⁷² იხილეთ საქმე Pierce v. Soc'y of Sisters, 268 U.S. 510, 535 (1925) („თავისუფლების ფუნდამენტური თეორია, რასაც ამ კავშირის ყველა მთავრობა ეფუძნება, გამორიცხავს სახელმწიფოს ნებისმიერ ზოგად ძალას, მოახდინოს ბავშვების სტანდარტებია მათი იძულებით, მითითებები მთხოვნოდ საჯარო მასწავლებლებისაგან. ბავშვი არ არის სახელმწიფოს ქმედება; მათ ვინც მათ ზრდას და მათ ბედი წარმართავს, აქვთ უფლება, უზრებელი მოვალეობასთან ერთად, მოამზადონ ბავშვები დამატებითი ვალიდულებებისთვის“). შდრ საქმე v. Nebraska, 262 U.S. 390, 402 (1923) („იმისათვის, რომ დაეთრგუნათ ინდივიდუალიზმი და იდეალური მოქალაქეები ჩამოყალიბებინათ, სპარტაში შვიდი წლის ბიჭებს ბარაჟში ათასებდნენ და მათ შემდგომ განათლებასა და მომზადებას ოფიციალურ მეურეებს აკასრებდნენ. მოხედავად იმისა, რომ ასეთი ზომები გენოსების მერ იყო მოწოდებული, მათი იცემებ, რომლებიც ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ეხება, სრულიად განსხვავდებოდა იმ იდეებისაგან, რასაც ჩვენი ინსტიტუტები ემყარება და ვერავინ განაცხადებს, რომ რომელიმე საკანონმდებლო ორგანო შეძლებს, დაუწესოს ასეთი შეზღუდვები რომელიმე სახელმწიფოს სალებას კონსტიტუციის როგორც ტექსტის, ასევე სულის შებდალვის გარეშე“).

⁷³ იდეა, რომ ბავშვის უნარი, ჩამოყალიბის განხვავებული რწმენა, დაცული უნდა იქნეს სახელმწიფოს იდეოლოგიური ძალაში განხვავებული შესწორებას პირველ შესწორების თეორეტიკოსებისაგან იღებს. პირველ შესწორებასა და რწმენის ფრამირების და გამოხატვის დაცვაზე იხილეთ მაგალით, ინგბერ, შენიშვნა, 84, ზემოთ, გვ. 16 („ორიცავარური პირებისთვის ნების მიცემა, შთავაონონ ღირებულებები, ნიშანას აღიარებას, რომ სიტყვის თავისუფლება იცავს გამოხატვას მხოლოდ მანამ, სანაც მისაუბრეს პირისა აქვს წაყვნებული, თქვას ის, რაც ხელისუფლებაში მყოფთათვეს არის მისაღები. სიტყვის თავისუფლება ასეთი პირობადადულებულ მოსაუბრების საზოგადოებაში, პრატიკულად, არარელიევანტურად“); ნადინ სტრონსენი, „სეკულარული ჰემანიზმი“ და „სამეცნიერო კრეაციონიზმი“: იმ სასწავლო გადწყვეტილებების შესწავლის შემთავაზებული სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენს სტუდენტების რელიგიურ თავისუფლებაზე“, 47 OHIO ST. L.J. 333, 370 (1986) [Nadine Strossen, “Secular Humanism” and “Scientific Creationism”: Proposed Standards for Reviewing Curricular Decisions Affecting Students’ Religious Freedom, 47 OHIO ST. L.J. 333, 370 (1986)] („მეორე მიზეზი, თუ რატომაც უნდა იყოს საჯარო სკოლის მოსაზღვების აზროვნება განსაკუთრებით დაცული სამთავრობო ზეგავლენისგან არის ის, რომ ახალგაზირდობის გამო, მოსწავლეები შედარებით ადგილად ეცეცვან შთაბეჭდილებების ქვეშ და მგრძნობიარება არაან. შესაბამისად, იმ პროცესის ურდევვობის შესანარჩუნებლად, რომლითაც საჯარო სკოლის მოსწავლეები თავიანთ რწმენას იყალიბებენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი იზოლირება ნებისმიერი პოტენციურად იძულებით სამთავრობო გავლენისაგან. საზოგადოების ინტერესი ახალგაზრდობის თავისუფალი აზროვნების შენარჩუნებაში დიდია, ვინაიდან მათზე დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიული, სამოქალაქო ლაბერტარიანული ინსტიტუტებისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება.“) (სკოლობის გამოტოვებულია); ტილ ვან გილი, „პოსტიტუციონური შეზღუდვების ძეგა მთავრობის უფლებამოსილებაზე, შთავაონს ახალგაზრდობას“, 62 TEX. L. REV. 197, 261 (1983) [Tyll van Geel, *The Search for Constitutional Limits on Governmental Authority to Inculcate Youth*, 62 TEX. L. REV. 197, 261 (1983)] („ზრდასრულის რწმენის თავისუფლების

ვის ეუთვინის ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღმრჩევის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ნები⁷⁴. იდეალურ შემთხვევაში, ბავშვის უფლების დაცვა, ჰქონდეს მორალური ავტონომია, მშობლის მოვალეობის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ, როდესაც რელიგიური რწმენის გადაცემას ეხება საქმე, მშობლებისთვის მისაღებია, შვილების რელიგიურ შესაბა-მისობას მიაღწიოს, რელიგიური ავტორიტეტისადმი მათი უკრიტიკო მორჩილების მოთხოვნით (ხშირად, მოსიყვარულე და გულისამაჩუყებელი ხმით). მშობლებისთვის მხოლოდ ის არის ბუნებრივი, უნდოდეთ, რომ შვილებმა მათი ღირებულებები გაიზიარონ, სწამდეთ მათი მრწამსის და იურიდიული სისტემაც უტოვებს მშობლებს თავისუფლებას, გადასცენ თავიანთი რელიგიური ღირებულებები შვილებს. მაგრამ მშობლები ბოროტად იყენებენ ამ თავისუფლებას, როდესაც არ აძლევენ შვილებს რეალურ საშუალებას, გაიზიარონ სხვა ღირებულები და სწამდეთ სხვა რელიგია.

პატარა ბავშვებს არ აქვთ უნარი, დაიცვან ან არ დაიცვან საკუთარი რელიგიური იდენტობა. ამიტომ ის, ვინც მენტორობას უწევს ბავშვს, კისრულობს მეურვის მოვალეობას, დაიცვას მისი მომავალი რელიგიური ავტონომიურობა⁷⁵. ეს მზრუნველობა იოლი მოვალეობა

დაცვა დაცინვა იქნებოდა, მთავრობას რომ შეეძლოს მისი რწმენის განსაზღვრა მისი ინდოკრინიზაციით ბავშვობის დროს”; აარონი და ოლურენსი III, შენიშვნა 29 ზემოთ, გვ. 312 („გამოხატვის თავისუფლება რწმენისა და მოსაზრებების შეუზღუდავ ჩამოყალიბებას შესაძლებელს ხდის. თავის მხრივ, რწმენისა და მოსაზრებების თავისუფლალი ფორმულირება გამოხატვის თავისუფლების აუცილებელი წინა პირობება... რაც უფრო მეტად ახდენს მთავრობას რწმენის ჩამოყალიბების რეგულირებას, რაც ჩაერიოს პიროვნებას ცნობიერებაში, მით უფრო ნაკლებ ადამიანს უწინდება განსხვავებული აზრი ან აღქვამს განსხვავებას საკუთარ ინტერესსა და მთავრობის მიერ მხარდაჭრილ იდეოლოგიურ ორთოდოქსიას შორის. გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ იდების კომუნიკაციისთვის რომ იყოს დაცული, ტოტალიტარიზმი და გამოხატვის თავისუფლება ერთი და იმავე საზოგადოებისათვის იქცხოდა დამხასასათხებელი“).

⁷⁴ იხილეთ ჯორე ფეინბერგი, „ბავშვთა უფლებები დრა მომავალისათვის“, გამოცემაში „ვისი ბავშვი? ბავშვთა უფლებები, მშობლის უფლებამოსილება და სახელმწიფოს ძალაუფლება“ 124 ([ულიამ აიკენის და ჰენრი ლეიტერის რედაქციით, 1980] [Joel Feinberg, *The Child's Right to an Open Future, in WHOSE CHILD?: CHILDREN'S RIGHTS, PARENTAL AUTHORITY, AND STATE POWER* 124 (William Aiken & Hugh LaFollette eds., 1980)]. თუმცა იხილეთ, მაგალითად, შელი ბერტი, „მშობლის უფლებამოსილების სათანადო სფერო: რატომ არ ვართ ვალებული ბავშვებისთვის უზრუნველყოთ დრა მომავალი“ გამოცემაში „ბავშვი, ოჯახი და სახელმწიფო“ 243 (სტევენ მაედლის და არის მარიონ იანგის რედაქციით, 2003) [Shelley Butt, *The Proper Scope of Parental Authority: Why We Don't Owe Children an "Open Future," in CHILD, FAMILY, AND STATE 243 (Stephen Macedo & Iris Marion Young eds., 2003)]; მაიკლ ვ. მაკრენლი, „მთავრობები, ოჯახები და ძალაუფლება: საგანმანათლებლო არჩევანის დაცვა“, 31 CONN. L. REV. 847, 847–52 (1999) [Michael W. McConnell, *Governments, Families, and Power: A Defense of Educational Choice*, 31 CONN. L. REV. 847, 847–52 (1999)].*

⁷⁵ შდრ. აირა ს. ლუპუ, „საოჯახო განათლება, რელიგიური თავისუფლება და ძალაუფლების განაწილება“ 67 B.U. L. REV. 971, 976–77 (1987) [Ira C. Lupu, *Home Education, Religious Liberty, and the Separation of Powers*, 67 B.U. L. REV. 971, 976–77 (1987)] („იურიდიული ტრადიცია, რომელიც მშობლებს აძლევს უფლებამოსილებას, ილაპარაკონ თავიანთი შვილების სახელით, არ უნდა გახდეს ის საშუალება, რომლითაც ბავშვები გაქრებიან. ბავშვები, რომლებიც არ არიან სრულად კომპეტენტურები, მიიღონ გადაწყვეტილებების ამ გადაწყვეტილებისა გრძელების შესახებ არსაკმრისი ცოდნის გამო, ჩვეულებრივ, მშობლებით კონტროლის ქვეშ იძყოფებიან. მშობლები მიჩნეულია არიან თავიანთი შვილებისათვის გადაწყვეტილების საიმედო მიღებებად, ვინაიდან მშობლებს, ზოგადად, უყვართ შვილები და იციან მათი ინტერესების შესახებ. მეურვის ამ ტაბის უფლებამოსილება არასადროს არის აბსოლუტური, რადგან ის ემყარება სამურავეო გალდებულების თეორიას. თუ მეურვე ცუდად მოუპყრობა თავის ალსაზრდელს, ბავშვის დაცვისთვის შექმნილი საჯარო თუ კერძო საშუალებები ხელმისაწვდომი იქნება.“) (სქოლიოება გამოტოვებულია). ამავე პრინციპზე იხილეთ ჯეიმს გ. დუაირი, „რელიგიური სკოლები და ბავშვთა უფლებები“ 62-101 (1998) [JAMES G. DWYER, RELIGIOUS SCHOOLS V. CHILDREN'S RIGHTS 62-101 (1998)] (სადაც მჯელობდა ეხება იმსა, რომ კანონმა უნდა მინიჭოს მშობლებს ბავშვების მოვლის იურიდიული პროცესუალი ისეთი ფორმით, რომელიც შესაბამება მათ საუკეთესო ინტერესების მიცემულ დროში); არნესონი და შაპირო, შენიშვნა 68 ზემოთ, გვ. 138 („მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა მიჩნეულია როგორც მეურვეობის ერთ-ერთი ფორმა“); ბარბარა ბერნარდ ბავშვების საჭიროებებიდან, ბავშვთა უფლებები: ბავშვთა ხმა ოჯახის განსაზღვრაში“, 8 B.Y.U. J. PUB. L. 321 (1994) [Barbara Bennett Woodhouse, *Out of Children's Needs, Children's Rights: The Child's Voice in Defining the Family*, 8 B.Y.U. J. PUB. L. 321 (1994)] (რომელშიც საუბარა თჯახის უფლებების დისკურსის აუცილებელ რეფორმაზე, მშობლების უფლებამოსილების საფუძვლად ბავშვების საჭიროებების გადაცევის მეშვეობით); ბარბარა ბერნარდ ბერნეტ უფდპაუსი, „კვერცხის გამოჩევა: მშობელთა უფლებების ბავშვზე ფოკუსირებული პერსპექტივა“, 14 CARDOZO L. REV. 1747 (1993) [Barbara Bennett Woodhouse, *Hatching the Egg: A Child-Centred Perspective on Parents' Rights*, 14 CARDOZO L. REV. 1747 (1993)] (რომელშიც განხილულია, როგორ აკინძებს მშობელთა უფლებებზე ორიენტირება ბავშვის კეთილდღეობისათვის საჭირო აღზრდის ღირებულებებს]. ზოგადად, იხილეთ ჯერი, შულმანი, მშობლები როგორც მშობლოდ განათლების

არ არის. მშობლებისთვის, შესაძლოა, საკმაოდ შემაშფოთებელი აღმოჩნდეს, თუ ბავშვი მათი პოლიტიკური ან კულტურული ღირებულებების შესაბამისად არ ცხოვრობს. თუმცა მშობლის რელიგიურ ღირებულებებში ეჭვის შეტანა ან მათი უარყოფა ხშირად უფრო ღრმა იმედგაცრულებას იწვევს. რელიგიური პრინციპების დიქტატი უფრო ღრმა ვიდრე პოლიტიკური და კულტურული პრინციპების დიქტატი. და მაინც, მშობლის რელიგიური თავისუფლება ბავშვის რელიგიური მონობის ხარჯზე არ უნდა ხორციელდებოდეს და სასამართლოები არ უნდა მოეკიდონ მშობლის უფლებებს ისე, თითქოს ისინი მშობლის მოვალეობებისგან დამოუკიდებლად არსებობს⁷⁶. ზრდასრულების მსგავსად, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, ეძიონ და ასევე, იპოვონ სულიერი სახლი⁷⁷.

მეურვეების: მართლაც, ვისი განათლებაა ეს?", 89 NEB. L. REV. 290 (2010) [Jeffrey Shulman, *The Parent as (Mere) Educational Trustee: Whose Education Is It, Anyway?*, 89 NEB. L. REV. 290 (2010)]; ელიზაბეთ ს. სკოტი და რობერტ ე. სკოტი, „მშობლები როგორც მეურვეები“, 81 VA. L. REV. 2401 (1995) [Elizabeth S. Scott & Robert E. Scott, *Parents as Fiduciaries*, 81 VA. L. REV. 2401 (1995)]. თუმცა, ასევე იხილეთ, თომას ჸ. მიურეი, „ბავშვის ფასი“, 61 (1996) [THOMAS H. MURRAY, THE WORTH OF A CHILD 61 (1996)] („მეურვეობის ფუნქციის მშობლობა, როგორც მშობლელსა და შეიღს შორის ურთიერთობების მოდელი, მაინც ნაკლოვანია. ამ ურთიერთობის აღწერა გულისხმობს უანგარობას, თავდადებას, ერთვარად კითალისმყვავლე მაგრამ ემოციურად დაშორებულ ბრუნვას ბავშვის კეთილდღეობაზე. ეს საიანგონდ არ შეესაბამება იმ ინტენსივობას, სიყვარულსა და სიახლეებს, რომელიც მშობლებსა და შეიღებს შორის არსებობს“).

⁷⁶ შდრ. ჯეიმზ გ. დუაიერი, „მშობელთა რელიგია და ბავშვის კეთილდღეობა: მშობელთა უფლებების დოქტრინის მხილება“, 82 CALIF. L. REV. 1371, 1389 (1994) [James G. Dwyer, *Parents' Religion and Children's Welfare: Debunking the Doctrine of Parents' Rights*, 82 CALIF. L. REV. 1371, 1389 (1994)] (საჯაც აღნიშნულია, რომ სასამართლოს გადაშეცემილებებით, რომელიც იყენებს საქმის შემდეგ არის მიღებული, გრძელდება უფლებების გამოყენების ის ინტერპრეტაცია, რომლითაც ბავშვები განიხილება, დაუმორჩილებელ ინსტრუმენტებად ან საშუალებებად სხვა ადამიანების მიზნების მისაღწევად, ვიდრე ადამიანებად, რომლებსაც აქვთ თავიანთი უფლებები, ინტერესები, რომლებიც თანაბარ პატივისცემას იმსახურებენ]. მშობლის თვალითავდებისთვის იხილეთ, კარნ გუშტია, „თქვენი შვალების სულ დიდმა ძმამ უნდა ჩამოაყალიბოს? შეწყვიტეთ იმი ბავშვების წინააღმდეგ“, [Karen Gushta, *Should Big Brother Shape Your Child's Soul? STOP THE WAR ON CHILDREN!*] (გ აპრილი, 2001, 07:32), <http://stopthewaronchildren.wordpress.com/2011/04/08/should-big-brother-shape-your-child%E2%80%99s-soul/> („არიან ისეთები, ვისაც უნდა წაერთოს მეურვე მშობლის უფლება, განსაზღვრონ, რა გავლენას და იდეებს აზიარონ თავიანთი ბავშვები. ეს არის განათლების ბირთვი, რომელიც თავისი განსაზღვრებით წარმოადგენს დაგევმილ, მართულ სწავლებას. აქ ფსონზე ის კა არ დევს, „ვის ეკუთვნის ბავშვის სული“, არამედ ვისა აქვს მისა ფორმირების უფლება“).

⁷⁷ შდრ. ჯენიფერ ნედელსკი, „ავტონომიის ხელახლა გააზრება: წყაროები, მოსაზრებები და შესაძლებლობები“ [Jennifer Nedelsky, *Reconceiving Autonomy: Sources, Thoughts and Possibilities*, 1 YALE J.L. & Feminism 7, 10–11 (1989)].

ავტონომიურობის მიღწევა არის ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როდესაც შევიძლია იპოვონ შენი კანონი და იცხოვონ საკუთარი კანონის შესაბამისად.

* * *

მე ვსაუბრობ ავტონომიურობის „მიღწევაზე“ იმიტომ, რომ, ვფიქრობ, ეს არ არის ის თვისება, რომელიც შეიძლება უბრალოდ ადამიანის თვისებების საფუძვლად აიღო. ჩვენ უნდა განვითაროთ საკუთარი კანონის პოვნის უნარი და ამ შემთხვევებში, ამოცანა არის იმის გაგება, თუ რა სოციალური ფორმები, ურთიერთობები და პირდი პრატიკა უწყობს ხელს ამ უნარის შექმნას. მე ვიყენებ სიტყვას „პოვნა“ იმ აზრის გამოსახატად, რომ ჩვენ არ ვქმნით ან, უფრო სწორად, არ ვირჩევთ ჩვენს კანონს. საკუთარი კანონს, „პოვნას“ იდეა ზუსტად ასახავს მოსაზრებას, რომ იმასაც კი, რაც ნამდვილად ადამიანის საკუთარი კანონია, აყალიბებს ის საზოგადოება, რომელმცი ეს ადამიანი ცხოვრობს და ის ურთიერთობები, რომელებიც მისი ცხოვრების ნაწილია. „პოვნა“ ასევე უშევებს დაობას იდეისადმი, რომ ადამიანის საკუთარი კანონი მუდავნდება სულიერი წყაროებით, რომ ჩვენი უნარი, ჩვენში ვიპოვთ კანონი, ჩვენი სულიერი ბუნებიდან გამომდინარეობს, ორივე თვალისწინით, კანონი ადამიანის საკუთრებაა ყველაზე ღრმა მნიშვნელობით, მაგრამ არა ინდივიდუალური შექმნილი; ინდივიდი ინვითარებს მას, მაგრამ სხვებთან კაშირდი; ის არ არის არჩეული, თუმცა აღიარებულია. „ადამიანის საკუთარი კანონი“ გულისხმობს ლირებულებებს, შეზღუდებებს, წერიგს, ბრძანებებსაც კი, როგორც ამას ამ ტერმინის ყველაზე ტრადიციულ გამოყენება გულისხმობს. თუმცა ეს ლირებულებები და მოთხოვნები თითოეული ადამიანიდან მოღის და არ არის გარებან თავს მოხვეული. იდეა, რომ არსებობს ბრძანებები, რომლებსაც ადამიანი აღიარებს როგორც საკუთარს, მოთხოვნების, მაგრამ ამ ცხოვრების მნიშვნელობისა თუ მიზნიდან გამომდინარეობს, ასახავს მთავარ კავშირს კანონსა და თავისუფლებას შორის – რაც აღმართ ავტონომიის ცნების არსა. იმ ხედის აუცილებელი სოციალური განზიმილებაა, რომელსაც მე ვაყალიბებ. მომდინარეობს, ჯერ ერთი, იმ მტკაცებიდნ, რომ საკუთარი კანონის პოვნის უნარი ადამიანს შეუძლია განვითაროს მხოლოდ სხვებთან ურთიერთობების (როგორც ძალიან ახლო, ასევე ფართო სოციალური ურთიერთობების) კონტექსტში, რაც ამ უნარს კვებავს და, მეორე, რომ ადამიანის საკუთარი კანონის „შინაარსი“ გასაგებია მხოლოდ გაზიარებულ სოციალურ ნორმებთან, ღირებულებებთან და ცნებებთან კავშირში.

უილიამ ჯ. შეარერი, „ბავშვების მართვა და ტრენინგი“ 269 (1904) [WILLIAM J. SHEARER, THE MANAGEMENT AND TRAINING OF CHILDREN 269 (1904)] („უნდა გვასხოვდეს, რომ აღზრდის დიადი ამოცანა არ არის უბრალოდ ის, რომ ბავშვები უფრო დამჯერინ გახდნენ; უფრო კარგად მოიქცენ; რომ წყარისად და ჩუმად იყვნენ; სხვებისთვის მოსაზრობები გახდ-

ვის ეუფლების ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

იძულებით თავსმოხვეული რელიგიური რწმენა შეურაცხყოფს ბავშვის ღირსებასა და ფასეულობას. როდესაც ბავშვებს აიძულებენ, ირწმუნონ, ამით მათ სთხოვენ, სხვისი სინდისის კარნახით თქვან უარი ინტელექტუალურ ღიაობაზე, რაც „სასიცოცხლო როლს თამაშობს ავტონომიურ ინდივიდად ჩამოყალიბების პროცესში“⁷⁸. ბავშვის ასეთი უპატივცემულობა მხოლოდ პირფერობის და ნაძირლობის ჩვევებს შობს⁷⁹. და მაინც, ჩვენ მშობლებს ვაძლევთ უფლებას, თავს მოახვიონ სავარაუდო რელიგიური იდენტობა შვილებს მათი თანხმობის ან მათ მიერ გააზრების გარეშე. ჩვენ ნებას ვრთავთ რელიგიურ მშობლებს, აღზარდონ და ასწავლონ შვილებს რელიგიურად სეგრეგირებულ ანკლავებში. ჩვენ ნებას ვრთავთ მშობლებს, შთააგონონ შვილებს რწმენა, მიუხედავად მათი შვილების გამოხატული პრეფერენციებისა⁸⁰. უფლებების – მშობლის უფლებების, რელიგიის თავისუფლების უფლებების, ანდა, განსაკუთრებით, ამ ორის კომბინაციის – მანტიის ქვეშ, ჩვენ ისე შემოვსაზღვრავთ ბავშვის სულიერ ავტონომიას, რომ ბევრი ბავშვისთვის რელიგიური რწმენის არჩევის ან არარჩევის თავისუფლება უფრო თეორიულად არსებობს, ვიდრე რეალურად⁸¹.

„მშობლის მანიფესტში“ სტივენ ჯილი უშვებს, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ბავშვები ყველა სახის საგანმანათლებლო იძულებისაგან.

„იგივე მიზანი – უზრუნველყოს ინდივიდთა თავისუფლება – მოითხოვს სახელმწიფო-საგანმანათლებლოს მისი მოქალაქეები... ლიბერალურ საზოგადოებაში არავის არ შეუძლია, აიძულოს სხვას ღირებულებებისა და რწმენის არჩევანი, თუ მას არა აქვს რაიმე პრივილეგია ასე მოიქცეს. იძულებითი ქცევის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი (ან საკმარისი დასაბუთება) შეიძლება შეიცვალოს, როდესაც სახელმწიფოს ქმედება კერძო ქცევით იცვლება, მაგრამ ძირითადი პრინციპი მაინც იგივე რჩება: ლიბერალურ

წენ... აღზრდის დაიდი ამოცანა თითოეული ბავშვის ისეთად ქცევაა, რაც ღმერთს მისთვის აქვს განზრაბული. რა აქვს ღმერთს განზრაბული, არ არის ყოველთვის ადვილი დასადგენი. ერთადერთი გზა, რითიც ამის დადგენა შეიძლება, არის თითოეული ბავშვის გონიერი, გულის და სხეულის თავისებურებების ყურადღებით შესწავლა, რომლებითაც ყველა ბავშვია დაგილდოებული“.⁸².

⁷⁸ ჯონ ჸ. გარვი, „ბავშვები და პირველი შესწორება“, 57 TEX. L. REV. 321, 346–49 (1979) [John H. Garvey, *Children and the First Amendment*, 57 TEX. L. REV. 321, 346–49 (1979)]. გარვი განსაზღვრავს ოთხ გზას, რომლის მეშვეობითაც სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ავტონომიურობისკენ ზრდაში: (1) „ინდივიდუალური ნების დართვა, განიცადოს კმაყოფილება, რომელიც თვითგამოხატვის შედეგად მიიღება“; (2) „შესაძლებლობების შეთავაზება რაციონალური დისკურსის უნარების გავარჯიშებისათვის“; (3) „ბავშვისთვის ჩვენება იმისა, თუ რა პოტინცია აქვს სიტყვას კარგი ან ცუდი შედეგების მიღწევისათვის“ და (4) „ნების დართვა, მიმღების მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისათვის“. იქვე.

⁷⁹ იხილოთ, ჯეფერსონი, შენიშვნა 30, ზემოთ, xvii; შდრ. ვინსენტ ბლასი, „სიტყვის თავისუფლება და კარგი პიროვნება: მილტონთა ბრწყინვას და დღევანდობაშიც“, გამოქვეყნებულია: „მუდმივად ფიზიზები: სიტყვის თავისუფლება თანამედროვე ეპოქაში“ 61–95 (ლევ ს. ბოლინგერის და ჯერი რ. სტოუნის რედაქტორობით, 2002) [Vincent Blasi, *Free Speech and Good Character: From Milton to Brandeis to the Present, in ETERNALLY VIGILANT: FREE SPEECH IN THE MODERN ERA* 61–95 (Lee C. Bollinger & Geoffrey R. Stone eds., 2002)]. [რომელშიც საუბარა იმაზე, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა ხელს უწყობს ისეთი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომლებიც სოციალური მიზნების მიღწევისათვის არის მნიშვნელოვანი].

⁸⁰ იხილოთ, მაგალითად, საქმე Zummo v. Zummo, 574 A.2d 1130, 1149 (Pa. Super. Ct. 1990) („მეტიც, მაშინაც კი, თუ ბავშვებმა გამოხატეს საკუთარი რელიგიური იდენტობა, არ არის ნათელი, ექნებოდათ თუ არა ბავშვებს რაიმე კონსტიტუციური უფლება, შეწინააღმდეგებოდნენ ან დაცული ყოფილიყვნენ შშიბლების მცდელობებისგან, ესარეგბლათ საკუთარი კონსტიტუციური უფლებებით იმისათვის, რომ ბავშვების ლეგალურ სრულწლობებიმდე შახეგონებინათ ბავშვებისათვის საკუთარი რელიგიური რწმენები ბავშვების მიერ დეკატესიბების მიუხედავად“).

⁸¹ შდრ. საქმე Tinker v. Des Moines Indep. Cmty. Sch. Dist., 393 U.S. 503, 513 (1969) („ჩვენი კონსტიტუციით, სიტყვის თავისუფლება არ არის ის უფლება, რომელიც მოცემულია მხოლოდ იმისათვის, რომ ისე შეიზღუდოს, რომ როგორც პრინციპმა და არა როგორც ფაქტმა იარსებოს.

საზოგადოებაში ყველა უფლება იზღუდება და ყველა იძულება მოითხოვს საფუძვლიან დასაბუთებას”⁸².

შეიძლება ვიკამათოთ, რომ მშობლის რელიგიური მენტორობა ნაკლებ მავნეა, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან იძულება, მაგრამ რატომ უნდა შეიცვალოს იძულებითი ქცევის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი, როდესაც ეს ქცევა სახელმწიფო ქმედებიდან კერძო ქმედებისაკენ ინაცვლებს? ასეთივე წარმატებით შეიძლება კამათი, რომ იძულება უფრო ეფექტიანია და მისგან მიყენებული ზიანი უფრო ღრმა, როდესაც ბავშვს მისი უახლოესი ადამიანები აიძულებენ, ირწმუნოს. ბავშვები არა ნაკლებ ხვდებიან კერძო განმანათლებლების ტყვეობაში – განსაკუთრებით, როდესაც ისინი მოწყვეტილები არიან ისეთ იდეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სახლსა თუ თემში მიღებულ მოსაზრებებს და რელიგიური მენტორობა იძულების განსაკუთრებით ეფექტიან ფორმას წარმოადგენს, რომელსაც თან უზენაესი ავტორიტეტის სანქცია და უზენაესი აკრძალვების მთელი სპექტრი მოაქვს.

სახელმწიფო, რომელიც იცავს ზრდასრულების უფლებას, აირჩიონ რელიგიური (ან არა-რელიგიური) გზა, ასევე უნდა უზრუნველყოფების, რომ ბავშვს არ წართვას თავისუფლება, აირჩიოს რელიგიური (ან არარელიგიური) გზა. სინდისის დიქტატი ისეთივე დამაჯერებელია ბავშვისთვის (და მომავალი ზრდასრულისთვის), როგორც მშობლისთვის. მართლაც, ინდივიდუალური არჩევანისადმი ერთგულება შეიძლება იყოს საუკეთესო გარანტია საზოგადოებისა, რომელსაც მდიდარი და მყარი რელიგიური ტრადიციები აქვს. ბავშვები რელიგიის ბუნებრივი მაძიებლები არიან. როგორც ახალგაზრდა სრულწლოვანები, ზოგი სულიერ გზას აირჩევს, ზოგი კი საერთოდ მიატოვებს რელიგიის გზას მაგრამ ბევრი თავის რწმენას ტრადიციულ ადგილებში იპონის და მივა იქ, საიდანაც დაიწყო. თუმცა იმისათვის, რომ რელიგიური თავისუფლება გაიზარდოს, ეს არჩევანი ჭეშმარიტი არჩევანი უნდა იყოს, დაფუძნებული ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელიც დაგროვდა „მრავალნაირი საუბრიდან“ – რელიგიურიდანაც და სეკულარულიდანაც⁸³. ლიბერალურ დემოკრატიაში, მორალური ცნებების სავალდებულო ძალა დამოკიდებულია ინდივიდუალურ აღიარებაზე⁸⁴. ეს კონსტი-

⁸² სტივენ გ. ჯილი, „ბავშვების განათლებაზე: მშობლის მანიფესტი“ 63 U. CHI. L. REV. 937, 946 (1996). [Stephen G. Gilles, *On Educating Children: A Parentalist Manifesto*, 63 U. CHI. L. REV. 937, 946 (1996).]

⁸³ სტივენ გ. ჯილი, „ბავშვების განათლებაზე: მშობლის მანიფესტი“ 63 U. CHI. L. REV. 937, 946 (1996) (რომელშიც ციტირდებულია საქმე United States v. Associated Press, 52 F. Supp. 362, 372 (S.D.N.Y. 1943)); ასევე იხილეთ საქმე Associated Press, 52 F. Supp. at 372 („საგაზტო ინდუსტრიის ინტერესები არ არის არც ექსკლუზიური და არც უპირველესად გადამწყვეტი: გავრცელოს წყაროები რაც შეიძლება მეტი წყაროსგან. შეძლების დაგვარად მრავალი მხრიდან და მრავალფეროვანდ. ეს ინტერესი ძლიან ახლოა, თუ ერთნაირი არ იმ ინტერესან, რომელიც პირველი შესწორებით არის დაცული, იგი გულისხმობს დაშვებას, რომ სწორი დასკვნების გაკეთება უფრო სავარაუდო მრავალი ნათევამიდან, ვიდრე რაიმე ტიპის ავტორიტეტული შერჩევიდან. ბევრისთვის ეს არის და ყოველთვის იქნება სისულე მაგრამ ჩევნ უსონად მასზე დავდეთ ჩევნი ყველაფერი“). თუმცა იხილეთ სტენლი ფიში, „ბავშვები და პირველი შესწორება, 29 CONN. L. REV. 883, 884 (1997) [Stanley Fish, *Children and the First Amendment*, 29 CONN. L. REV. 883, 884 (1997)] („ავტორიტეტული შერჩევის განათლება, საჯარო თუ კერძო, შეიძლებელი იქნებოდა.“).

⁸⁴ იხილეთ გალსტონი, შენიშვნა 69, ზემოთ, გვ. 28 (სადაც ამტკაცებს, რომ ებრაელებისთვის დიდ მნიშვნელობა, აქვს „იცხოვერი ისეთ საზოგადოებაში, რომელიც სამუალებას აძლევს მათ, იცხოვერი იმ იდენტობის მათეული გაებებს შესაბამისად, რომელიც მოცემულია და არა არჩეული და, რომელიც, ჩევულებრივ, სტრუქტურულებულია მცნებებით, რომელთა სავალდებულო ძალა არ არის დამოკიდებული ინდივიდუალურ აღიარებაზე“); შდრ., მათელ ჯ. სანდელი, დემოკრატიის უცადებელი შემოყვიდვება: ამერიკა საჯარო ფილოსოფიის ძიგბაში 66-67 (1966) [MICHAEL J. SANDEL, DEMOCRACY'S DISCONTENT: AMERICA IN SEARCH OF A PUBLIC PHILOSOPHY 66-67 (1996)] („პროცედურული ლიბერალიზმისთვის... რელიგიური თავისუფლების საქმე გამომდინარეობს არა რელიგიის მორალური მნიშვნელობიდან, არამედ ინდივიდუალური ავტონომიის დაცვის საჭიროებიდან; ხელისუფლება ნეიტრალური უნდა იყოს რელიგიის მიმართ იმავე მიზნებით, რომლითაც ის ნეიტრალური უნდა იყოს, ზოგადად, კარგი ცხოვრების კონკურენტული კონცეფციებისადმი – პატივი სცეს ადამიანების უნარს, აირჩიონ საკუთარი ლიბერალურები და მიზნები. თუმცა, მიუხედავად მისი გამასავისუფლებლი

ვის ეუფორის ბავშვის სული? ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ტუციური ვალდებულება თავისუფალი არჩევანისადმი, სულ ცოტა, ნიშნავს შემდეგს: რომ სახელმწიფოს აქვს არსებითი ინტერესი, უზრუნველყოს ყველა ბავშვი შესაძლებლობით, გააკეთოს ყველაზე გონივრული არჩევანი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში.

IV. ბავშვის პიროვნულობა

იოდერების უმრავლესობისთვის სავალდებულო საშუალო განათლება მიუღებელია, რადგან ამან ამიში მოზარდების „მშობლიური გარემოსგან ფიზიკური და ემოციური მოწყვეტა შეუძლია გამოიწვიოს მათი ცხოვრების და ფორმირების ისეთ გადამწყვეტ პერიოდში, როგორიც სიყმაწვილეა⁸⁵. რა თვალსაზრისით მიიჩნია სასამართლომ აღნიშნული პერიოდი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და მაფორმირებელ ფაქტორად? როგორც სასამართლო აღნიშნავს, „ბავშვებმა სწორედ ამ პერიოდში უნდა შეითვისონ ამიშების მსოფლმხედველობა, რომელიც აფასებს ხელით შრომას და საკუთარი ძალების რწმენას, აგრეთვე სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ზრდასრული ამიში ფერმერის ან დიასახლისის როლის შესასრულებლად არის საჭირო“⁸⁶. იგივე პერიოდში ბავშვებმა „უნდა ისწავლონ ფიზიკური შრომის სიყვარული“⁸⁷. ამ დროის განმავლობაში „ამიშ ბავშვს უნდა განუმტკიცდეს რწმენა და ურთიერთობა ამიშების თემთან, თუ მას მოუწევს იტვირთოს ის მძიმე ვალდებულებები, რასაც განვითარებული ბაპტიზმი აკისრებს“⁸⁸. ამიში ბავშვისთვის სიყმაწვილის პერიოდი გადამწყვეტი და მაფორმირებელია არა იმიტომ, რომ თავის იდენტობას აყალიბებს, არამედ იმიტომ, რომ ამ დროს მრავალრიცხოვან დოგმებს ეჩვენა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამიშთა თემის რელიგიური ტრადიციების შეთვისებისთვის. Yoder-ის გადაწყვეტილება თავდაყირა აყენებს სიყმაწვილის ხასიათს, მხედველობაში არ იღებს რა განვითარების ამ ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს – ზრდასრული ადამიანების დარიგებებისგან სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას⁸⁹. საკუთარი მეს განსაზღვრას ახალი იდეების შესაბამისად

პირობისა, ან ალბათ ამის გამო, ეს ფართო მისია აუფასურებს იმ ადამიანების მოთხოვნებს, რომელთათვისაც რელიგია არ არის ავტონომის გამოხტულება, არამედ მრწამსის საკითხი, რომელიც არ უკავშირდება არჩევანს. რელიგიის, როგორც ცხოვრების სტილის დაცვა, რომელიც ერთ-ერთი იმ ლირებულებათაგანა, რაც შეიძლება დამოუკიდებელ ადამიანს ჰქონდეს, შესაძლოა არ ითვლოსწინებდეს როლი, რასაც რელიგიის თამშებს იმ ადამიანებს ცხოვრებში, რომელთათვისაც რელიგიური ვალდებულებების დაცვა ძირითადი მიზანია, არსებითია მათი სიკეთისთვის და აუცილებელია მათი იდენტობისთვის“). თუმცა შდრ, საქმე Wallace v. Jaffree, 472 U.S. 38, 52–53 (1985) („სასამართლომ არაორაზროვნად დასკვნა, რომ სინდისის ინდივიდუალური თავისუფლება, რომელსაც პირველი შესწორება, იცავს, მიუცავს უფლებას, აირჩიოს ან საერთოდ არ აირჩიოს რელიგიურ მრწამსი. ეს დასკვნა გამომდინარების არა მხოლოდ ინდივიდის სინდისის თავისუფლების პატივისცემის ინტერესიდან, არამედ, ასევე რწმენიდან, რომ პატივისცემის ღირსი რელიგიური მრწამსი მორწმუნეთა თავისუფალი და ნებაყოფლობითი არჩევანის პროდუქტია...“).

⁸⁵ Yoder, 406 U.S. at 211.

⁸⁶ იქვე. (ხაზგასმა ჩვენია).

⁸⁷ იქვე. (ხაზგასმა ჩვენია).

⁸⁸ იქვე. (ხაზგასმა ჩვენია).

⁸⁹ შეადარეთ Arneson & Shapiro, *supra* შენიშვნა 68, გვ. 172 (ეტყობოდა, რომ თავად ამიშ მოპასუხებს საესებით გაცნობიერებული ჰქონდათ ის ფაქტი, რომ აღრეული სიყმაწვილის პერიოდი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იდენტობის

და განსხვავებულ თანატოლებთან ურთიერთობით⁹⁰; მომზადებას დემოკრატიულ პროცესში გააზრებული მონაწილეობისათვის⁹¹; ყმაწვილის მიერ სულიერი საზრისის დამოუკიდებლად ძიებასაც კი⁹² და ამზადებს ახალგაზრდა სრულწლოვან ადამიანს ისეთი ცხოვრებისათვის, რომელიც „იდიოსინკრაზული სეგრეგაციით“ გამოირჩევა⁹³ (სასამართლოს არ დასჭირვებია რთული სამართლებრივი ანალიზი იმის დასადგენად, რომ ამიშების ცხოვრების თანმხლები „შეზღუდვები“ „მათ მიერვეა დაწესებული“⁹⁴).

ზოგადად უზენაესი სასამართლო როგორც „განუყოფელს“ ისე განიხილავს მშობლისა და შვილის ინტერესებს თავისუფლებასთან დაკავშირებით»⁹⁵. ამასთან, ბავშვს დამოუკიდებელი საკონსტიტუციო პოზიციაც აქვს, რომლითაც შეუძლია სწავლა-განათლების შესაძლებლობის ჩამორთმევა გაასაჩივროს⁹⁶. თუმცა უზენაესმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ემოქმედა „ფრთხილად და მოქნილად, მშობლებისა და ბავშვების საგანგებო საჭიროებების შესაბამისად“⁹⁷. არავინ დავობს, რომ „არც მეთოთხმეტე შესწორება, არც უფლებათა ბილი არ არის მხოლოდ ზრდასრული ადამიანებისთვის, იმის მიუხედავად, თუ როგორია მათი უშუალო ზემოქმედება“⁹⁸. ხოლო რაც შეხება სამართლიანი სამართალწარმოების მიმართ მრავალ პრეტენზიას სასამართლომ დაასკვნა, რომ „ბავშვის უფლება ფაქტობრივად ზრდასრული ადა-

განსაზღვრისთვის და დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის იმ ღირებულებების მიმართ, რომლებიც ბავშვობაში ასწავლეს, როგორც საგალდებული დოგმები. თუ ბავშვის გონიერების განვითარება თოთხმეტიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე არ არის ღოგიურად განპირობებული, მაშინ რა საჭიროა ამდენი მღლელარება?“).

⁹⁰ ი. მაგ., ემილი ბასის „ტმაწვილის წვლილი მშობელსა და სახელმწიფოს შერის საგანმანათლებლო კონტროლის განაწილებიში (See, e.g., Emily Buss, *The Adolescent's Stake in the Allocation of Educational Control Between Parent and State*, 67 U. CHI. L. REV. 1233, 1270–73 (2000) (რომელშიც აღწერილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანატოლების ურთიერთქმედება ყმაწვილის იდენტობის ფორმირებისთვის)).

⁹¹ ის იდეა, რომ საკლასო თაობა დემოკრატიული ლირებულებების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ერთერთი მყარი ეროვნული თემაა. იხილეთ მაგ., იმონ კალანის „მოქალაქების შექმნა: პოლიტიკური განათლება და ლიბერალური დემოკრატია“ (1997); ლურენს ა. კრემინის „ამერიკული განათლება: კოლონიური გამოცდილება 1607–1783, გვ. 415–71 (1970); ემი გუტმანი, „დემოკრატიული განათლება“ (1987); სტივენ მაკედონ, მრავალფრონება და უნდობლობა: სამოქალაო განათლება მულტიკულტურულ დემოკრატიაში (2000) EAMONN CALLAN, CREATING CITIZENS: POLITICAL EDUCATION AND LIBERAL DEMOCRACY (1997); LAWRENCE A. CREMIN, AMERICAN EDUCATION: THE COLONIAL EXPERIENCE 1607–1783 415–71 (1970); AMY GUTMANN, DEMOCRATIC EDUCATION (1987); STEPHEN MACEDO, DIVERSITY AND DISTRUST: CIVIC EDUCATION IN A MULTICULTURAL DEMOCRACY (2000).

⁹² ბავშვის რელიგიური განვითარების შესახებ იხილეთ ძირითადად რობერტ ქრულსი „ბავშვთა სულიერი ცხოვრება(1990); ჯამში უფლები, რწმენის ეტაპები: ადამიანის განვითარების ფსიქოლოგია და საზრისის ძიება (1981); კრისტიან სმიტი და მელინდა ლუნდკვასტ დენონი, თვითკრიტიკული ანალიზი: ამერიკელი მობარდების რელიგიური და სულიერი ცხოვრება (2005); ბავშვობაში და სიყმაწვილეში სულიერი განვითარების სახელმძღვანელო (On children's religious development, see generally ROBERT COLES, THE SPIRITUAL LIFE OF CHILDREN (1990); JAMES W. FOWLER, STAGES OF FAITH: THE PSYCHOLOGY OF HUMAN DEVELOPMENT AND THE QUEST FOR MEANING (1981); CHRISTIAN SMITH & MELINDA LUNDQUIST DENTON, SOUL SEARCHING: THE RELIGIOUS AND SPIRITUAL LIVES OF AMERICAN TEENAGERS (2005); THE HANDBOOK OF SPIRITUAL DEVELOPMENT IN CHILDHOOD AND ADOLESCENCE (Eugene C. Roehlkepartain et al. eds., 2006); Note, *Children as Believers: Minors' Free Exercise Rights and the Psychology of Religious Development*, 115 HARV. L. REV. 2205, 2220–25 (2002).

⁹³ Yoder, 406 U.S. at 226.

⁹⁴ ივე, გვ. 225.

⁹⁵ Parham v. J.R., 442 U.S. 584, 600 (1979).

⁹⁶ ი. ინგრამ ვ. რიტ, 430 U.S. 651, 674 (1977); გოს ვ. ლოპეს, 419 U.S. 565 (1975); ბრედ ვ. ჯონს, 421 U.S. 519 (1975).

⁹⁷ Bellotti v. Baird, 443 U.S. 622, 634 (1979); შეადრეთ მეი ვ. ანდერსონ, 345 U.S. 528, 536 (1953) (მოსამართლე ფრანკ ჯურტერი, თანმშვედრი აზრი) („ბავშვებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ცხოვრებაში, რაც კანონმა უნდა ასახოს. იურიდიულ თეორიებს და მათ ფრაზეოლოგიას სხვა შემთხვევებში ადვილად მივყავართ არასწორ მსჯელობამდე, თუ უკრიტიკოდ ხდება სახელმწიფოს მოვალეობის განსაზღვრა ბავშვების მიმართ“).

⁹⁸ In re Gault, 387 U.S. 1, 13 (1967).

ვის ეკუთვნის ბავშვის სული? ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

მიანის იგივე უფლების თანაბარზომიერია⁹⁹. მშობლების წინააღმდეგაც კი ბავშვი კონსტიტუციით არის დაცული¹⁰⁰. მართლაც, სამართლიანი სამართალწარმოებით დაცვა, საიდანაც მშობლის მიმართ უფლება გამომდინარეობს, ბავშვის დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ინტერესების სახელით მოქმედებს. ამგვარად, სასამართლომ წაიკითხა *Meyer v. Nebraska* და *Pierce v. Society of Sisters* როგორც ბავშვების დაცვა სახელმწიფოს მცდელობის წინააღმდეგ, რომ თავს მოახვიოს იძულებითი ინტელექტუალური ერთგვაროვნება¹⁰¹. სწორედ ბავშვის უფლება სამართლიან სამართალწარმოებაზე არის ის, რაც ნაწილობრივ ხსნის, რატომ არ შეიძლება „სახელმწიფოს მართული სკოლა იყოს ტოტალიტარიზმის ანკლავი“¹⁰².

მოსწავლეები სკოლაში და მის გარეთ, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, „პიროვნებები“ არიან. მათ აქვთ ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას, ისევე, როგორც მათ უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ. ჩვენი სისტემის ფარგლებში მოსწავლეები არ უნდა განიხილებოდნენ როგორც ჩაკეტილ წრეში მოქცეული მიმღებები მხოლოდ იმისი, რის მიწოდებასაც სახელმწიფო გადაწყვეტს მათთვის. ისინი არ უნდა შემოფარგლონ მხოლოდ იმ განწყობების გამოხატვით, რომლებიც ოფიციალურად არის მიღებული¹⁰³.

ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის კანონი ათვლის წერტილად მიიჩნევს გრძელვა-დიან სამართლებრივ დაშვებებს (1), რომ „მშობლებს აქვთ ის, რაც ბავშვებს არ გააჩნიათ – სიმწიფე, გამოცდილება და განსჯის უნარი, რომ ცხოვრების რთული გადაწყვეტილებები მიიღონ“, (2) რომ „ბუნებით განპირობებული სიყვარულის კავშირები მშობლებს წარმართავს, რათა იმოქმედონ თავიანთი ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე“¹⁰⁴. სასამართლოს მრავალრიცხოვანი შესაძლებლობები აქვს, რომ შეამოწმოს ამ სამართლებრივი დაშვებების ქმედითობა. *Parham v. J.R.* საქმეში სასამართლომ განიხილა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ კანონების კონსტიტუციურობა, რომლებიც მშობლებს საშუალებას აძლევს, საავადმყოფოში მოათავსონ შვილები სამკურნალოდ¹⁰⁵. ბავშვების სახელით მოყვანილი იყო არგუმენტი, რომ

ბავშვთა კონსტიტუციური უფლებები ისეთი მასშტაბისაა, ხოლო მშობლების მხრიდან ბავშვთა მიმართ ძალადობის ალბათობა იმდენად დიდია, რომ მშობლების ტრადიციული ინტერესები და მათ მიერ შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა, სანამ ნებაყოფლო-

⁹⁹ *Bellotti*, 443 U.S. at 634.

¹⁰⁰ იხ. *In re Gault*, 387 U.S. at 13. სახელმწიფოს კონსტიტუციებს კიდევ უფრო მეტი დაცვის უზრუნველყოფა შეუძლიათ. იხ. პოლ ლ. ტრაქტენბერგის განათლების დებულებები სახელმწიფო კონსტიტუციებში: სახელმწიფოს კონსტიტუციები ოცდამეტერთვე საუკუნის პროექტისთვის, რეზოუმე (State constitutions may provide even greater protection. See Paul L. Trachtenberg, *Education Provisions in State Constitutions: A Summary of a Chapter for the State Constitutions for the Twenty-First Century Project*, Rutgers School of Law—Camden, <http://camplaw.rutgers.edu/statecon/subpapers/trachtenberg.pdf> (last visited February 3, 2012)).

¹⁰¹ See *Tinker v. Des Moines Indep. Cmty. Sch. Dist.*, 393 U.S. 503, 506–07 (1969).

¹⁰² იქვე, გვ. 511.

¹⁰³ იქვე, გვ. 511.

¹⁰⁴ *Parham v. J.R.*, 442 U.S. 584, 609 (1979).

¹⁰⁵ იქვე, გვ. 584.

ბით ვალდებულებებამდე დავიდოდეს, სულ მცირე, ოფიციალურ შეჯიბრებით მოსმენას უნდა დაექვემდებაროს¹⁰⁶.

მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ არგუმენტს მეტისმეტად ფართო დიაპაზონი აქვს.

მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლის გადაწყვეტილება ბავშვს არ მოსწონს ან იმიტომ, რომ იგი გარკვეულ რისკებს შეიცავს, გადაწყვეტილების მიღების უფლება ავტომატურად არ გადაეცემა მშობლებისგან რომელიმე სხვა უწყებას ან სახელმწიფო მოხელეს. იგივე ითქმის გლანდების და ბრმანაწლავის ოპერაციაზე ან სხვა სამედიცინო პროცედურაზე. ბავშვების უმეტესობას, სიყმაწვილის პერიოდშიც კი, ბევრ საკითხშე არ შეუძლია სწორი გადაწყვეტილებების მიღება, თუნდაც ჯანმრთელობასა და მკურნალობასთან დაკავშირებით. მშობლებს შეუძლიათ და ვალდებული არიან, მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილებები. . . არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შედეგი *Meyer v. Nebraska* და *Pierce v. Society of Sisters* საქმეებზე სხვაგვარი იქნებოდა ბავშვებს რომ მხოლოდ ინგლისური ენის სწავლის სურვილი გამოეხატათ ან საეკლესიო სკოლის ნაცვლად უპირატესობა საჯარო სკოლისთვის მიენიჭებინათ. ის ფაქტი, რომ ბავშვს შეუძლია გაჯიუტდეს საავადმყოფოში დაწვენაზე ან გააპროტესტოს მშობლების უარი კოსმეტიკურ ოპერაციაზე, არ ამცირებს მშობლების უფლებამოსილებას, გადაწყვიტონ, თუ რა უკეთესია ბავშვისთვის¹⁰⁷.

სასამართლომ უარი თქვა „სახელმწიფოებრივ კონცეფციაზე, რომლის თანახმად, მთავრობის ძალაუფლება ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს მშობლების ავტორიტეტს, რადგან ზოგიერთი მშობელი ცუდად ექცევა და უყურადღებობას იჩენს ბავშვების მიმართ . . .“¹⁰⁸. მტკიცებულების არარსებობა, რომელიც შეეწინააღმდეგება მშობლების მხრიდან კონტროლის მომხრე ტრადიციულ შეხედულებებს, მშობლებს უნარჩუნებს „არსებით, თუ არა დომინანტურ როლს [ვალდებულებების] გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით“¹⁰⁹. და მანც სასამართლომ არ აუარა გვერდი ბავშვების ინტერესებს და დაამატა, რომ „ბავშვის უფლებები და სერიოზული გადაწყვეტილებების ბუნება ისეთია, რომ მშობლებს ყოველთვის ვერ ექნებათ მოქმედების აბსოლუტური და უპრიტიკო თავისუფლება, გადაწყვიტონ, მოახდინონ თუ არა ბავშვის ისტიტუციონალიზაცია“¹¹⁰. სასამართლომ ფრთხილად გაავლო ხაზი ბავშვისა და მშობლების ინტერესებს შორის და აღნიშნა, რომ „გამოცდილებამ და რეალობამ შესაძლოა უარყოს ის, რაც კანონს საწყის წერტილად მიაჩნია . . .“¹¹¹.

ზოგჯერ გამოცდილება და რეალობა ნამდვილად უარყოფს სამართლებრივ დაშვებებს. ბავშვების და მშობლების უფლებები თავისუფლებასთან დაკავშირებით ყოველთვის არ არის თავსებადი, შეჯახების წერტილები გაჩინდება, როდესაც ბავშვთა საჭიროებები და უფლებები უზრუნველყოფილი იქნება მშობლების უფლებამოსილების ხარჯზე. ხშირად ისეც ხდება, რომ

¹⁰⁶ იქვე, გვ. 602.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 603–04.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 603.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 604.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ იქვე, გვ. 602.

ვის ეუთვინის ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღების დროს, ძოგადად, კანონი პატივს სცემს მშობლების მიერ თავიანთი შვილებისთვის გაკეთებულ სამედიცინო ხასიათის არჩევანს, მაგრამ ზოგჯერ არასრულწლოვნები თავიანთი მშობლების თანხმობის გარეშე იღებენ ზრუნვას, ფაქტობრივად ისე, რომ მშობლემა არც კი იციან¹¹². ბევრ ქვეყანაში შეზღუდულ ქმედუნარიან არასრულწლოვნებს კანონი უფლებას აძლევს, თანხმობა განაცხადონ მკურნალობაზე ნარკომანის, ვენერიული სწეულებების შემთხვევაში (მათ შორის ტესტირებაზე შიდსისთვის და სქესობრივი გზით გადაცემული სხვა დაავადებებისთვის, კონსულტაციების მიღებაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის, სექსუალური ძალადობის და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე¹¹³. არასრულწლოვნებს შეუძლიათ მიიღონ შობადობის რეგულირების საშუალებები, მათ შორის კონტრაცეპტივები მშობლების თანხმობის გარეშე და მათთვის შეუტყობინებლად. ორსულ არასრულწლოვანს შეუძლია თანხმობა განაცხადოს პრენატალურ მოვლაზე, აგრეთვე მშობიარობის მომსახურებაზე¹¹⁴. ამგვარი სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური რჩება¹¹⁵. ხოლო იქ, სადაც კანონით უზრუნველყოფილი დაცვა არ არსებობს, შეიძლება იმუშაოს მომწიფებული არასრულწლოვნის დოქტრინამ, რათა დაიცვას სამედიცინო დახმარების მიღებაზე ბავშვის უფლებები მისი მშობლების რელიგიური შეხედულებებისგან¹¹⁶.

ფაქტი ის არის, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრაქტიკული მოსაზრებები. შეშფოთებას იწვევს ის, რომ მშობლები ამ სახის მომსახურების წინააღმდეგი იქნებიან და ხელს შეუშლიან მოზარდებს მკურნალობის მიღებაში, რაც ასე მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისათვის და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ამრიგად, აღნიშნული ინტერესების დასაცავად კანონმდებლებმა უზრუნველყველებს არასრულწლოვნები არჩევანით, რომელიც მშობლების გვერდის ავლას ითვალისწინებს¹¹⁷. მაგრამ ამ გადაწყვეტილებების პოზიციონირება არა ეთიკური, არამედ სამედიცინო ხასიათის მქონე გადაწყვეტილებების სახით, რაც თავისთავად გარკვეულ ღირებულებებს ეყრდნობა და ითვალისწინებს, ადვილად აქარწყლებს მშობლების ზნეობრივ და რელიგიურ ეჭვებს. სიმართლე ისაა, რომ სახელმწიფო ხელიდან გამოსტაცა მშობლებს კონტროლი ზოგიერთი ახალგაზრდის ყველაზე ინტიმურ და ზნეობრივად პრობლემურ პირად გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივად, უზენაესმა სასამართლომ მიუსადაგა მომწიფებული არასრულწლოვნის დოქტრინა ყველაზე ღირებულებით სამედიცინო გადაწყვეტილებებს. სამართლებრივმა ბრძოლამ ქალის უფლების უზრუნველსაყოფად, რომ შეწყვიტოს ორსულობა, სასამართ-

¹¹² Rhonda Gay Hartman, *Coming of Age: Devising Legislation for Adolescent Medical Decision-Making*, 28 AM. J.L. & MED. 409, 416-22 (2002).

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე. ვ. 418-19.

¹¹⁵ იქვე. იხილეთ აგრეთვე, მშობლები გაერთიანდნენ უკეთესი სკოლებისთვის (see also Parents United for Better Schools, Inc. v. Sch. Dist. of Phila. Bd. of Educ., 148 F.3d 260, 269-70 (3d Cir. 1998). (ფალერაური კანონის ინტერპრეტირება იმდაგვარად, რომ გაფართოვდეს კონფიდენციალურობა რეპროდუქციულ მომსახურებაზე არასრულწლოვნთა თანხმობასთან მიმართებაში).

¹¹⁶ მომწიფებული არასრულწლოვნის დოქტრინის ევოლუციისთან დაკავშირებით იხილეთ, მაგ., ლოურენს სქლემის და ჯოზეფ ფ. ვუდის ინფორმირებული თანხმობა არასრულწლოვანთა მკურნალობაზე: კანონი და პრატიკა, ჯანმრთელობის 10 მატრიცა, 141, 144-52 (2000). (On the evolution of the mature minor doctrine, see, for example, Lawrence Schlam & Joseph P. Wood, *Informed Consent to the Medical Treatment of Minors: Law and Practice*, 10 HEALTH MATRIX 141, 144-52 (2000)).

¹¹⁷ იქვე. იხ. აგრეთვე, ჰარტმანი, *supra* შენიშვნა 111, ვ. 416-22. (see also Hartman, *supra* note 111, at 416-22).

ლო არაორაზროვნად დააყენა იმ აუცილებლობის წინაშე, რათა განესაზღვრა ზნეობრივი პასუხისმგებლობის განაწილება მშობელსა და შვილს შორის. *Planned Parenthood of Central Missouri v. Danforth* საქმეზე სასამართლომ ჩათვალა (სხვათა შორის), რომ სახელმწიფო ვერ გაამართლებდა კანონმდებლობას, რომლის თანახმად, არასრულწლოვანს მშობლის თანხმობა სჭირდება როგორც იმის წინა პირობა, რომ აბორტი გაიკეთოს პირველი სამი თვის განმავლობაში¹¹⁸. სასამართლომ ტრადიციულად მიანიშნა *Meyer, Pierce, and Yoder* საქმეზე, მაგრამ საბოლოოდ უარყო ქრონოლოგიური ასაკი, როგორც კონსტიტუციური კრიტერიუმი, რომლითაც იზომება, შეუძლია თუ არა არასრულწლოვანს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება აბორტის შესახებ: „კონსტიტუციური უფლებები არც ვითარდება და არც ჩნდება ჯადოსნური ჯონის დაქნევით მაშინ, როდესაც ადამიანი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ზრდასრულ ასაკს აღწევს. მცირეწლოვნებს ისევე როგორც ზრდასრულებს, კონსტიტუცია იცავს და მათ კონსტიტუციური უფლებები აქვთ“¹¹⁹.

ამ დოქტრინული პლატფორმის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ „ოჯახისა და მშობლების უფლებამოსილების დაცვა“ არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის მქონე, რომ ამით გამართლებული ყოფილიყო არასრულწლოვნისთვის აბორტის ხელმისაწვდომობის პირობად მშობლების თანხმობის განსაზღვრა¹²⁰. *Bellotti v. Baird* საქმეზე სასამართლომ გააუქმა კანონი, რომლის თანახმად, არასრულწლოვანმა, რომელსაც აბორტის გაკეთება სჭირდება, (1) ან მშობლებისგან უნდა მიიღოს ნებართვა, ან (2) აცნობოს მათ ნებისმიერი პროცედურების შესახებ, რომელთა ძალითაც არასრულწლოვანი ცდილობს მოიპოვოს კანონიერი ნებართვა აბორტის გასაკეთებლად¹²¹. *Bellotti*-ის საქმეზე სასამართლომ ყველა ზომა იხმარა, რომ სადაცო არ გაეხადა ძირითადი დაშვებები, რომლებიც მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას მართავს. სასამართლომ განმარტა, რომ რამდენიმე საფუძვლიანი მიზეზი არსებობდა იმისთვის, თუ რატომ უნდა შეზღუდოს სახელმწიფომ გონივრულობის ფარგლებში არასრულწლოვნის თავისუფლება, დამოუკიდებლად მიიღოს „მნიშვნელოვანი, დადებითი გადაწყვეტილება, რომელსაც პოტენციურად მოსდევს სერიოზული შედეგები“¹²², თუმცა აბორტის კონტექსტში ამ მიზეზებიდან არც ერთი არ იყო საკმარისი, რომ მშობლისთვის შეტყობინების აუცილებლობა გაემართლებინა. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო აბორტის შესახებ გადაწყვეტილების უნიკალურობას¹²³. სხვა უამრავი გადაწყვეტილებისგან განსხვავებით (როგორიც არის, მაგალითად, გადაწყვეტილება ქორწინების შესახებ), აბორტის გადაწყვეტილების გადადება არ შეიძლება, სხვა სიტუაციებისგან განსხვავებით, ამ გადაწყვეტილების მიღებაზე არასრულწლოვანს რომ უარი უთხრა, ამის შედეგი „სერიოზული და შეუქცევადი იქნება“¹²⁴. იმის გათვალისწინებით, რაც სასა-

¹¹⁸ 428 U.S. 52 (1976).

¹¹⁹ იქვე, გვ. 74.

¹²⁰ იქვე, გვ. 75; *Carey v. Population Servs. Int'l*, 431 U.S. 678, 719 (1977) (რომელიც აცხადებს, რომ სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს პოლიციის ძალა საზოგადოებრივი ზნეობის თავისი კონცეფციის გასატარებლად, რომელიც უმცირესობებს ეხება).

¹²¹ 443 U.S. 622, 625 (1979).

¹²² იქვე, გვ. 635.

¹²³ იქვე, გვ. 442–44.

¹²⁴ იქვე, გვ. 642.

ვის ეკუთვნის ბავშვის სული? ესეი ორიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

მართლომ აღწერა, როგორც „ლრმა ზნეობრივი და რელიგიური პრობლემა“, დაკავშირებული აბორტის შესახებ გადაწყვეტილებასთან¹²⁵, არარეალისტური იქნება ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი მშობელი მეტისმეტად კატეგორიულად არ შეეწინააღმდეგება არასრულწლოვნის გადაწყვეტილებას.

ბევრ მშობელს აქვს მყარი შეხედულებები აბორტთან დაკავშირებით და ახალგაზრდა, ორსული არასრულწლოვნები, განსაკუთრებით ისინი, ვინც სახლში ცხოვრობს, განსაკუთრებით მოწყვლადი არიან თავიანთი მშობლების მცდელობების წინაშე, წინააღმდეგობა გაუწიონ როგორც აბორტს, ასევე არასრულწლოვნების წვდომას სასამართლოზე. შესაბამისად, არარეალისტური იქნება ვივარაუდოთ, რომ კანონიერი უფლების არსებობა, ეძებო ხსნა უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში, ქმედით გზას სთავაზობს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ¹²⁶.

ამ კონტექსტში სასამართლომ, როგორც ჩანს, მიიღო „სახელმწიფოებრივი კონცეფცია, რომლის თანახმად, მთავრობის ძალაუფლება ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს მშობლების ავტორიტეტს, რადგან ზოგიერთი მშობელი ცუდად ექცევა და უყურადღებობას იჩენს ბავშვების მიმართ. . .“¹²⁷. დამვება იმის შესახებ, რომ მშობლები თავიანთი შვილების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, არ შეესაბამება ყოველთვის სინამდვილეს. ან შესაძლოა ეს დაშვება აზრს არის მოკლებული, თუკი არ არსებობს იმის თაობაზე შეთანხმების მიღწევის საშუალება, თუ რომელია ბავშვის საუკეთესო ინტერესი. აბორტის შესახებ გადაწყვეტილების უნიკალურ ხასიათს აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარე. ბავშვმა შესაძლოა იმ ფაქტზე მოახდინოს ფოკუსირება, რომ გადაწყვეტილების გადადება შეუძლებელია; მშობელმა კი იმ ფაქტზე მოახდინოს ფოკუსირება, რომ გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლებელია; ის რომ გადაწყვეტილების შედეგები სერიოზული და შეუქცევადია, ბევრს აფიქრებინებს, რომ მშობლების ჩარევა აუცილებელია. მიუხედავად იმისა, თუ ვის რა პოზიცია აქვს აბორტთან დაკავშირებით, რთულია არ დაასკვნა, რომ უზენაესი სასამართლოს აბორტთან დაკავშირებულმა კანონმდებლობამ შეცვალა მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ლანდშაფტი. თუ არასრულწლოვნებს შეუძლიათ ისეთი რთული გადაწყვეტილების მიღება, როგორიც ორსულობის შეწყვეტაა, რატომ უნდა ჩათვალონ სასამართლოებმა, რომ მშობლებს აქვთ ის, რაც ბავშვებს არ გააჩნიათ, ანუ სიმწიფე, გამოცდილება და უნარი, რომ მიიღონ სხვა რთული ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები?

თავის პოზიციაში არასრულწლოვნათა რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მშობლის უფლებამოსილების ფარგლებზე, მაგრამ ამავე დროს არსებობს უფრო ღრმა პრობლემა, რომელიც პოტენციური დედის პიროვნებას ეხება. აბორტის საქმეები ნაწილობრივ ეფუძნება იმ „უნდამენტურ ზნეობრივ ფაქტს, რომ ადამიანი საკუთარ თავს ეკუთვნის და არა სხვებს, და მთლიანად საზოგადოებას“¹²⁸. ცხადია,

¹²⁵ იქვე, გვ. 640.

¹²⁶ იქვე, გვ. 647.

¹²⁷ Parham v. J.R., 442 U.S. 584, 603 (1979).

¹²⁸ *Thornburgh v. Am. Coll. of Obstetricians and Gynecologists*, 476 U.S. 747, 777 n.5 (1986) (მოსამართლე სტივენსი, თანმხვედრი აზრი) (quoting Charles Fried, *Correspondence*, 6 PHIL. & PUB. AFF. 288–89 (1977)).

ადამიანური ბუნების სხვა „ფაქტები“ მუშაობს პიროვნულობის და სოციალური ურთიერთობების შესახებ ატომისტური თეორიების წინააღმდეგ, მაგრამ კენეტ ლ.კარსტი (Kenneth L. Karst), რა თქმა უნდა, მართალია, როდესაც დაასკვნის, რომ „კავშირის არჩევის თავისუფლება აძლიერებს ახლო კავშირის ღირებულებებს იმ ხარისხამდე, რომელიც ვერ იქნებოდა მიღწეული აღნიშნული არჩევანის არსებობის გარეშე“¹²⁹. როდესაც ბავშვები სიმწიფეში შედიან, ისინი უამრავ ახლო კავშირს ამყარებენ, რომელთა შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბავშვის თავისუფალ არჩევანზე. შეგვიძლია ისიც კი ვთქვათ, რომ ბავშვს მოუწევს, აირჩიოს, მოახდინოს თუ არა საკუთარი თავის იდენტიფიცირება მშობლებთან და „ვალდებულად ჩათვალოს თუ არა თავი, მათთან მზრუნველი კავშირი შეინარჩუნოს“¹³⁰. მაგრამ, ასე ვთქვათ, მშობლების არჩევის უფლება აზრიანია მხოლოდ მაშინ, თუ ლაპარაკია თავისუფალ არჩევანზე, ანუ, თუ მოზარდს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს, არ დაამყაროს აღნიშნული კავშირი (ან უკიდურეს შემთხვევაში არ აქციოს ეს ახლო კავშირად). როგორც კარსტი წერს, ვალდებულების ზუსტი მასტები შეიძლება განისაზღვროს „მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ვალდებულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა... იძულებითი ახლო კავშირი სავალდებულო კავშირის ყველაზე აუტანელი ფორმა“¹³¹. თუმცა ეს მხოლოდ ახლო კავშირს არ ეხება, ეს (კვლავ კარსტის თანახმად) „თანაბრად ეხება უპირატესად იდეოლოგიურ კავშირს“¹³². საჭირო არ არის დავამატოთ, რომ იძულებითი რელიგიური კავშირი აუტანელია როგორც სიახლოვის, ასევე იდეოლოგიის თვალსაზრისით.

ფრიდა იოდერი თხუთმეტი წლის იყო, როდესაც მისცა ჩვენება, რომ სკოლის მიტოვების გადაწყვეტილება რელიგიური რწმენის გამო მიიღო¹³³. ლილიან გობიტისი ჯერ თინეიჯერიც კი არ იყო, როდესაც სასამართლომ მისი პროტესტი მოისმინა სავალდებულო პატრიოტული რიტუალების წინააღმდეგ¹³⁴. ხოლო ბეტი სიმონსი მხოლოდ ცხრა წლის იყო, როდესაც ჩვენება მისცა, რომ ქუჩაში ქადაგება რელიგიური მოვალეობაა¹³⁵. სასამართლოებმა არანაკლები ყურადღებით უნდა მოუსმინონ ბავშვებს, როდესაც ისინი ირჩევნ, არ გაიზიარონ თავიანთი მშობლების რელიგიური შეხედულებები, როდესაც არსებობს, ჯასთინ დუგლასის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოტენციურად კონფლიქტური სურვილები“¹³⁶. თუ მშობელი და შვილი თან-

¹²⁹ კენეტ ლ.კარსტი, ინტიმური კავშირის თავისუფლება (Kenneth L. Karst, *The Freedom of Intimate Association*, 89 YALE. L.J. 624, 637 (1980)).

¹³⁰ იქვე, გვ. 644.

¹³¹ იქვე, გვ. 637–38.

¹³² იქვე, გვ. 638; იხ. აგრეთვე ალან ბ.კალინი, კომენტარი, იდეოლოგიური კავშირის არქონის უფლება (Alan B. Kalin, Comment, *The Right of Ideological Nonassociation*, 66 CALIF. L. REV. 767 (1978)). დავამატებთ, რომ არჩევანის თავისუფლება თანაბრად ეხება ისეთ კავშირებსაც, რომელიც ძრითადად პროფესიულია. იხ. Wisconsin v. Yoder, 406 U.S. 205, 239–40 (1972) (მოსამართლე უარი, თანმიმდევრული აზრი) (“შესაძლებელია, რომ ამიშე ბავშვების უმეტესობას სურვილი ექნება გააგრძელოს თავისი მშობლების სოფლის ყოფა, რ შემთხვევებიც სახლში მიღებული აღზრდის წყალობით, სათანადოდ მოემზადებან მომავალში შესასრულებელი როლისთვის. სხვებშა კი შესაძლოა ისურვონ ფიზიკოსები გახდნენ ბირთვული ფიზიკის განხრით, ბალეტის მოცეკვავები, კომპიუტერის პროგრამისტები ან ისტორიკოსები, ხოლო ასეთი საქმიანობისათვის აუცილებელი იქნება სპეციალურ განათლება.“); იქვე. ხილეთ აგრეთვე გვ. 244–45 (მოსამართლე დუგლასი, განსხვავებული აზრი).

¹³³ Wisconsin v. Yoder, 406 U.S. 205, 207 n.1 (1972).

¹³⁴ Minersville Sch. Dist. v. Gobitis, 310 U.S. 586, 591(1940).

¹³⁵ Prince v. Massachusetts, 321 U.S. 158, 159 (1944).

¹³⁶ იქვე (მოსამართლე დუგლასი, განსხვავებული აზრი) („თუ ბავშვი საკმარისად მომწიფებულია, რომ გამოხატოს პოტენციურად კონფლიქტური სურვილები, ამგვარი გადაწყვეტილების მათი შეხედულებების გამოუვლინებლად მიღება ბავშვის უფლებათა ხელყოფა იქნებოდა“).

ვის ეუთვნის ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ხმდებიან, ყოველთვის ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, რამდენად გულწრფელად ლაპა-რაკობს ბავშვი. როდესაც მშობელი და შვილი ვერ თანხმდებიან, ყოველთვის ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, რამდენად მომწიფებულია ბავშვი გადაწყვეტილებების მისაღებად რელიგიურ იდენტობასთან დაკავშირებით. მაგრამ ასეთ შემთხვევებს სასამართლო სკმაოდ კარგად იცნობს. რეალობა ის არის, რომ ბავშვები შეიძლება აიძულონ იმით, რომ ყურა-დღებით არ მოუსმინონ და ათქმევინონ ის, რასაც არ ფიქრობენ. თუ ბავშვი თავის თავს ეკუთვნის, მას ვერ გამოიყენებ საშუალებად, მშობლების საკუთარი ზნეობრივი დოგმების ან პრეფერენციების განსამტკიცებლად, მას ვერ აქცევ რელიგიური ტრადიციების მძევლად¹³⁷. ბავშვის სრულ ზნეობრივ პიროვნულობამდე, მშობლად ყოფნის უფლება, თუნდაც რელი-გიური თავისუფლების სარჩელთან მიმართებაში, დათმობილი უნდა იყოს.

უილიამ გალსტონი, სხვათა შორის, აღწერს მშობლად ყოფნის უფლებას როგორც გამოხა-ტული თავისუფლების ფორმას¹³⁸. გამოხატულ თავისუფლებაში ის გულისხმობს „შეზღუდ-

¹³⁷ მაგალითად:

მონის ბატონს შეუძლია უარი თქვას განათლებაზე და ბიბლიაზე, შეუძლია აკრძალოს რელიგიური სწავლება და ღვთისმასახურება. მას შეუძლია თავს მახვიოს მონას და მის ოჯახს არასასურველი ღვთისმასახურება და რელიგიური სწავლება და ამ ყველაფერში, ისევე როგორც სეკულარულ საკითხებში, ის „სავსებით ექვემდებარება ბატონის ნებას, რომელსაც ეკუთვნის“. ბატონობას ისევე ვრცელებდა სულჩე, როგორც სხეულზე, რადგან სხვაგვრად სხეულს ვერ დაიმეორილებ და გააკონტროლებ. . . დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება რელიგიური დესპონტიზმის სხვა ასეთი აბსოლუტური სახეობა, ამ ზომადე უპასუხისმგებლი და სულის დამაგრეველი, როგორც ეს.

უილიამ გუდელი, ამერიკელი მონის კოდექსი თეორიასა და პრატიკაში: მისა განმასხვებელი თვისებები, წარმოდგნილი საკანონმდებლო ნორმებით, სასამართლო გადაწყვეტილებებით და საილუსტრაციო ფაქტებით (ხაზგამის ჩვენია) (WILLIAM GOODELL, THE AMERICAN SLAVE CODE IN THEORY AND PRACTICE: ITS DISTINCTIVE FEATURES SHOWN BY ITS STATUTES, JUDICIAL DECISIONS, AND ILLUSTRATIVE FACTS 235 (1853) (emphasis added)). შეადარით ზემოაღნიშნული რეგულაცია, მაგალითად, სტივენ ლ.კარტერის „მშობლები, რელიგია და სკოლები: აზრები პირსი შესახებ 70 წლის შემდეგ, 27 (Stephen L. Carter, Parents, Religion, and Schools: Reflections on Pierce, 70 Years Later, 27 SETON HALL L. REV. 1194, 1200–05 (1997)) (“რელიგია არ არის სტატიკური რამ, რომელიც გარკვეულ ადგილზე და გარკვეულ დროს არსებობს. ის არის, უფრო სწორად ის ესწრაფ-ვას, რომ იყოს ერთდროულად ძნელად აღსაქმელი და ვეოლუციონი, არსებობდეს რამდენიმე დროში. ამ თვალსწირისით რელიგია არის ამბავი, რომელსაც ხალხი (და არა ერთი ადამიანი) უყვება თავს საკუთარი ისტორიული ურთიერთობის შესახებ ღმერთთან. ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი თანამედროვე საკონსტიტუციო კანონმდებლობა მიღრებილია, გეერდი აუაროს ამ მომენტს, იმაზე მდგომარეობს, რომ ცდილობს შეხედოს რელიგიას როგორც ინდი-ვალუარი არჩევანის საკითხს და არა როგორც საზოგადოების აქტივობას. მაგრამ სერიოზული რელიგიები ჯგუფის გარშემო ტრაალებს და არა ინდივიდის. . . რელიგია ტრადიციის სეკულარებით არსებობს, ხოლო ტრადიცია მრავალ თაობას მოიცავს. რელიგია, რომელიც დროის გამოცდას ვერ უძლებს, ამ თვალსაზრისით, საერთოდ არ არის რელიგია. შეიძლება ეს იყოს ზნეობრივი შეხედულებების ერთობლიობა, ან ხალური ზღაპრების კრებული, ან მოდური თეოლო-გიური, იდე, ან საინტერესო წესების ჩამონათვალი, მაგრამ თუ ამ ყოველივე არსებობა, არ არის, ამას შეიძლება ყველაფერი დაგარეკვათ, არად რელიგიისა.“); კორჯ უ. დენტი, უმცროსი „ღმერთისა და კეისირის შესახებ: საჯარი სკოლების მოსწავლეთა თავისუფალი აღმსარებლობის უფლების შესახებ (George W. Dent, Jr., Of God and Caesar: The Free Exercise Rights of Public School Students, 43 CASE W. RES. L. REV. 707, 738 (1993)) (“თემისთვის დამახასათებელი ტრადიცია განსაკუთრებით რელევანტურია აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ დებულებების, რადგან რელიგიური თემების შენარჩუნება აუცილებელი, რომ პიროვნების რელიგიური თავისუფლება, „შესაძლებელიც იყოს და აზრიანიც“. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილი მნიშვნელობისასა განვითარების მიცემა. ადამიან მოკვდვია, ხოლო კა-ცობრითა – უკვდავი მეტყველებით რომ ასევი. რელიგიური შევრების შეღებების გარკვეული რწმენით ზრდიან, რაც მათი გადარჩენის საწინდარია. მიზეზი დაგად იმისა, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა არ მიიღოს განსაკუთრებული ზომები რამე კონკრეტული რელიგიური დაჯევუფების ან რელიგიის შესანარჩუნებლად, მაგრამ რე-ლიგიის თავისუფლება იმის ნებას რთავს და გარკვეულწილად მოთხოვს კიდეც, რომ ხელისუფლებამ თავი შეეგავოს რელიგიური თემების გაუმრთებელი შესუსტებისაგან. როდესაც საჯარო სკოლები ებრძინან რომელიმე სექტას, ამის განსაკუთრებული საჭიროების არარსებობის მიუხედავად, სახელმწიფო ამ სექტის წარმომადგენელი ბავშვები უნდა უზრუნველყოს მათვის მისაღები ალტერნატიული ვარიანტით.“).

¹³⁸ გალსტონი, *supra* შენიშვნა 69, გვ. 101-02, 109 (მშობლების უნარი, რომ გაზარდონ თავიანთი შვილები თავიანთი ძირეული ვალდებულებების შესაბამისად გამოხატული თავისუფლების არსებითი შემადგენელო ნაწილი); ის., აგრეთვე, დევიდ უილიამ არჩარდი, ბავშვები, ოჯახი და სახელმწიფო 96, (2003) („იყო მშობელი უაღრესად მნიშვნელოვანია ადა-მიანისთვის. მაშინაც კი, როდესაც ბავშვი არ აღიქმება როგორც საკუთრება და არც მშობლის გაგრძელება, ცხოვრება, რომელსაც მშობელი და შვილი იყოფენ, ზრდასრული აღმიანის სიღრმისეულ მზნებს და ამოცანებს გულისხმობის . . .

ვების არარსებობას, რომლებსაც ინდივიდები ან ჯგუფები აკისრებენ სხვებს, რითაც შეუძლებელი ან გაცილებით რთული ხდება იმ ინდივიდების ან ჯგუფებისათვის, რომლებსაც ეს შეეხებათ, იცხოვრონ თავიანთი იმ სიღრმისეული რწმენის შესაბამისად, რომელიც მათ ცხოვრებას აზრს და ღირებულებას მატებს”¹³⁹. გალსტონი განაცრობს, რომ „ყველა ტიპის პრაქტიკის ერთობლიობა თავისთავად არ ასახავს უპირატესობის მინიჭებას თავისუფლებისათვის, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. . . გამოხატული თავისუფლება იცავს ინდივიდების და ჯგუფების უნარს – იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, რომელიც სხვებისთვის არათავისუფლალი ცხოვრებაა”¹⁴⁰. ამასთან, გალსტონისთვის მშობლების გამოხატული ინტერესები „არ დაიყვანება მათ ფიდუციარულ მოვალეობამდე, რომ დაიცვან თავიანთი შვილების ინტერესები“¹⁴¹. მაგრამ განა მშობლების გამოხატული თავისუფლება მოიცავს იმის უფლებას, რომ აიძულო ბავშვი, იცხოვროს არათავისუფლად¹⁴²? აქ გალსტონი ეთანხმება იმონ კალანის (Eamonn Callan) კრიტიკას მშობლად ყოფნასთან დაკავშირებით, რომელიც

მშობლები დაინტერესებული არიან მშობლის ფუნქციის შესრულებაში, რაც გულისხმობს მშობლის და შვილის ერთად ცხოვრებას, შეიღის განვითარების მართვას. საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ მშობლის ინტერესები შემოფარგლო მშობლად ყოფნის მინიჭებულობით. ასევე მინიჭებულოვანი და სათანადო განხილებას იმსახურებს ნებისმიერი ადამიანის დანიტერესება, რომ იყოს მშობელი“. (see also DAVID WILLIAM ARCHARD, CHILDREN, FAMILY AND THE STATE 96 (2003); კოლინ მ. მაკლეინი, მშობლად ყოფნის კონცეფციიბი, 25 პოლიტიკა და საზოგადოება, 117, 119 (1997) (Colin M. Macleod, *Conceptions of Parental Autonomy*, 25 POLITICS AND SOCIETY 117, 119 (1997) („ის, ვინც ბავშვების აღზრდის პასუხისმგებლობას იღებს ხშირად ამას იმიტომ აკითხებს, რომ ოჯახის შექმნისა და რჩენის პროექტი მისი ცხოვრებისეული გაგმებს მნიშვნელოვანი, სინამდვილეში ფუნდამენტური ელემენტია. ამ პრასპექტივიდან თუ განვიხილავთ მშობლები ვერ იქნებიან მიჩნეული მხოლოდ თავიანთი შეიღლების ინტერესების დამცველებად. ისინი არიან აგრეთვე ის ადამიანები, რომლებისთვისაც ოჯახის შექმნა არის არსებითი მნიშვნელობის მქონე პროექტი. მათ ანტერესებზე რჯახი როგორც საშუალება, რომ მოახდინონ ზოგიერთი მათვთის დამსახურებელებისა და შემცირებელებისა და განმიცემებისა და განმიცემების“); არსტონი და შაპირო, *supra* შენიშვნა 68, გვ. 23. 151 („რამდენადაც მშობლის მოვალეობის შესრულება ფართო დიაპაზონს იძლევა მშობლის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებისთვის, ბავშვის აღზრდის რეჟიმის შერჩევისა და დაცვისთვის, ეს ბევრ მშობელს საშუალებას აძლევს, გამოხატონ საკუთარი თავი და პირადი კრეატიულობის რეალიზება მოახდინოს.“).

¹³⁹ გალსტონი, *supra* შენიშვნა 69, გვ. 101.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 29.

¹⁴¹ იქვე, გვ. 103; შეადარეთ კალანი, *supra* შენიშვნა 90, გვ. 144-45 (CALLAN, *supra* note 90, at 144–45) (ჩვენ ბავშვის აღზრდას არ განვიხილავთ როგორც მხოლოდ ცალმხრივ მომსახურებას ცალკე აღზრული ადამიანის ცხოვრების ინტერესებისთვის; ჩვენ ამას მივიჩნევთ როგორც ერთად ცხოვრებას და თვითრეალიზაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ბავშვის თრონენტირებულა სტრატეგია, როდესაც ის მიზნად ისახავს მშობლის ფუნქციის შესახებ მთავარი ჟეშმრიტება იყოს, ან-გარიშს არ უწევს ჩვენს ჩვეულებრივ წარმოდგენას იმაზე, თუ რას ნიშანას ბავშვის აღზრდა, რადგან ადგილს არ უტოვებს ამ ამოცანის უმნიშვნელოვანეს ექსპრესიულ მნიშვნელობას მშობლების ცხოვრებაში. ბავშვის აღზრდის „ექსპრესიულ მნიშვნელობაში“ ვალუისხმეულობის იმას, თუ ბავშვის აღზრდა როგორ იწვევს ჩვენი ულრმასი ფასეულობებისა და მისწრაფებების ჩრდილობების და განმიცემების აღზრდაში. ბავშვის აღზრდის მნიშვნელობაში“ ვალუისხმეულობის იმას, თუ ბავშვის აღზრდა როგორ იწვევს ჩვენი ულრმასი ფასეულობებისა და განმიცემების განმიცემების აღზრდაში. . . . ვერაგინ უარყოფს, რომ თუ ზნეობრივი თეორია ბავშვის როლს განმარტავს მხოლოდ როგორც ინსტრუმენტს საკუთარი მშობლების კეთილდღეობისთვის, ეს ზნეობრივი ხასიათის წინააღმდეგობებს გამოიწვევს. მაგრამ ასეთივე წინააღმდეგობას გამოიწვევს ნებისმიერი თეორია, რომელიც მშობლის როლს განიხილავს როგორც მხოლოდ ინსტრუმენტს ბავშვის კეთილდღეობისთვის“.)

¹⁴² იხ. უილიამ გალსტონი, ლიბერალური მთხოვები: საჭირო თვისებები, ლირსებები და მრავალფეროვნება ლიბერალურ სახელმწიფოში, გვ. 253 (1991) (WILLIAM GALSTON, LIBERAL PURPOSES: GOODS, VIRTUES, AND DIVERSITY IN THE LIBERAL STATE 253 (1991) (იმ დასკვნის საზიანადმდეგოდ, რომლის თანახმად, „სახელმწიფო უნდა (ან შეუძლია) ჩამოაყალიბოს საჯარო განათლების სისტემა, რათა წაასახისოს სკეპტიკური შეხედულებები მშობლების ან ადგილობრივი თემისგან მეტვიდრებით მიღებულ ცხოვრების შესახებ“). იხ., აგრეთვე, ერთ ს. დეილის, „მოქალაქეების განვითარებაზე აღზრდისადმი სახელმწიფოს მოქალაქეობა თავსებადა ბავშვებისთვის საშუალების წარმევასთან აირიონ თავად სურთ თუ არა, რომ გაზიაროს ან უარყონ იჯახური რწმენები ან პრაქტიკა. შეუსწავლელი ცხოვრება – ცხოვრება, რომელიც რწმენას უფრო ეყრდნობა, ვიდრე გრიფერებას – სავსებით მისაღები არჩევანია ზრდასრული მოქალაქეებისთვის, მაგრამ ბავშვებს ართმევს შესაძლებლობას, საბოლოოდ თვითონ გააკეთონ ეს არჩევანი, შეუთავსებელია დემოკრატიულ პრინციპებთან ან დემოკრატიულ საკონსტიტუციო პოლიტიკის გატარებასთან. განვითარებაზე ორიენტირებულ პერსპექტივა გარკვეულ გარეშე შეზღუდვებს აწესებს იმ შესაძლებლობებზე, რომელთა წყალიბით რელიგიურ თემებს შეუძლიათ თავი შეინარჩუნონ იმით, რომ წაართვან ბავშვებს დემოკრატიული მოქალაქეებისთვის საჭირო უნარ ჩვევების შეძენის შესაძლებლობა“. (სკოლით გამოიტოვებულია)).

ვის ეუთვინის ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

აიძულებს ბავშვებს, იცხოვრონ ზნეობრივი მონის ცხოვრებით. „როგორც მშობელს, წერს გალსტონი, მოყავს რა კალანის ციტატა, „მე არ შემიძლია სწორად ჩამოვაყალიბო შვილის ხასიათი ისეთნაირად, რომ მომავალში მან სერიოზული აღტერნატივები დაუპირისპიროს ჩემს გადაწყვეტილებას“¹⁴³. გამოხატული თავისუფლება ბავშვსაც აინტერესებს, თუმცა პერსპექტივაში, „ისე, რომ მშობლებმა ვერ მიაყენონ ზიანი“¹⁴⁴.

ეჭვგარეშეა, რომ მშობლების გამოხატული ინტერესები ძალზე შორს შეიძლება წავიდეს. ისმის კითხვა: რას ნიშნავს ძალიან შორს? უეჭველია, რომ ბავშვები, რომლებიც სხვებზე არიან დამოკიდებული, მშობლის მხრიდან ხელმძღვანელობას საჭიროებენ, რომ საკუთარი თავი და ადგილი დაიმკვიდრონ სამყაროში. მაგრამ ზომიერების ფარგლებში მშობლის უფლებამოსილების საზღვრების პატივისცემა არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ზრდასრულთა რელიგიური გამოხატვის იარაღი¹⁴⁵. ალბათ ყველა შევთანხმდებით იმაზე, რომ მშობლების გამოხატული ინტერესები არ ამართლებს ბავშვების რიტუალურ მსხვერპლშეწირვას¹⁴⁶. როგორც ჩანს, გალსტონი მშობლებისგან გაცილებით მაღალი ბარიერების დაძლევას ითხოვს, როდესაც წინადადებას აყენებს, რომ „მშობლები თავიანთ გამოხატულ თავისუფლებას გადაამეტებენ თუ . . . თავიანთ შვილებს წაართმევენ საკუთარი გამოხატული თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობას“¹⁴⁷. მაგრამ ირკვევა, რომ ბარიერი არც თუ ისე მაღალია: გალსტონი გულისხმობს, რომ მშობლები თავიანთ გამოხატულ თავისუფლებას ამეტებენ იმ შემთხვევაში, „თუ შვილებს ავტომატებად აქცევენ“¹⁴⁸. შეურაცხმყოფელი და სასტიკი საქციელი იქნებოდა გარე სამყაროსგან იზოლირება „ისეთნაირად, რომ ბავშვებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ცხოვრების აღტერნატივული წესის შესახებ“¹⁴⁹. ამრიგად, გალსტონისთვის Yoder-ი სწორი გადაწყვეტილებაა. ის ამიში მშობლების გამოხატულ თავისუფლებას იცავს ისე, რომ ამიშ ბავშვებს არ ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი გამოხატული თავისუფლება განახორციელონ. ბოლოს და ბოლოს, აღნიშნავს იგი, „ამიშთა თემი ციხე არ არის“¹⁵⁰.

¹⁴³ გალსტონი, *supra* შენიშვნა 69, გვ. 105 (ციტირებულია მოქალაქეების შექმნა: პოლიტიკური განათლება და ლიბერალური დემოკრატია 152–54 (1997)).

¹⁴⁴ იქვე.

¹⁸⁹ რეიხი, შენიშვნა *supra* 175, 293-ე გვ-ზე. სხვა ადამიანების ზემოქმედებისგან მრავალკულტურულ დაცვასთან დაკავშირებით იხ. უსლ კუმლიცკა „მრავალკულტურული მოქალაქეობა“ 82-83 (1995) (Will Kymlicka, Multicultural Citizenship, 82-83 (1995)); ჯოზეფ რაცი „თავისუფლების ზნეობრიობა“ 204 (1986) (Joseph Raz, The Morality of Freedom, 204 (1986)); ჩარლზ ტეილორი, 2 ფილოსოფია და ადამიანური მეცნიერებები: ფილოსოფიური სტატიები, 204-05 (1985) (Charles Taylor, 2 Philosophy and the Human Sciences: Philosophical Papers 204-05 (1985)).

¹⁹⁰ Ambach v. Norwick, 441 US 68, 76 (1979).

¹⁹¹ იხ. ბარნეტი (Barnette, 319 US at 642), იხ. ასევე შენიშვნა *supra* 29 და თანმდევი ტექსტი.

¹⁹² Keyishian v. Board of Regents, 385 US 589 (1967) (ციტირებული Sweezy v. New Hampshire, 354 US 234, 250 (1957)).

ვის ეუთვნის ბავშვის სული?

ესეი ოლიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ანიჭებენ ავტონომიას დიდ მნიშვნელობას¹⁹³. ავტონომიის ხელშეწყობის ისეთი დამცველიც კი, როგორიცაა ჰარი ბრაჟუზი, ეთანხმება იმ აზრს, რომ სამოქალაქო სტაბილურობა არ მოითხოვს ყველასგან ავტონომიურად ცხოვრებას, რადგან ადამიანების საკმარისი რაოდენობა ცხოვრობს ასე „ზღვრული სტაბილურობის მიღწევის მიზნით“¹⁹⁴. თუმცა არავინ უნდა იჩინობოს მშვიდობიან თანაარსებობასთან დაკავშირებით, როცა ხდება დაინტერესება იმ ბავშვების ბედით, რომელთა ოჯახები და საზოგადოებები არ ანიჭებენ ავტონომიას დიდ მნიშვნელობას. დემოკრატიის გადარჩენის შემთხვევაში, თუ იგი შეინარჩუნებს სტაბილურობის ზღვრულ დონეს, ეს არ იქნება იმის საფუძველი, რომ ზოგიერთ ბავშვს მიესაჯოს სიცოცხლე არჩევანის გარეშე¹⁹⁵.

და მაინც, თუ საკლასო ოთახი რეალურად წარმოადგენს, როგორც ამას აღნიშნავს უმაღლესი სასამართლო, „იდეების ნამდვილ ბაზარს“¹⁹⁶, მაშინ იქ რელიგიური განწყობის ბავშვების ხმაც უნდა ისმოდეს. სკოლის საკლასო ოთახი, ყოველ დონეზე, უნდა ჰქოვდეს ფორუმს, სადაც ბავშვებს ესმით სხვადასხვა შეხედულება, იქნება ეს საერო თუ რელიგიური. იდეა იმისა, რომ მოსწავლეებისთვის სასარგებლოა სხვადასხვა შეხედულებებთან გაცნობა, ამართლებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს ხელს უწყობს დინებას ყველა მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, რელიგიის შესწავლა უნდა წარმოადგენდეს სასწავლო პროგრამის მუდმივ ნაწილს. სახელმწიფო ძალზე დაინტერესებულია, რომ ბავშვებმა შეისწავლონ „დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი თავაზიანი ჩვევებისა და ქცევის ფუნდამენტური ღირებულებები“¹⁹⁷, მაგრამ იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ თავაზიანობა არა მარტო უბრალოდ მანერების დონეზე, მაშინ სახელმწიფომ უნდა მისცეს მათ უფლება, ილაპარაკონ თავისი სახელით (არა აქვს მნიშვნელობა, ისინი გონების ენით ლაპარაკობენ თუ რწმენის ენით) და თავისი საზოგადოებისა თუ კულტურის სახელით (მიუხედავად იმისა, ამის საფუძველს რელიგიური ფასეულობები წარმოადგენს თუ საერო). მორწმუნე ბავშვების ხმები აუცილებლად უნდა ისმოდეს – მთელი კლასის სასიკეთოდ. კლასები, სადაც თავისუფლად მიიღება სხვადასხვა რელიგიური გამოხატულება, შეიძლება უფრო უსაფრთხო იყოს ზოგიერთი მორწმუნე მშობლისთვის¹⁹⁸.

¹⁹³ გალსტონი, შენიშვნა *supra* 69, 24-ე გვ-ზე. იხ. ასევე ზოგადად მაიქლ უოლცერი „სამართლის სფეროები: პლურალიზმის და თანასწორობის დაცვა“ (1983).

¹⁹⁴ ბრაჟუზი, შენიშვნა *supra* 154, 269-ე გვ-ზე. შდრ. უოლცერი, შენიშვნა *supra* 192, 219-ე გვ-ზე (1983) (აცხადებს, რომ არ არის საჭირო „პრდაპირი თავდასხმა“ კერძო სკოლებზე, რადგან მთავარ მიზანს წარმოადგენს „იდეოლოგიური მრავალუროვნების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, სხელმწიფო სისტემის საზღვრებთან“).

¹⁹⁵ შდრ. არჩარდი, შენიშვნა *supra* 137, 75-76 გვ-ზე („პლურალისტული კულტურა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისივე საკუთარი მიზნებისთვის, არამედ იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს ბუჟებრივ გამოსავალს ავტონომიური ცხოვრების არჩევანის გამოყენებითან და, ამავე დროს, ფასდაუდებელ, მართლაც განუყოფელ საფუძველს, რომელზეც აიგრძა ავტონომია. ეს შეხედულება მნიშვნელოვანია, რადგან ის ნიშანას, რომ ბავშვები კვლავაც უნდა აღიზარდონ ისე რომ ავტონომიურებად ჩამოყალბდნენ. კვლავაფერი, რასაც მნიშვნელობა აქვს პლურალიზმის, როგორც ასეთის, დასმყარებლად, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ იჯახებს გამოეტან პეტერონორმული ზრდასრული აღამიანება, რომლებსაც ექნებოდათ ძალიან განსხვავებული შეხედულებები ცხოვრებაზე. პლურალიზმთან დაკავშირებული არგუმენტაცია გვიჩვენებს, რომ ეს არის შეფასება იმის მიხედვით, ამზადებენ თუ არა ისინი მრავალმხრივ, მაგრამ, ამავე დროს, ავტონომიურ ზრდასრულ ადამიანებს“).

¹⁹⁶ კისპიანი, 385, აშშ, 603-ე გვ-ზე (შიდა ციტირების ნიშნები, გამოტოვებულია).

¹⁹⁷ Bethel School District No. 403 v. Fraser, 478 US 675, 681 (1986) (შიდა ციტირების ნიშნები გამოტოვებულია).

¹⁹⁸ იხ. მაგალითად, გუტმანი, შენიშვნა *supra*, 122-23 გვ-ზე (აცხადებს, რომ უარი ზოგიერთი პრაქტიკიდნ გამონაკლისის დაშვებაზე დააშორებს მშობლებს სახელმწიფო სკოლებიდან); სტეფან მაკელი „ლიბერალური სამოქალაქო განათლება და რელიგიური უფრდამერტალიზმი: საქმე „ლიბერალური ჯოულზის წინააღმდეგ“? (Stephen Macedo, *Liberal Civic Education*

ბევრ მორწმუნე მშობელს აღელვებს (და არა უსაფუძვლოდ), რომ სკოლების ხელმძღვანელები ასპონსორებენ გარკვეულ რელიგიურ თუ პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ეს შეიძლება სულაც არ ხდებოდეს მიზანმიმართულად და ამის მიზეზს წარმოადგენდეს ის, რომ ისინი ვერ აფასებენ საკუთარ რწმენას საზოგადოების ნაწილის შეხედულებად. რა თქმა უნდა, რელიგიური გახსნილობის პრინციპი შეიძლება გამოყენებული იქნეს პოლიტიკური ინსტრუმენტის სახით მანიპულირებისთვის – როგორც ბავშვის გადარჩენის მე-19 საუკუნის-დროინდელი სტრატეგიის უახლესი ვერსია¹⁹⁹. მაგრამ რელიგიური გახსნილობა, თუ ის სათანადოდ ხორციელდება, მუშაობს უფრო მაღალ ინტელექტუალურ პრინციპებზე. პირველი, იმისათვის, რომ ავტონომია სერიოზულად იქნეს განხილული, ლიბერალებს და კონსერვატორებს, საეროდ განწყობილ და მორწმუნე ადამიანებს, უნდა შეეძლოთ თავისი რწმენის და ფასეულობების კრიტიკულად განხილვა. ერთნაირი პატივისცემით და სამართლიანობით უნდა ისმინებოდეს ყველა ბავშვის ხმა. სავალდებულო განათლების მოთხოვნები ვარაუდობს „თანაგრძნობით განმსჭვალულ და კრიტიკულ მიდგომას რწმენებისადმი და ცხოვრების იმ გზებისადმი, რომლებიც ეწინააღმდეგება იმ ოჯახის, რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის კულტურას, რომელშიც დაიბადა ბავშვი“²⁰⁰. ეს მოიცავს განსხვავებულისადმი პატივისცემის გაღვივების მცდელობას და მსჯელობას ოჯახისთვის დამახასიათებელი თვისებების საწინააღმდეგო იდეების შენარჩუნებაზე. მეორე, რელიგიური გახსნილობა არ წარმოადგენს მზა საშუალებას იმ ისტორიისა და კულტურის უგულებელყოფისთვის, რომელიც ბავშვს მოაქვს სკოლაში. განსხვავებულობის მიმართ პატივისცემა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვმა უნდა უარყოს თავისი საწყისი კულტურა. ყველაფერი პირიქით უნდა მოხდეს: საკლასო ოთახი უნდა წარმოადგენდეს იმ ადგილს, სადაც შეიძლება განმტკიცდეს ბავშვის პირველადი ვალდებულებები, სადაც გაუგებენ მათ და თავადაც გაუგებენ სხვებს²⁰¹. სავალდებულო განათლება ცდილობს შემდეგის განმტკიცებას: სულ მცირე, ბავშვმა უნდა ისწავლოს, რომ გასაკეთებელია ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანი და, რომ ავტორიტეტის არც ერთ წყაროს – არც მშობელს და არც მასწავლებელს არა აქვს უფლება, არ მისცეს ვინმეს არჩევანის უფლება, რომელიც, წესითა და რიგით, თავისუფალია.

and Religious Fundamentalism: The Case of God v. John Rawls?, 105 *Ethnics* 468, 488 (1995) (დაავირდა, რომ სკოლის ოფიციალურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ მშობლებთან შეთანხმების ჭკვიანური მიზეზები იმისათვის, რომ შეინარჩუნონ მათი შეიღები სახელმწიფო სკოლებში).

¹⁹⁹ იბ. ზოგადად ბრიუს ბელინგჰემი „დაწესებულება და ოჯახი: ბავშვის გადასარჩენად მიმართული მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი ალტერნატიული შეხედულებები“, 33 „სოციალური პრობლემები“ 533 (1986) (Bruce Bellingham, *Institution and Family: An Alternative Veiw of Nineteenth-Centruy Child Saving*, 33 *Social Problems* 533 (1986)).

²⁰⁰ კალანი, შენიშვნა *supra* 90, 133-ე გვ.-ზე. მაგრამ იბ. თილ ვან გილი „მოქალაქეობრივი განათლება და რელიგიის თავისუფალი მიდევნებობა“ (Tyll van Geel, *Citizenship Education and the Free Exercise of Religion*, 34 Akron L. Rev. 293 (2000) (ფიქრობს, რომ ტოლერანტობის არსის გამავრცელებელი პროგრამები უტანელია თავად); ნომი მაია სტოლცენბერგი „მან შემოხატა წრე, რიტუალმაც მე გამომკეტა გარემოსგან“: ასიმილაცია, ინდოქტრინაცია და ლიტერალური განათლების პარადოქსი“ (Nomi Maya Stolzenberg, „He Drew a Circle That Shut me Out“: Assimilation, indoctrination and the Paradox of a Liberal Education, 106 Harv. L. Rev. 581 (1993)) (განიხილავს ლიბერალური საზოგადოების პარადოქსულ არატოლერანტულობის არატოლერანტულობას).

²⁰¹ შდრ. მაგალითად, შტივენ შ. როკელერი, „შენიშვნა“ ნაშრომში „მრავალკულტურულობა: აღიარების პოლიტიკის გამოცდა“ 97-98 (ემი გუტმანი, 1994 წლის გამოცემა) (Steven C. Rockefeller, Comment, in *Multiculturalism: Examining the Politics of Recognition* 97-98 (Amy Gutmann ed. 1994) („ნებისმმერი ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ეთაყვანება თავისუფლების და თანასწორობის იდეებს, ვერ აიცილებს თავიდნ მოთხოვნას, რომ შექმნას ყოვლისმომცველი და მდგრადი სოციალური გარემო, რომელიც პატივს სცემს ყველა ადამიანს თავის კულტურულ მრავალფეროვნებაში და აგრძნობინებს მათ, რომ ისინი უფრო ფართო საზოგადოებას მიეკუთვნებია“).

VI. დასკვნა: რელიგიური პროპაგანდის საზღვრები

სიუზან მერფიმ ცამეტი წლის ასაკში დაიწყო ჰარე კრიშნას რელიგიის შესწავლა²⁰². მას, სხვა საკითხებთან ერთად, ასწავლეს, რომ ქალი მამაკაცზე ნაკლებია, რომ ქალი ეს არის ბოროტების ფორმა, რომ ქალმა არ უნდა მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება მამაკაცთან შეუთანხმებლად და, რომ ქალი უნდა განიხილავდეს თავის ქმარს როგორც სულიერ ავტორიტეტს²⁰³. ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ სიუზანმა უჩივლა მას იმ მიზეზით, რომ რელიგიურმა სწავლებებმა მიაყენეს მას ემოციური ტრავმა²⁰⁴. ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადასტურა სიუზანის მდგომარეობა და სასამართლომ გადაწყვიტა გოგონასთვის 210,000 აშშ დოლარის²⁰⁵ ოდენობის ანაზღაურების გადახდა.

აპელაციის შედეგად, მასაჩუსეტსის შტატის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ზემოხსენებული გადაწყეტილება²⁰⁶. სასამართლომ დაასკვნა, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევა უტოლდებოდა სასჯელს რელიგიური არაორთოდოქსულობისთვის და გააუქმა, რასაც იგი განიხილავდა როგორც ეკლესიის რელიგიური რწმენის კონსტიტუციურად დაუშვებელ შეფასებას: „სასამართლოზე მომხდარის არს წარმოადგენს ის, რომ მოსარჩელებს მიეცათ უფლება, განემარტათ მსაჯულებისთვის, რომ მოპასუხის რელიგიური დოგმებისადმი გახსნილობა საკმარისი იყო მავნე ემოციური ზიანის მისაღებად . . .“²⁰⁷. არც ერთი მოპასუხე, განაცხადა სასამართლომ, არ უნდა იყოს იძულებული, ამტკიცოს „რომ მისი რელიგიური დოგმების არსი პატივისცემის ლირსია“²⁰⁸.

რაც შეეხება მერფის საქმეს, ძირითად კითხვას წარმოადგენდა – სიუზანის ჩვენება მოპყრობას ეხებოდა თუ რწმენას. სასამართლომ უგულებელყო მისი არგუმენტი, რომ რელიგიური სწავლება წარმოადგენს საქმიანობას და არა რწმენას: „სარჩელში ლაპარაკია იმაზე, რომ გახსნილობა [მოპასუხის] რელიგიური დოგმების მიმართ იწვევს მავნე ემოციურ ზიანს, რაც წარმოადგენს ცნებას, რომ სადავო დოგმები თავიდანვე ცუდია . . .“²⁰⁹. სასამართლომ განაცხადა, რომ სიუზანის ასაკს „შეუძლია შეამციროს კონსტიტუციური დაცულობის ზომა, რომელიც [ეკლესიას] აქვს რელიგიურად მოტივირებულ საქმიანობაზე დაფუძნებული საერთაშორისო სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტის წინააღმდეგ“²¹⁰. მაგრამ ეს არ იქნებოდა საკმარისი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სიუზანის საქმის ბუნება „ითრეცს სასამართლოს

²⁰² Murphy v. I. S. K. Con. of New Eng., Inc., 571 N. E. 2d 340, 342 (Mass. 1991).

²⁰³ იქვე, გვ. 346.

²⁰⁴ იქვე, გვ. 344.

²⁰⁵ იქვე, გვ. 346.

²⁰⁶ იქვე, გვ. 342.

²⁰⁷ იქვე, გვ. 347.

²⁰⁸ იქვე, გვ. 348.

²⁰⁹ იქვე, გვ. 347.

²¹⁰ იქვე, გვ. 349.

აღნიშნული დოგმების სისწორის შეფასებაში, მომჩივანების ასავის მიუხედავად²¹¹ და სასამართლო არ ჩაატარებს ერესთან დაკავშირებულ პროცესს.

სინამდვილეში, არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა რელიგიური რწმენები „ფუნდამენტურად მცდარი“. მართებულ სამართლებრივ საკითხს წარმოადგენდა არა ის, იყო თუ არა ქალის ფორმა ბოროტეული (როგორც ამას ეკლესია ასწავლიდა), არამედ ის, შეძლებდა თუ არა სიუბან მერვი იმის დამტკიცებას, რომ მისი სულიერი ტრავმა ნამდვილად გამოწვეული იყო ეკლესიის სწავლებით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს სწავლები მართებული. თუ დაგვესესხებით კანონს მტკიცებულებათა შესახებ, სასამართლოს არ სჭირდებოდა დამტკიცებული საკითხის ჭეშმარიტების დადგენა²¹². ამგვარი საქმეების განხილვისას სასამართლოს შეუძლია და უნდა შეზღუდოს გამოკითხვები ბავშვებისათვის ემოციური და ფსიქიური ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ობიექტური ზომებით²¹³.

ზრდასრული ადამიანი თავად აცხადებს თანხმობას რელიგიურ გაერთიანებაში შესვლაზე, მაგრამ ბავშვების რელიგიური იდენტურობა განისაზღვრება მათი თანხმობისა თუ დასტურის გარეშე²¹⁴. ისინი ხდებიან რელიგიური ჯგუფების წევრები დაბადების, რაიმე მიმდევრობის გაცნობის საფუძველზე თუ რელიგიურ ჯგუფებში გაერთიანების რაიმე სხვა გზებით. ვინაიდან მათ არა აქვთ ინდივიდუალური არჩევანის გაკეთების სრული უფლება²¹⁵, ბავშვები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სრულად მიენდობიან ხოლმე სხვებს²¹⁶. ამგვარი დაუცვე-

²¹¹ იქვე.

²¹² იხ. Fed. R. Evid. 801 (c).

²¹³ შდრ. Kendall v. Kendall, 687 N.E.2d 1228 (Mass. 1997) (აღმოჩნდა, რომ მამის უფლების შეზღუდვა, შეასწავლოს თავის შეინების თავისი რელიგიის დოგმები, „არ იწვევს მთავრობის მხრიდან წინააღმდეგობას, რადგან ფოკუსირება ნებისმიერ სამართლებრივ გამოძიებაზე შედეგად მოიტანს ბავშვებისთვის ემოციურ თუ ფიზიკურ ზიანს და არა მთარებების მორიგეობას შესაბამისი რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით“).

²¹⁴ როცა ზრდასრულები ირჩევენ გაერთიანებას მსაგასად მოაზროვნე ადამიანების ჯგუფში, ისინი მზად არიან ცხოვრებისთვის შესაბამისი რელიგიური წესების მიხედვით. თუმცა რელიგიური ავტორიტეტის გავრცელება შეუძლებელია იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ სურთ ამგვარად ცხოვრება. იხ. მაგალითად, Guinn v. Church, 775 P.2d 766, 781 (Okla. 1989). („პრეველ შესწორება ვერ დაიცავს ეკლესიას სამოქალაქო ვალდებულებებს, მოახვიოს თავისის ნება, რომელიმდე საგნიდან გამომდინარე, იმ ადამიანს, რომელსაც არ სურს ეკლესიასტური საგნის სწავლა“). ამგვარად, როცა წევრი თანხმდება, იხ. მაგალითად, *id.*, ან როცა რელიგიური გაერთიანება იყენებს იძულების ტექნიკას ამგვარი წევრის წინააღმდეგ, კონსტიტუციურ ფარი, რომელიც იცავს რელიგიურ თავისუფლებას სამოქალაქო სამართლდარვევის ვალდებულებისგან, ირლევა, იხ. მაგალითად, Molko v. Holy Spirit Association for the Unification of World Christianity, 762 P.2d 46, 56-63 (Cal. 1988). (გამარტივებული საქმისწარმოების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების ანულირება ემოციური ზიანის მიყენების თაობაზე, სადაც იძულებით დაწმუნება მომჩივნებს ჩამოართვა ეკლესიაში გაერთიანებაზე უარის საშუალება); Wollersheim v. CHurch, *Church of Scientology of Cal.*, 66 Cal. Rptr. 2d 1, 7-19 (Cal. Ct. App. 1989) (ემოციური ზიანის დამტკიცება მომჩივნეობისთვის, სადაც ეკლესიაში რელიგიურ ქმედებებს ახორციელებდნენ იძულებით); შდრ მაგალითად, გირი, 775 776-ე გვ-ზე („რელიგიის არჩევის არაითარი თავისუფლება არ იასწებდება ამ ქეყუნაზე, თუ პირველი შესწორების ფარის ქვეშ რელიგიურ დაწესებულებები მოახორცებდნენ თავისი ნების თავსმისვევს იმათვის, ვისაც ეს არ სურს და მოითხოვდნენ იმუნიტეტს სკულარული იურისდიციდან თავისი მწვალებლური ქმედებებისთვის“).

²¹⁵ იხ. მაგალითად, Bellotti v. Baird, 443 US 622, 635 (1979) („თუ ერთად შეეხედავთ ჩვენ საქმეებს, დავინახავთ, რომ, თუმცა ზოგადად ბავშვები დაცული არიან მთავრობისგან ისეთივე კონსტიტუციური გარანტიებით, როგორიცაც უფროსები, სახელმწიფოს აქვს თავისი სამართლებრივი სისტემის მორგების უფლება ისე, როგორც ეს დამაგაყოფილებელი იქნება დაუცველი ბავშვებისთვის . . .“).

²¹⁶ იხ. Ginsberg v. New York, 390 US 629, 649 (1968) (მოსამართლე სტიუარტი, თანმხედრი შედეგთან დაკავშირებით).

საღაც მსმენელთა აუდიტორია კარგად ემორჩილება გამომსვლელის ნებას, „მთავრობის მხრიდან [დაცული] გამოხატულების რეგულირება შეიძლება თანაარსებობდეს და ნერგავდეს კიდევ პირველი შესწორების გარატიფიცის“. *Id.* მოწილია აუდიტორიის დოქტორინასთან დაკავშირებით იხ. Hill v. Colorado, 530 US 703, 716-18 (2000) (იმ სტატუტის შენარჩუნების ხელშეწყობა, რომელიც უკრძალავდა გამომსვლელებს მიახლოებას სამკურნალო დაწესებულებების გარეთ ისეთ მსმენელებთან, რომლებსაც ეს არ აინტერესებდა); Madsen v. Women's Health Ctr., Inc., 512 US 753, 768 (1994) (სავადადმყოფოს ან კლინიკის გამიზნული პიკეტირება საფრთხეს უქმნის იმ პაციენტების ფსიქოლოგიურ კეთილ-

ვის ეუფლების ბავშვის სული?

ესერი რელიგიური აღმრჩევის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

ლობა წარმოშობს აზრს, რომ სახელმწიფო სკოლის მოსწავლეები ადვილად ხელმისაწვდომ

დღეობას, რომლებიც „მომწყვდეულნი“ არიან თავისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე გარემოებების გამო); *Frisby v. Schultz*, 487 US 474, 484 (1988) (სახლის გარემო იცავს „სურვილის არქეტინგ მსმენელებს“ არასასურველი და მოძალადე მოსაუბრისგან; *Carey v. Brown*, 447 US 455, 478 (1980) (მოსამართოლე რენგვესტი, განსხვავებული აზრი) (ფისიოლოგიური უთანხმოების და ზეწოლის აღწერა, რომელიც წარმოადგენს საცოვრებელი სახლის გამიზნული პიკეტირების „შედებს); *FCC v. Pacifica Found.*, 438 US 726, 748 (1978) (აშეარად შეურაცხმული შეუსაბამო მსალა, გადაცემული რადიოთი, წინ ხვდება მოქალაქეები არა მხოლოდ საზოგადოებაში, მაგრამ სევერ სახლში, სადაც ინდივიდის მარტო დარჩენის უფლება აბსოლუტურად გადაწინის პირველი შესწორების აბეზარი ადამიანების უფლებებს“. (ციტირება, *Rowan v. US Post Office Department*, 397 US 728 (1975); *Erznoznik v. City of Jacksonville*, 422 US 205, 209-10 (1975) (აღნიშნულია, რომ სუბარზე დაწესებული შეძლუდებები გარანტირებულია, როცა ადამიანის მიჯაჭვულობის ზომა „შეუძლებელს ხდის სურვილის არმქნებ მსმენელისთვის ამგვარი საუბრის თავიდან აცილებას“); *Lehman v. City of Shaker Heights*, 418 US 298, 302 (1974) (აღნიშნება, რომ ქალაქის ტრანზიტული სისტემის მგზავრები დატყვევებული აუდიტორია); როგორი, 397, აშშ 738-ე გვ-ზე (წევენ, აქედან გამომდინარე, კატეგორიულად ვემობთ არგუმენტს, რომ გამოიდევს კონსტიტუციით ან სხვაგვარად მინტებული აქვს არასასურველი მასალის სხვის სახლში გაგზავნის უფლება. თუ ეს აკრძალვა მუშაობს ხელის შემშელელად მოქმედი იდეებისთვისაც კი, მაშინ პასუხი იქნება, რომ არავის აქვს თუნდაც „პარგა“ იდეების თავს მოხვევის უფლება, როცა ეს არ უნდა ადამიანის, ს. რომ ჩვენ ხშირად აღმოჩენდებით ხოლმე ჩვენი სახლის გარეთ „ტყვევებზე“ და უფლებულია ვარი ვუშერის, არ ნიშნავს, რომ ყველავან „ტყვევებზე“ უნდა ვყოთ. (ციტირება, *Public Utilities Company v. Pollak*, 343 US 728 (1952); პოლაკი, 343, ვშ, 468-ე გვ-ზე (მოსამართოლე დუგულასი, განსხვავებული აზრი) (ტრამვაის და ავტობუსის მგზავრები წრმოადგენენ დატყვევებულ აუდიტორია); *Kovacs v. Cooper*, 336 US 77, 86-87 (1949) („აღაუნებული მსმენელი არ ჰგავს გამოვლელს, რომელსაც შეიძლება შესავაზონ პანლეტი ქუჩაში, მაგრამ ვერ აიძულონ მისა აღება.“) (ციტირება, *Schenider v. State*, 308 US 147, 162 (1939)); *Packer Corp. v. Utah*, 285 US 105, 110 (1932) (ადამიანები, რომლებიც ხედავთ რეელამას ბილბორდებსა თუ ტრანსპორტზე, იღებენ გზავნილს „ყოველგვარი რეაქციის ან იულების გარეშე“); შერ. *Campbell v. Cathron*, 623 F.2d 503, 509 (8th Cir. 1980) (რელიგიური „მოწმეობა“ პატიმრებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ „გაქცევა“ ქადაგებისგან, არღვევს თავისუფალი არჩევნის მუხლს). მაგრამ ის. *Cohen v. California*, 403 US 215, 22-22 (1971) (ადამიანებს, რომლებსაც არ მოწინაა მოპასუხის ქურთული, რომელზეც უწერა „ჯარის დედაც ა . . !“, შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ „თავისი გრძნობების შემდგომი ვალიზიანება მარტივად ოვალის არიდებით“); *Collin v. Smith*, 578 F.2d 1197, 1207 (7th Cir. 1978) (მოსახლეობას შეეძლო „მარტივად აეცილებინა თავიდან“ ნაციმთან დაკავშირებული საპროტესტო აქციები).

ზოგიერთი სასამართლო განიხილავს ფსიქოლოგიური ტიპის ტყვეობას, როგორც ისეთი გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებლობას, რომელიც ტკივილს მიაყენებს მათ, ვისაც იძულებით ახვევენ თავს დოქტრინებს. იძულებითი ინდოქტრინაციის ტენიანათან დაკავშირებით ის. ზოგადად აულტები, კულტურა და კანონი: ახალი რელიგიური მოძრაობების პერსექტივები“ (ტრამს რობინსა და სხვები, 1985 წლის გამოცემა) (*Cults, Culture and the Law: Perspectives on New Religious Movements* (Thomas Robbins et al. eds., 1985)); მარკ გალანტერი „კულტები: რწმენა, გადარჩენა და იძულება“ (1989) (Mark Galanter, *Cults: Faith, Healing and Coercion* (1989)); ჯონ ლოდნი, *Doomsday Cult: A Study of Conversion, Proselytization and Maintenance of Faith* (1966)); ტრამს რობინს „აულტების შესარჩუნება“ (1966) (John Lofland, *Doomsday Cult: A Study of Conversion, Proselytization and Maintenance of Faith* (1966)); ტრამს რობინს „აულტები რწმენა შეცვლილები და ქარიზმა: ახალი რელიგიური მოძრაობების სოციოლოგია“ (1988) (Thomas Robbins, *Cults, Converts and Charisma: The Sociology of the New Religious Movements* (1988)); ა. ჯეიმს რუდინი და მარშა რ. რუდინი „ციხე თუ სამოთხე?“: ახალი რელიგიური „კულტები“ (1980) (A. James Rudin & Marcia R. Rudin, *Prison or Paradise?: The New Religious Cults* (1980)); რიჩარდ დელგადო დელგადო „კულტები და მოქცევა: ინფორმირებული თანხმობის საქმე“ (Ricard Delgado, *Cults and Conversion: The Case for Informed Consent*, 16 Ga. L. Rev. 533 (1982); რიჩარდ დელგადო „რელიგიური ტოტალიზმი: ფრთხილი და უხეში დარწმუნება პირველი შესწორების მიხედვით“ (Richard Delgado, *Religious Totalism; Gentle and Unfent Persuasion Under the First Amendment*, 51 S. Calif. L. Rev. 1 (1977)); რობერტ ნ. შაპირი „რობოტების, ადამიანების და რელიგიური რწმენების დაცვის შესახებ“ (Rober N. Shapiro, *Of Robots, Persons and the Protection of Religious Beliefs*, 56 S. Calif. L. Rev. 1277 (1983)). მიუხედავად იმისა, რომ „ბრეინუშინინგ“ წარმოადგენს სადაც თეორიას, ზოგიერთი სასამართლო აღიარებს, რომ იძულებით დარწმუნებას რელიგიური თვალსაზრისით შეუძლია თანხმობისთვის ხელის შეშლა. ის. მაგალითად, მოლკა, 762 61-ე გვ-ზე (რელიგიურ რეგულინგის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ტრადიციული სარჩელის საფუძველზე თალღითობისთვის – არაწერების მოტყუებით დამორჩილება მათი თანხმობის გარეშე იძულებითი დარწმუნებით); ვოლერშეიმ, 66, მ-15 გვ-ზე (Wollesheim, 66 Cal. Rptr. 2d at 15) (რელიგიურ პრაქტიკა, ჩატარებული იძულებით გარემოში არ ვალიფიცირდება როგორც ნებაყოფლობითი რელიგიური პრაქტიკა, რომელსაც იცავს კონსტიტუცია); *Peterson v. Sorlien*, 299 N. W. 2d 123, 126 (Minn. 1980), იძულებით დარწმუნებას ხელს უწყობს კონტროლირებული გარემოს შექმნა, რაც ამაღლებს სუბიექტის მგრძნობელობას რჩევის და მანიპულირების მიმართ სენსორული უქმარისაბის, ფიზიოლოგიური ცვეთის, კოგნიტიური დისონანსის, თანატოლთა ზეწოლის და ავტორიტეტისას და დომინირების აშეარად გრძნობის გამო. ინდოქტრინაციის შედებს წარმოადგენს ავტონომიასა და დამოკუიდებლად აზროვნებში უხეში ჩარევა, რაც იწვევს ობიექტის მტკიცე მორჩილებას და ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას წარსულთან“). მაგრამ ის. *Lewis v. Holy Spirit Association*, 589 F. Supp. 10, 12 (D. Mass, 1983) (არავითარი არასაწორო ქმედება რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ „ბრეინუშინინგის“ და ინდოქტრინაციის სავარაუდო სამართლდარღვევის საფუძველზე); *Meroni v. Holy Spirit Association*, 506 N. Y. S. 2d 174, 177-78 (N.Y. App. Div. 1984) (უარი „ბრეინუშინინგის“ ისეთ საჩივარზე, სადაც ინდოქტრინაციის ჩვეულებრივად გამოიყენება რელიგიური ჯგუფების მიერ).

მიზანს წარმოადგენენ სახელმწიფო დოქტრინის ჩანერგვისათვის²¹⁷. თუმცა ბავშვები არა-ნაკლებ ენდობიან კერძო სკოლის მასწავლებლებსაც და, მართლაც, თავიანთი ოჯახების იდეებიდან მთლიანად მოწყვეტილი ბავშვები უფრო მეტად ხდებიან მათზე დამოკიდებული, ხოლო რელიგიურ წინამდლოლობას შედეგად მოჰყვება ავტორიტეტის ისეთი ფორმა, რომლისგანაც ბავშვებს ხშირად უჭირთ თავის დაღწევა.

როდესაც სასამართლოები განიხილავენ რელიგიური მენტორების პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის, ისინი, ჩვეულებრივ, ორ კითხვას სვამენ: (1) ხელყოფს თუ არა პასუხისმგებლობა რწმენას, და არა ქცევას; და (2) იყო თუ არა ქცევა სეკულარული ან, თუ ქცევა განიხილება როგორც რელიგიური, არის თუ არა ის მოპასუხის რელიგიური სწავლებების ცენტრალური ნაწილი (და, ამგვარად, აკრძალვა რელიგიურ თავისუფლებაზე მნიშვნელოვანი ტვირთი იქნებოდა)²¹⁸. მაგრამ ორივე კითხვას საეჭვო საფუძველი აქვს.

ხაზი რწმენასა და ქცევას შორის არ არის გამოკვეთილი, როგორც ჩვენ შეიძლება ვფიქრობდეთ²¹⁹. ლორა შუბერტმა აღმოაჩინა, რა სწრაფად შეუძლია მკაფიო ხაზებს გაუგებრობამდე ადამიანის მიყვანა, როცა ის უჩიოდა Pleasant Glade Assembly of God-ს²²⁰. საქმეში *Pleasant Glade Assembly of God* შუბერტის წინააღმდეგ შუბერტმა შეიტანა სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სარჩელი ემოციური ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა მაშინ, როცა ეკლესის წევრები, ლორას სურვილის საწინააღმდეგოდ, ცდილობდნენ მისი სხეულიდან ეშმაკების განდევნას²²¹. ლორა, „ხელდასმის“ ნაწილის სახით, ფიზიკურად შეზღუდული იყო. მან წამოიწყო სასამართლო საქმე ფიზიკური ძალადობის, ცემის და თავისუფლების იძულებით აღკვეთის შესახებ²²². ტეხასის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამგვარი საქმების გარჩევა „აუცილებლად მოითხოვს რელიგიური რწმენების ჭეშმარიტებისა თუ სიცრუის გარკვევას“²²³. სასამართლოს აზრით, „ხელდასმის“ აქტი შეტანილი იყო Pleasant Glade Assembly of God-ის რელიგიური რწმენის სისტემაზი²²⁴. სასამარლომ უგულებელყო ის ირონია, რომ თვით ეს გადაწყვეტილება ეხებოდა დოქტრინულ საკითხებს. მთავარი მოსა-

²¹⁷ სახელმწიფო სკოლებში სახელმწიფოს მიერ ინდოქტრინაციის შესახებ ის. მაგალითად, არონსი და ლორენს III, შენიშვნა supra 29; დენტ, იუნიორი, შენიშვნა supra 136, 707-ზე (1993) (Arons & Lawrence III, *supra* note 29: Dent, Jr., *supra* note 136, at 707 (1993)); კამენშინი, შენიშვნა supra 164 (Kamenshine, *supra* note 164); სტროსენი, შენიშვნა supra 72 (Strossen, *supra* note 72); იუდო, შენიშვნა supra 164 (Yudof, *supra* note 164); მოსკოვიცი, შენიშვნა supra 164 (Moskowitz, *supra* note 164); მილი, შენიშვნა supra 164-18 გვ.-ზე (Mill, *supra* note 164) („ზოგად სახელმწიფო განათლება წარმოადგენს უბრალოდ გამოვნებას ადამიანების ფორმირებისთვის, რათა ისინი ზუსტად გავდნენ ერთმანეთს: და, როგორც ყალიბი, რომელშიც მათ ასხვენ, არის ის, რაც ასე სიამოვნებს დომინანტ ძალას . . . იქნება ეს მონარქი, მღვდელი, არისტოკრატია თუ არსბული თაობის უმრავლესობა პროპროცესულად, ვინაიდნ ის არის ეფექტური და წარმატებული, ის წარმოშობს დესპოტურ ზეგავლენას გონიერაზე . . .“).

²¹⁸ იხ. მაგალითად, *Turner v. Unification Church*, 473 F. Supp. 367, 371-72 (D.R.I. 1978).

²¹⁹ იხ. მაგალითად, *Murphy v. I.S.K. Con. of New Eng., Inc.*, 571 N.E.2d 340, 345 (Mass. 1991) (უარყოფა არგუმენტის, რომ რელიგიური სწავლება იყო საქმიერი და არა რწმენა). განსხვავების შესახებ რწმენასა და ქცევას შორის იხ. *Cantwell v. Connecticut*, 310 US 296 (1940); *Jacobson v. Massachusetts*, 197 US 11 (1905); *Reynolds v. Unite States*, 98 US 145 (1878).

²²⁰ 264 S.W.3d 1, 5 (Tex. 2008).

²²¹ *Schubert*, 264 S.W. 3d at 5 (Tex. 2008).

²²² *Id.*

²²³ *Id.* მე-9 გვ.-ზე (ციტირება, *Tilton v. Marshall*, 9025 S.W.2d 672, 682 (Tex. 1996); იხ. აგრეთვე *Paul v. Watchtower Bible & Tract Society of N.Y.*, 819 F.2d 875, 883 (9th Cir. 1987) („უხილავი თუ ემოციური ზიანი, ჩვეულებრივ, ვერ იქნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი საქმისთვის ეკლესიის ან მისი წევრების წინააღმდეგ“).

²²⁴ *Schubert*, 264 S.W. 3d at 11.

ვის ეუფრნის ბავშვის სული?
ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

მართლე ჯეფერსონი, რომელსაც უმრავლესობის აზრისგან განსხვავებული აზრი ჰქონდა, უფრო საღად უყურებდა საკითხს, როცა განაცხადა, „როდესაც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ „ხელდასმის“ აქტი შეტანილი იყო Pleasant Glade Assembly of God-ის რელიგიური რწმენის სისტემაში, სასამართლო თავად ერთვება არაკონსტიტუციურ ქცევაში, როცა მას სურს რელიგიური დოქტრინის საკითხების გადაჭრის თავიდან აცილება“²²⁵.

როცა სასამართლო აფასებს, რას წარმოადგენს მნიშვნელოვანი ტვირთი რელიგიაზე, ის აკეთებს ამას მიუხედავად უზენაესი სასამართლოს გაფრთხილებისა, რომ იმის დადგენა, თუ რომელი რწმენა თუ პრაქტიკა ცენტრალური რელიგიური ტრადიციაში, არ წარმოადგენს სასამართლოს საქმეს²²⁶. მაგრამ, თუ სასამართლო დავა თვითონაა მნიშვნელოვანი ტვირთი? შუბერტის საქმეში ეკლესია არ ეძებდა დაცვას ლორას სეკულარული სარჩელისგან ფიზიკური ძალადობის და თავისუფლების იძულებით აღკვეთის შესახებ. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით ეკლესიამ განაცხადა, რომ მისი რელიგიური რწმენა და პრაქტიკა „მართლაც შეუსაბამო იყო“²²⁷. ეკლესიის წარმომადგენლების სიტყვებით:

მოსარჩელემ, ლორა შუბერტმა, არასრულწლოვანმა, შეიტანა სარჩელი ეკლესიისა და მისი სასულიერო პირების წინააღმდეგ. ეს დაიწყო მაშინ, როცა იგი, მისივე სიტყვებით, „გულწასული დაეცა“ ამბიონთან დგომისას ეკლესიაში მსახურებისას. იგი ამბობს, რომ იგი გააკავეს, წაიყვანეს და გააკრეს ეკლესიის იატაკზე მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. შავარაუდოდ, ეს გაკეთებული იქნა როგორც „ეგზორციზმის“ ნაწილი სავარაუდო მცდელობისას, განედევნათ მისგან ეშმაკი. მაგრამ ამგვარი რელიგიური კონტექსტი არ არის რელევანტური. ლორა შუბერტი ამტკიცებს, რომ იგი გაკრული ჰყავდათ ეკლესიის იატაკზე მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, იგი ასევე ჩივის ფიზიკური ძალადობის, ცემის და თავისუფლების იძულებით აღკვეთის შესახებ. ეს არის საჩივარი „სხეულის დაზიანებაზე“ . . . სასამართლოში ინფორმაციის წარმომდგენი პირები – ეკლესია და სასულიერო პირები აღიარებენ, რომ ეს არის „სეკულარული დაპირისპირება“ და, რომ იგი არ ხვდება პირველი შესწორებით დაცვის სფეროში. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ ეკლესიას და არც ერთ სასულიერო პირს არ შეუძლია პირველი შესწორებით სარგებლობა თავის გამართლების მიზნით, როცა საქმე ეხება ნებისმიერი ადამიანის სხეულის დაზიანებას . . .

ეს რომ ყოფილიყო ამ დავის დასკვნა, სასამართლოში ინფორმაციის წარმომდგენი პირები [ანუ ეკლესიის წარმომადგენლები – მოპასუხები] არ იქნებოდნენ სასამართლოს წინაშე . . . არ იქნებოდა ჩართული არც რელიგიური რწმენის საკითხი. პირველი შესწორება და რელიგიის თავისუფლება უბრალოდ არ იდგებოდა დღის წესრიგში. აქედან გამომდინარე,

²²⁵ *Id.* მე-18 გვ-ზე (მოსამართლე ჯეფერსონი, განსხვავებული აზრი (ციტირება გამოტოვებულია)).

²²⁶ იხ. Emp't Div., Dep't of Human Res. of Or. v. Smith, 494 US 872, 887 (1990) („განმეორებით და სხვადასხვა კონტექსში, ჩვენ ვაფრთხილებდით, რომ სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან კონკრეტული რწმენის ადგილის განსაზღვრა რელიგიაში ან რელიგიური საჩივრისი ჭეშმარიტების დადგენა.“); Hernandez v. Comm'r, 490 US 680, 699 (1989) („სასამართლებრივი თვალსაზიერი ნიშნავს კონკრეტული დოგმების თუ რწმენსთან დაკავშირებული პრაქტიკის ეჭვის ქვეშ დაყენებას . . .“); იხ. აგრეთვე სმიტი, 494, აშშ, 887-ე გვ-ზე („მსჯელობა სხვადასხვა რელიგიური პრაქტიკის ცენტრალურ სასიათზე ჰყავს სხვადასხვა რელიგიური საჩივრების შედარებითი დამსახურების შეფასების მისაღებ საქმიანობას“) (ციტირება United States v. Leo, 455 US 252, 263 n.2 (მოსამართლე სტივენსი, თანმიმდევრი აზრი)).

²²⁷ შუბერტი, 264 S.W. 3d at 7.

სასამართლოში ინფორმაციის წარმომდგენი პირები არ მოითხოვენ, რომ სასამართლომ გამოსცეს ბრძანება „სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებული სეკულარული დაპირისპირების“ დავის შეწყვეტის შესახებ²²⁸.

მიუხედავად ამისა, სასამათლომ გადაწყვიტა, რომ ეკლესია კონსტიტუციურად დაცული იყო „სარჩელებისგან თვალით შეუმჩნეველი ზიანის შესახებ, რომელიც წარმოადგენს „ხელ-დასმის“ რელიგიური პრაქტიკის შედეგს“²²⁹. შუბერტის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „ხელდასმის“ პრაქტიკის შეზღუდვა განიხილებოდა მნიშვნელოვან ტვირთად²³⁰. სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმის გადაწყვეტა, თუნდაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო რელიგიასთან კავშირის გარეშე, სასამართლოს გადაწყვეტილებას – ანუ უბრალო ფაქტს, რომ ეკლესია დაექვემდებარა სამოქალაქო პასუხისმგებლობას – „ექნებოდა არაკონსტიტუციური, „უარყოფითი ზეგავლენა“, ვინაიდან ეკლესიას იძულებულს გახდიდა, უარი ეთქვა მისი რელიგიური რწმენის ძირითად პრინციპებზე“²³¹.

თუმცა იოდერის საქმეში დადგენილი ზიანის სტანდარტი ვერ სთავაზობს ბავშვებს მათვის აუცილებელ სრულ დაცვას, იგი მაინც ადგენს გარე ზღვარს რელიგიური დოქტრინების ჩანერგვის უფლებისთვის. როცა დოქტრინა „ერევა ბავშვის ემოციურ განვითარებაში ან თვითშეფასებაში“²³², სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი – მან უნდა დართოს ნებართვა, რომ რელიგიური მენტორები სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები გახდნენ. ამგვარი დაცვა არ უნდა განხორციელდეს რელიგიური ორგანიზაციების კონსტიტუციური პრივილეგიების ხარჯზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ უნდა ეფუძნებოდეს აზრს, რომ რელიგიური რწმენა არის „ფუნდამენტური შეცდომა“ ან არ არის კონსტიტუციური დაცვის ღირსი²³³. ამის საპირისპიროდ, ადგილი ჰქონდა თუ არა რელიგიურ პროპაგანდას და გამოიწვია თუ არა მან მწვავე ემოციური განცდები, წარმოადგენს კითხვას, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობის ნეიტრალური და ზოგადად მიღებული პრინციპების მიხედვით²³⁴.

²²⁸ იქვე..

²²⁹ Id. at 8.

²³⁰ Id. at 11.

²³¹ Id. at 10.

²³² განსაზღვრება „ბავშვის შეურაცხყოფა და უარყოფა“ 1996 წლის „ბავშვის შეურაცხყოფის და პრევენციული მოპყრობის“ კანონის თანახმად, მოიცავს სერიოზულ ემოციურ ზიანს. 42 U. S. C. § 5106g (2006). აშშ-ის ჯანმრთელობის და სოფიალური სამსახურების დეპარტამენტი ემოციურ შეურაცხყოფას განმარტავს როგორც „ქცევა, რომელიც აფერხებს ბავშვის ემოციურ განვითარებას ან თვითშეფასების გრძნობას. ეს შეიძლება იყოს მუდმივი კიოტიკა, შუქარ, უარყოფა, სიყვარულის, მსარდაჭერის და მზრუნველობის მოკლება“. აშშ-ის ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურების დეპარტამენტი, „ინფორმაცია ბავშვის კეთილდღეობის შესახებ“ 3 (2006), იხ. მისამართზე: <http://www.childwelfare.gov/pubs/factsheets/whatiscan.pdf>.

²³³ იხ. შენიშვნა supra 213 და თანმხლები ტექსტი.

²³⁴ იხ. სმიტი, 494, აშშ, 879-ე გვ-ზე („თავისუფალი პრაქტიკის უფლება არ ათავისუფლებს ადამიანს ვალდებულების-გან, იყოს შესაბამისობაში, მოქმედ და ნეიტრალურ ზოგადი დანიშნულების კანონითან იმ საფუძველზე, რომ კანონის მიხედვით, სავალდებულო ისეთი ქცევა, როგორისც ადმინისტრაცია მოითხოვს მისი რელიგია“ (ციტირება, ლი, 455, აშშ, 263-ე გვ-ზე (1982) (მოსამართლე სტივენსი, თანმხვედრი აზრი გადაწყვეტილებაში)); Presbyterian Church in the US v. Mary Elizabeth Blue Hull Mem'l Presbyterian Church, 393 US 440, 449 (1969) (სამოქალაქო სასამართლოები არ ზღუდავენ რელიგიის თავისუფლებას, რისთვისაც მათი კარი ლია დია დისპუტებისთვის, რომელიც ეხება ეკლესიის საკუთრებას. ასევე არსებობს კანონის ნეიტრალური პრინციპები, რომლებიც შექმნილია ქონებასთან დაკავშირებულად დაგენერირების იმ შემთხვევაში, როცა არ არის აუცილებელი ქონების მფლობელი ეკლესიის დადგენა“); Jones v. Wolf, 443 US 595, 602 (1979) („ფუძირობთ, რომ „კანონის ნეიტრალური პრინციპების“ მიღორება თანმიმდევრულია მიმდინარე კონსტიტუციურ პრინციპებთან“); იხ.

ვის ეუფლებას ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

სხვა ადამიანის სულიერი თვითშეგნების გაკონტროლება ძლიერი და აღსანიშნავი პრივილეგიაა, თუმცა ამ დროს არ არსებობს დაზღვევა ამ კონტროლის ბოროტად გამოყენებისგან. ბავშვებს სჭირდებათ დაცვა ისეთი რელიგიური დოქტრინებისგან, რომლებიც აზიანებენ ბავშვის ფსიქოლოგიას, მაგრამ, თუ უფრო ფართოდ შევხედავთ ამ საკითხს, მათ სჭირდებათ ისეთი მენტორებისგან დაცვა, რომლებიც უსპობენ ბავშვებს რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას²³⁵. რელიგიურმა მენტორობამ არავითარი მუდმივი კვალი არ უნდა დატოვოს ბავშვებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან არ უნდა ჩაკეტოს ბავშვის რელიგიური თავისუფლება. ბავშვის რელიგიური ბედის მიმართვა და არა კონტროლი – ეს არის დიდი და სერიოზული ამოცანა, რელიგიური მენტორებისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობების გული (და სული)²³⁶.

აგრეთვე Smith v. O'Connell, 986 F. Supp. 73, 80 (F.R.I. 1997) (დადგენილი იქნა, რომ „არ არსებობს საკითხი, რომ სამოქალაქი პასუხისმგებლობის კანონის პრინციპი არის როგორც ნეიტრალური, ასევე ზოგადად მისაღები“); Doe v. Hartz, 970 F. Supp. 1375, 1431-32 (N.D. Iowa 1997) (აღინიშნება, რომ პირები შესწორება არ ბლოკავს სამოქალაქო სამართლადოვების საჩივარს ეკლესიას მოპასუხეთა მიმართ, რადგან საჩივარი შეიძლება შეჯასტეს კანონის ნეიტრალური პრინციპები შეიძლება გამოყენებული იქნება ეკლესის კანონის და პოლიტიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრის გარეშე“ (ციტირებული, Serbian E. Orthodox Diocese v. Milivojevich, 426 US 696 (2976)); Moses v. Diocese o Colorado, 863 P. 2d 310, 320-21 (Colo. 1993) (სამოქალაქო საჩივარს არ ბლოკავს პირები შესწორება, რადგან საჩივრების გადაწყვეტა „არ მითხოვს ეკლესის დოქტრინის განმარტებას თუ შეწონვას და შეიძლება გამოყენებული იქნება კანონის ნეიტრალური პრინციპები“); Fortin v. Roman Catholic Bishop of Portland, 871 A.2d 1208, 1225 (Me. 2005), (სასამართლობი არ კრძალავს რელიგიის თავისუფლებას კანონის ნეიტრალური პრინციპების გამოყენებისას სამოქალაქო დავაში, როცა საქმეში ჩათრებული არიან სასულიერო პირები“). შედრ. Kendall b. Kendall, 687 N.E.2d 1228, 1233 p.16 (Mass. 1997) (აღინიშნა, რომ „GAL ანგარიში ეფუძნებოდა ინტერესუებს შემობლებით, ბავშვებთან და იმავე ბავშვების მასწავლებლებთან, ფსიქოლოგიურ ტესტებს და დაკვირვებას ბავშვების ორივე შშობელთა ურთიერთობაზე“). ჯარედ ა. გოლდსტეინი, „წარმოადგენს თუ არა „რელიგიურ საკითხს“ დოქტრინა? სასამართლო ხელისუფლება – რელიგიური პრატიკის და რწმენის შემოწმება“ (Jared A. Goldstein, *Is There a "Religious Question" Doctrine? Judicial Authority to Examine Religious Practices and Beliefs*, 54 Cath. U.L. Rev. 497, 502-03 (2005)) („პოზიტიურულ რელიგიურ საკითხი, როგორიცაა რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული საკითხები ან რელიგიური პრატიკის შემოწმებისა რელიგიურ კონტექსტში, არ მოიხოებს სასამართლებისგან სხვა რამებს, გარდა ფაქტების აღმოჩენის ჩვეულებრივი გზებისა და შეიძლება გადაწყვდეს ტრადიციული მტკიცების საფუძველზე, როგორიცაა ექსპერტი მოწმე, ტრაქტატები და ფაქტიური მოწმეობა“); დუგლას ლიქვიკი, „თავისუფლების ნარჩენები“, 1990 (Douglas Laycock, *The Remnants of Free Exercise*, 1990 Sup. Ct. Rev. 1, 45-46 (1990) (ემოციური ზიანის მიყწვების საქმის გადაწყვეტისას გამოყენება ნეიტრალური შესები).

²³⁵ მაქელუდი, შენოშნა supra 137, 130-ე გვ-ზე („შშობლის ავტორიტეტის გაუმჯობესებული ლაბერალური კონცეფცია აკისრებს შეზღუდებებს იმ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც კანონიერად შეუძლიათ შშობლებს აღნიშნული პრინციპების ბავშვებისთვის გადასაცემად . . . ზოგად იდეას წარმოადგნის ის, რომ შშობლებს უნდა ჰქინდეთ უფლება, გადაცენ თავის შევიღებს საკუთარო კონცეფციის. მიუხედავად ამისა, შშობლებმა არ უნდა გამორიცხონ მიზნები, რომელსაც უზრდოთ რომ მიაღწიონ შევიღება. შშობლება არც განსაზღვრავს საშუალება არ უნდა მოუსაონ შევიღებს მათთა მტკიცრი იზიდით აზროვნებისთვის აუცილებელი სოციალური პირობებიდან“); დევიდ ა. ჯ. ჩოჩარდის „ინდივიდი, ოჯახი და კონსტიტუცია: სამართლებრივი პრესტექტივი“ (David A. J. Richards, *The Individual, the Family and the Constitution: A Jurisprudential Perspective*, 55 N.Y.U. L. Rev. 1, 25 (1980)). („შშობლებს არ შეუძლიათ შვილების ინტერესების კარგად ფორმირება ის, რომ ისინი შეესაბამებოდეს მათ საკუთარ ინტერესებს და ლირებულებებს, არა აქვს მინიშვნელობა რამდენად ჯანსაღია ეს ინტერესები, თუ ისინი გააკეთებენ ამას ისე, რომ უსამართლო ჩამოართმებინ ბავშვებს ამგვარი საკითხების უზარს არგუმენტების და მტკიცებულებების რაციონალური შეწონვის გზით“).

²³⁶ უმაღლესია სასამართლო დაადგინა სათანადო პროცესი შშობელთა უფლებისთვის, როგორც „შშობელთა ინტერესი შვილების მზრუნველობაში, მეურვეობასა და კონტროლში“. Troxel v. Granville, 540 US 57, 65 (2000). ფრანსასთან „ზზრუნველობა, მეურვეობა და კონტროლი“ დაკავშირებული შეიძლება და დაზღვევის პოლიტიკის კონტექსტში. Stanley v. Illinois, 405 US 645, 651 (1972), შშობლის შვილთან დაკავშირებული უფლების კონტექსტში. ტროქსელამდე ჯრაზა ჩვეულებრივ გამოყენებოდა ფიზიკურ ქონგბასთან დაკავშირებით, მაგალითად, Fisher v. United States, 529 US 667, 675 (2000) (ციტირება, U.S.C. § 666, რომელიც კრძალავს ქურდობას ან მექრთამეობას იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ ფედერალურ ფინდებს) და დაზღვევის პოლიტიკის კონტექსტში, ის. მაგალითად, First Investors Corporation v. Liberty Mut. Ins. Co., 152 F.3d 162, 167 n. 6 (2d Cir. 1998) (ციტირება, დაზღვევის პოლიტიკის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ზარალი, ლირებულების გაუარესება ან ზიანი ნებისმიერი უძრავი თუ პირადი ქონების მიმართ, მათ შორის უკლებლივ, ფულის, ფასიანი ქაღალდების, მოლაპრაგების დოკუმენტების თუ ფულთან დაკავშირებული კონტრაქტების, რომლებიც ინახება

ყველანაირ თანმხლებ სიხარულთან ერთად, მშობლობა წარმოადგენს რთულ ამოცანას, რადგან იგი ასევე მოიცავს ბავშვთან განშორებას განსაკუთრებული და მტანჯველი გზით. ეს მშობელია, ვინც ბავშვს ანიჭებს თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას და ამზადებს მას მშობლიური სახლისა და ოჯახის დატოვებისთვის და აქეზებს (ან, სულ ცოტა, ნებას რთავს) ბავშვს, იცხოვროს საკუთარი წარმოდგენებით და არა მშობელთა აზრების უბრალოდ დამორჩილების გზით. რომ შეგვეძლოს, ალბათ დავიცავდით ჩვენს ბავშვებს იმ პასუხისმგებლებისგან და ტანჯვისგან, რომელიც არჩევანს ახლავს. რომ შეგვეძლოს, საკუთარ თავსაც დავიცავდით იმ ტკივილსგან, რომელიც ახლავს შვილის ინდივიდად ჩამოყალიბებას და, საბოლოოდ, ჩვენი ბუღლიდან გაფრენას. კანონმდებლობა უშვებს, რომ მშობლები მოქმედებენ შვილების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ, როგორც ეს კარგად მოეხსენება თითოეულ მშობელს, ხშირად მშობლებისთვის უფრო მძიმეა გამოყოფა შვილებისგან, მათი გაშვება, ვიდრე შვილებისთვის იმ ნეიტრალური გზის გამონახვა, რომელიც მათ ზრდასრულობამდე მიიყვანს.

მრავალი ჩვენგანი ახერხებს ბავშვების გაშვებას. ჩვენ ხომ ყოველდღე ვხედავთ, როგორ უფრო და უფრო წინ მიიწევენ ჩვენი შვილები გამოყოფისა და ინდივიდუალურად ცხოვრების გზაზე. ჩვენ ხელს ვუწყობთ მათ ზრდას და მოძრაობას (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) დამოუკიდებლობისკენ. მაგრამ ნუ გვვონია, რომ ყველა მშობელი ასე იქცევა! ნარცისიზმით შეპყრობილი მშობლები, რომლებიც ძალიან არიან დამოკიდებულები შვილებზე და უნდათ, რომ ისინი მათ ასლს წარმოადგენდნენ, იყენებენ დიდი რაოდენობის ემოციურ იარაღს – ხშირად ამას სიყვარულის სახე აქვს – ბავშვის თვითმყოფადობის გრძნობის დანგრევის მიზნით.

მშობელთა პათოლოგიების სხვა შემსწავლელთა შორის ფსიქოანალიტიკოსმა ელის მიერმა აღწერა, როგორ არღვევს ნარცისიზმით შეპყრობილი მშობელი, რომელიც არასავმარის უსაფრთხოებას გრძნობს, პროცესს, რომელსაც ბავშვები მიჰყავს მორალური, ინტელექტუალური და სულიერი ავტონომიისკენ²³⁷. ფაქტობრივად, ნარცისი მშობელი თავდაყირა აყენებს განვითარების ამ პროცესს:

დაზღვეულის შზრუნველობის, მეურვეობის თუ კონტროლის ქვეშ"). ტროქსელოს საქმის შემდეგ ფედერალურმა სააპელაციო სასამართლოებმა დაწყეს ამ ფრაზის გამოყენება მშობელთა უფლებებთან დაკავშირებითი. იხ. მაგალითად, *Batten v. Gomez*, 324 F.3d 288, 295 (4th Cir. 2003) (ბავშვის წართმევამ დაარღვავა დედის საპროცესო ინტერესი, დაკავშირებული „შვილზე ზრუნვასთან, მის მეურვეობასა და კონტროლითან“); *Hatch v. Department for Children, Youth and Their Families*, 274 F.3d 12, 20 (1st Cir. 2001) („მშობლების ინტერესი მზრუნველობის, მეურვეობასა და კონტროლის მიმართ თავის შვილებთან დაკავშირებითი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაუცველს კონსტიტუციაში ჩართულ ინტერესებს შორის“) (ციტირება, ტროქსელი, 530, აშშ, 65-ე გვ.-ზე); *Littelfield v. Forney Indep. Sch.*, 268 R.3d 275, 288 (5th Cir. 2001) („სასამართლოს მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისუფლების ინტერესს წარმოადგენს „მშობლის ინტერესი შვილზე შზრუნველობის, მისი მეურვეობის და კონტროლის მიმართ“.); (ციტირება, ტროქსელი, 530, აშშ, 65-66-ე გვ.-ზე).

²³⁷ მშობლის ნარცისიზმის შესახებ იხ. ალის მილერ „შენ უნდა იცოდე: ბავშვის დალატუ საზოგადოების მხრიდან“ (1998) (Alice Miller, *Though Shall Not Be Aware: Society's Betrayal of the Child*(1998)); ლენანარდ შენგოლდი „სულის მკვლელობა: ბავშვობაში შეურაცხყოფის და უფლებების ჩამორთმების შედეგები“ (1989) (Leonard Shengold, *Soul Murder: The Effects of Childhood Abuse and Deprivation* (1989)); რ. დ. ლაინგი „გაორებული მე: სიჭკვიანის და სივითარების ეგზისტენციალური შესწავლა“ (R. D. Laing, *The Divided Self: An Existential Study in Sanity and Madness* (Penguin Books, 1965)) (1959)); შდრ. ირა ს. ლუპუ „ძალთა გამოვლენა და ბავშვების დაცვა“ (Ira C. Lupu, *The Separation of Power and the Protection of Children*, 61 U. Chi. L. Rev. 1317, 1326 (1994)) („საკუთარი თავის სიყვარული შეიძლება დამანგრეველი ძალა აღმოჩენებს, როცა საქმე ეხება მშობლისა და შვილის ურთიერთობას. როცა პოლიტიკური ან თანამდებობის პირი წინ წევს თავის ინტერესებს, კლასს თუ ახლობლებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მან, მიიჩინებ, იცის რა წინააღმდეგობა შეიძლება წარმოიშვას მასასა და საზოგადოებას შორის; კონიტიურ დისონანს აქვს თავისი საზღვრები. თუმცა მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობაში საკუთარი თავის მო-

ვის ეკუთვნის ბავშვის სული?

ესეი რელიგიური აღზრდის უფლებებსა და ბავშვისთვის არჩევანის თავისუფლების მინიჭებაზე

- ჯანსაღი მშობლობა ემსახურება ბავშვის საჭიროებებს. ბავშვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს სარკისებრი არეკლვა (ანუ ექოს გამოძახილი). ბავშვის ემოციებისა და ინტერესებისთვის სარკის როლის შესრულებით მშობელი ასახავს ბავშვის განვითარების პროცესში მყოფ თვითშეფასებას. სარკისებრი არეკლვის პრინციპი ბავშვს უჩენს რწმენას, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალიზაციის და ინტიმურობის წინა პირობას. მოვლენების ბუნებრივად განვითარების პირობებში შვილები გამოეყოფიან მშობლებს. მოვლენების ბუნებრივად განვითარების პირობებში შვილები აყალიბებენ ახალ ურთიერთობებს ოჯახის ინტერესების სფეროს გარეთ.
- ნარცისი მშობლები უკულია წარმართავენ ამ პროცესს. ამგვარი მშობლები ბავშვებს იყენებენ საკუთარი ინტერესების და ემოციების სარკედ. უფროსი ბავშვს თავისი საკუთარი წარმოდგენით აცხოვრებს. ინიდივიდუალიზაციის პრობლემა ამგვარ ბავშვს არ ეკუთვნის: პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მშობლისთვის რთულია თავისი შვილის გან გამოყოფა.
- ემოციურად და ფსიქოლოგიურად არასწორი საქციელი თავს მაშინ იჩენს, როცა მშობლის სიყვარულის პირობა ხდება ბავშვის მიერ მშობლის კოპირება. ამ დროს საქმე გვაქვს მორჩილებასთან ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ეს არ ნიშნავს მხოლოდ წესების დაცვას, თუმცა ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უფრო უფროსის მსგავსებაა, უფროსივით აზროვნება და მოქმედებაა. ეს ნიშნავს უფროსის ინტერესებისა და გეგმების უსიტყვოდ მორჩილებას. ეს უფროსის მიმართ მოწონების და სიყვარულის გამოხატულებაც კია.
- ბავშვს არა აქვთ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მიიღოს მშობლისგან მისი მოწონების თუ გაკიცხვის ხატები და ეს ხატები მშობლის იდეალურ ხატს მიუსადაგოს. როცა ბავშვი ეთანხმება მშობლის მიერ შექმნილ და მშობლისთვის სასურველ ხატს, იგი თრგუნავს საკუთარ წარმოდგენას, საკუთარ ნებას. ამის არგაკეთების ფასს წარმოადგენს ბავშვის შერცხვენა და შეურაცხყოფა (ბავშვი თავნებაა, ბავშვი ცუდია). ბავშვმა უნდა დაიჯეროს, რომ უფროსი არ ცდება. თუ ჩემი მშობელი მაკლებს სიყვარულს, ესე იგი მე ცუდი ვარ. მშობლის იდეალური ხატი უნდა შენარჩუნდეს.
- მაგრამ ამ ტიპის დათრგუნვის ფასია ის, რომ ბავშვი ყველა თავის სურვილს და საჭიროებას აფასებს როგორც ცუდს. ამგვარად, მორჩილი ბავშვი ექცევა საკუთარი თავის უარყოფასთან დაკავშირებული დაბნეულობის ხაფანგში.

ამ ტიპის მშობლის ქცევა საშინელ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. ბავშვი საკუთარ საჭიროებებს და სურვილებს უარყოფითად აფასებს და, შესაბამისად, თრგუნავს დამოუკიდებლად აზროვნების და გრძნობების გამოჩენის შესაძლებლობას. სრული სიყვარულის დამსახურებისთვის ბავშვს მეტი გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ იყოს მშობლის

ტყუება შეიძლება მაქსიმუმს აღწევდეს. რადგან მშობელი სოციალურად და ფსიქოლოგიურად მზადაა დაინახოს თავისი ურთიერთობა, შეიღება, როგორც სიყვარულსა და პირად სიმპათიებზე დაფუძნებული, მშობელი შეიძლება უბრალოდ ვერ ხდავდეს იმის შესაძლებლობას, რომ საკუთარი თავის სიყვარული ვნებს მის აზრებს. უფრო მეტიც, ზოგიერთ ადამიანს გაცილებით უფრო მარტივად შეუძლია იმ ბავშვების დომინირების გამართლება, რომლებსაც აშეკარად სჭირდებათ გარავეული მზრუნველობა და მეურვეობა, ვიდრე ის გააძრითოებდა შესაბამის (ცუდ) მოპყრობას უფროსების მხრიდან").

მორჩილი. მაგრამ როცა მშობლის ავტორიტარიზმს აქვს რელიგიური ძალაუფლების ფორმა, ბავშვის ემოციური მდგომარეობა უფრო მძაფრია, რაც უფრო მეტად აქცევს ბავშვს მშობლის ზეგავლენის ქვეშ. ერთია მშობლის დაუმორჩილებლობა და უპატივცემლობა და მეორე – ღმერთის დაუმორჩილებლობა და უპატივცემლობა. როცა თვით ღმერთი მოითხოვს ბავშვისგან თავის შეწირვას, ბავშვი იძულებულია, იტანჯოს საკუთარი თავის დამკვიდრების მარტივი ქმედებებისგან.

სახელმწიფოს, როგორც განმანათლებელს, რომ მოეთხოვა მორჩილება თავისი იდეოლოგიური ძალაუფლებისადმი, ჩვენ ამას განვიხილავდით ძალიან სერიოზულ არასწორ საქციელად²³⁸. მაგრამ ჩვენ არ განვიხილავთ იმავე მოთხოვნებს ზიანის მომტანად, როდესაც ამას რელიგიური წინამძლოლები გვთხოვენ. პირიქით, ჩვენ ვაქებთ მორჩილ შვილს – შვილს, რომელიც, ბეჭი სიმონსის მსგავსად, ირჩევს შვილობრივ ერთგულებას და არ იცის მისი საბოლოო ფასი.

და ვინაიდან ჩვენ არ მიგვაჩინია ბავშვის თვითგანწირვა ზიანად, ჩვენ არც კი ვამჩნევთ მას.

²³⁸ შდრ. არონსი და ლორენს III, შენიშვნა *supra* 29, 312-ზე („მთავრობა რომ არეგულირებდეს აზრების და შესედულებების ფორმირებას, მაგალითად, ერთი მონიპოლიური ტელევიზიის ან ბავშვებისთვის გამიზნული რელიგიური რიტუალების დახმარებით, გამოხატვის თავისუფლება უზრო უფლებად გადაიქცეოდა“).